ეროვნული სასწავლო გეგმებისა
და შეფასების ცენტრი
NATIONAL CURRICULUM AND
ASSESSMENT CENTRE

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებანი

(სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისათვის)

2011

UDC (უაკ) 373.2 (072)
ხ - 903

წიგნის ავტორები: **ნინო ლაბარტყავა** - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ფსიქოლოგიის ექსპერტი, ფსიქოლოგიის დოქტორი

მანანა მელიქიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თამარ კერძაია - ილიას უნივერსიტეტის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მეთოდისტი: **თამარ ჯაყელი** – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი

დიზაინერ-დამკაბადონებელი: **გიორგი ინაიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: **ქეთი ჩხობაძე** – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

ISBN 978-9941-0-3519-7

© ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის, წყაროს მითითებით.

სარჩევი

შესავალი 4

I თავი. 5 წლის ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები 5

თამაშის როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში 7

ფიზიკური განვითარება 9

კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების განვითარება 11

ფსიქო-სოციალური განვითარება 18

II თავი. პირველკლასელთა ადაპტაცია სკოლასთან 25

III თავი. ინდივიდუალური მიდგომა 29

IV თავი. 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები და მეთოდები 33

ცოდნის შეფასების მეთოდები და ფორმები 40

დღის განრიგი 41

სასწავლო გარემო 42

V თავი. აქტივობები და პრაქტიკული სავარჯიშოები 43

აღქმა 44

მეხსიერება 51

ყურადღება 53

აზროვნება 55

ფანტაზია 59

მეტყველება 61

ნატიფი მოტორიკა 62

ნებელობა 65

კომუნიკაცია 69

თანამშრომლობა 71

საგნობრივი უნარ-ჩვევები / კითხვისთვის მომზადება 74

არითმეტიკა 84

აქტივობები განტვირთვისთვის 85

აქტივობები მოძრავი პაუზებისთვის 90

გამოყენებული ლიტერატურა 92

დანართი 93

შესავალი

საქართველოში ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების მინიმალურ ასაკად 5 წელი გამოცხადდა და მშობლებს, ბავშვის განვითარების მახასიათებლებისა და საკუთარი სურვილის გათვალისწინებით, შეუძლიათ 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა. აღნიშნული ტიპის სახელმძღვანელო პირველად გამოდის საქართველოში და ემსახურება დაწყებითი კლასების ბავშვთა აღზდის ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაჭრას და პრაქტიკოსი მასწავლებლის უშუალო საჭიროებებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში. ბავშვის სრულფასოვანი სწავლისა და განვითარებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან სწავლება და განვითარება. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია ხუთწლიანთა ასაკობრივი თავისებურებებისა და კანონზომიერებების, პირველკლასელთა სკოლასთან ადაპტაციის სირთულეების და იმ საშუალებების ცოდნა და ფლობა, რომელთა გამოყენებითაც პატარები უმტკივნეულოდ შეეგუებიან მათთვის ახალ, სისტემურ გარემოს.

სახელმძღვანელოს პირველ თავში განხილულია 5 წლის ასაკის ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი და ფსიქო-სოციალური სფეროს განვითარების თავისებურებები და კანონზომიერებები. დიდი ყურადღება ეთმობა თამაშის როლს ბავშვის განვითარების პროცესში.

მეორე თავში აღწერილია სკოლისადმი, ახალი სისტემური გარემოსადმი ადაპტაციის სირთულეები და მათი დაძლევის მექანიზმები. სახელმძღვანელოში მრავლად არის პრაქტიკული რეკომენდაციები პედაგოგთათვის, თუ რა პირობები, გარემო უნდა შეუქმნან პატარებს სწავლების პირველ წელს და განსაკუთრებით, პირველ თვეებში.

მესამე თავი ეთმობა სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობას, ვინაიდან სასკოლო სწავლების დაწყებისას ნათლად ჩანს მოსწავლეთა შორის განსხვავებები სკოლისათვის ფიზიკური, გონებრივი და სოციალური სიმწიფის კუთხით.

მეოთხე თავი ხუთწლიანთა სწავლების ეფექტურ მეთოდებსა და პედაგოგიურ რეკომენდაციებს ეთმობა.

მეხუთე თავში კი აქტივობები და პრაქტიკული სავარჯიშოებია მოცემული. წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს კონკრეტული უნარების განვითარებას და ასევე, სასწავლო პროცესის ხალისიანად და უმტკივნეულოდ წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია აგრეთვე მოძრავი აქტივობები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია გაკვეთილზე მოძრავი პაუზების დროს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას. ეს და მომდევნო პუბლიკაციები სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

I თავი.
5 წლის ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები

ბავშვის განვითარების კანონზომიერებების ცოდნისა და მისი ხელშეწყობის მნიშვნელობა

5 წლის ასაკის ბავშვის სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინება. ბავშვთა ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა ეხმარება პედაგოგს კონტაქტი დაამყაროს ბავშვებთან, უხელმძღვანელოს მათ განვითარებას, თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა მათი სწავლებისა და აღზრდის პროცესში. ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა საშუალებას აძლევს პედაგოგს არა მხოლოდ გაიგოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი კანონზომიერებები, არამედ ხელი შეუწყოს და განავითაროს მისი ყველა საუკეთესო თვისება.

5 წლის ასაკის ბავშვი საზოგადოების პატარა წევრია. მან უკვე ისწავლა თავისი მოქმედებების თანატოლების მოქმედებებთან შეთანხნება, მეგობრისთვის დახმარების აღმოჩენა რთულ სიტუაციაში, საკუთარი და სხვა ადამიანის ქცევის შეფასება საზოგადოებრივი მორალის უმარტივესი ნორმების გათვალისწინებით. მისთვის უკვე მისაწვდომია ადამიანური განცდები. 5 წლის ბავშვს შეუძლია არა მხოლოდ შეასრულოს რთული მოქმედებები, არამედ დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი თამაშში, ხატვაში, კონსტრუირებაში. იგი უკვე დაეუფლა გარკვეულ ცოდნას, უნარებსა და ჩვევებს. მისმა აღქმამ, მეხსიერებამ, აზროვნებამ შეიძინა **ნებისმიერობა**[1], მართვის უნარი. ვითარდება არა მხოლოდ იმის მოსმენის, დათვალიერების, დამახსოვრების შესაძლებლობა, რაც მისთვის საინტერესო და მიმზიდველია, არამედ იმისაც, რაც საჭიროა გაგებული და დამახსოვრებული იქნას ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, კერძოდ, დაიმსახუროს თანატოლების მოწონება, მასწავლებლის შექება.

ეს არის ასაკი, როდესაც ჩამოყალიბებას იწყებს ბავშვის პიროვნება. 5 წლამდე ასაკის ბავშვის ქცევა აღიძვრება ხანმოკლე, იმპულსური სურვილებით და დამოკიდებულია შემთხვევით ვითარებაზე. 5 წლის ასაკის ბავშვს კი უკვე აქვს უნარი მოიქცეს შეგნებულად და ერთი სურვილი მეორეს დაუქვემდებაროს.

განვითარების პროცესში ბავშვი ითვისებს სხვადასხვა მოქმედებას. იგი სწავლობს კოვზით ჭამას, ფანქრით ხატვას, კუბებით აშენებას. ყოველივე ეს პრაქტიკული, გარეგანი მოქმედებებია. ამასთან ერთად, 5 წლის ასაკის ბავშვს უყალიბდება მოქმედების გონებაში შესრულების უნარი (შინაგანი მოქმედება), რომლის საშუალებითაც იგი განიხილავს საგნებს, არკვევს მათ თვისებებს, ადგენს, თუ როგორ არიან ისინი დაკავშირებული ერთმანეთთან, ქმნის ნახატის, თამაშის, ნაგებობის ჩანაფიქრს, იმახსოვრებს სურათებს და ა.შ. ასეთი შინაგანი მოქმედებების ჩამოყალიბება შეადგენს ბავშვის ფსიქიკური განვითარების ძირითად შინაარსს. **გარეგანი მოქმედებების შიგნით (გონებაში) გადატანის პროცესს ფსიქოლოგიაში ინტერიორიზაციას[2] უწოდებენ**.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ 5 წლის ასაკის ბავშვს შეუძლია გონებაში გადაწყვიტოს

1 ფსიქიკური პროცესების განზრახვის ან გადაწყვეტილების საფუძველზე მართვის უნარი.
2 გარეგანი მოქმედებების შიგნით (გონებაში) გადატანის პროცესი.

ყოველგვარი ამოცანა? არა.

განვიხილოთ, თუ როგორ ასრულებს 5 წლის ასაკის ბავშვი მარტივ არითმეტიკულ ამოცანას. *ბავშვის წინ რამდენიმე ჩხირია. მან უნდა გადაწყვიტოს ამოცანა, რომელშიც 2-ს უნდა მიუმატოს 3. პირველად ის გადაითვლის 2 ჩხირს, შემდეგ 3-ს. შემდეგ ორივე ჯგუფს შეაართებს და თავიდან ითვლის. გაივლის გარკვეული დრო, სანამ ეს გარეგანი მოქმედებები შინაგანით შეიცვლება და ბავშვი ისე მოგვცემს პასუხს, რომ აღარ დასჭირდება რეალური საგნების გადაადგილება.*

ბავშვის ცხოვრება დამოკიდებულია მოზრდილზე. უფროსი ახდენს მის ორგანიზებას და მიმართულებას აძლევს მას. ბავშვის სწავლება უნდა ხდებოდეს მიზანმიმართულად და გონივრულად. ბავშვს უნდა ვასწავლოთ ის, რაც უზრუნველყოფს მის სრულფასოვან განვითარებას. ამისათვის კი აუცილებელია ვიცოდეთ, რა მიმართებაშია ერთმანეთთან სწავლება და განვითარება. უნდა განვსაზღვროთ, რა და როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვს სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე.

მართალია, ბავშვის მიერ სხვადასხვა მოქმედების დაუფლება სწავლების შედეგად ხორციელდება, მაგრამ იგი არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოზრდილის სურვილზე. ბავშვს არ შეუძლია შეითვისოს ყოველგვარი მოქმედება და ითვისებს ჯერ უფრო მარტივ, შემდეგ კი უფრო რთულ მოქმედებებს. ბავშვისთვის მისაწვდომი დონე ყოველთვის განისაზღვრება იმით, თუ რა იყო მიღწეული მანამდე. ბავშვმა ახალი მოქმედება რომ ისწავლოს, იგი უნდა შეესატყვისებოდეს მის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. მაგალითად, 5 წლის ასაკის ბავშვები გაცილებით უკეთესად და იოლად ითვისებენ ახალ მოქმედებას, თუ ის მოცემულია თამაშის ფორმით და გამოიყენება თამაშში.

სწავლება წინ უსწრებს ფსიქიკურ განვითარებას, გზას უკვლევს მას. სწავლებამ უნდა განსაზღვროს ფსიქიკური პროცესების განვითარების მიმართულება, მიგვიყვანოს გარკვეული ფსიქიკური თვისებების ჩამოყალიბებამდე და იმ თვისებათა გარდაქმნამდე, რომლებიც ადრე ჩამოყალიბდნენ.

დ. უზნაძის თანახმად, სასწავლო მასალა, ერთის მხრივ, მოსწავლის ცოდნისა და უნარების (“ძალთა”) აქტუალური დონის შესატყვისი უნდა იყოს, მეორეს მხრივ კი, მისგან გარკვეულწილად დაშორებული, რათა ხელი შეუწყოს განვითარებას (დ. უზნაძე, 1967).

სწავლების წამყვანი როლი ფსიქიკურ განვითარებაში მჟღავნდება იმაში, რომ ბავშვი, ეუფლება რა ახალ მოქმედებას, პირველად სწავლობს მათ შესრულებას მოზრდილის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, შემდეგ კი — დამოუკიდებლად. **განსხვავებას იმას, რაც ბავშვს შეუძლია გააკეთოს მოზრდილის დახმარებით (უფროსის მიერ ჩვენების, მითითების, შესწორების დროს) და იმას შორის, რაც მისთვის მისაწვდომია დამოუკიდებელ ქცევაში, ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა ეწოდება** (ლ. ვიგოტსკი, 1984). უახლოესი განვითარების ზონის სიდიდე ბავშვის სწავლების და განვითარების იმ მარაგის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც მას მოცემულ მომენტში აქვს. სწავლების ყოველი ახალი ნაბიჯი იყენებს ბავშვის უახლოესი განვითარების ზონას და ერთდროულად ქმნის ახალს, რომელიც შემდგომი სწავლების წინაპირობა ხდება.

5 წლის ასაკის ბავშვს ხშირად ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორიცაა აზროვნების კონკრეტულობა, მეხსიერების და ყურადღების უნებლიობა (იხ. შემეცნებითი (კოგნიტური) პროცესების განვითარება. გვ. 11). 5 წლის ასაკის ბავშვისთვის ძნელია ყურადღების ნებისმიერად წარმართვა, იგი ძნელად იმახსოვრებს იმას, რასაც მისგან უფროსები მოითხოვენ, მაგრამ შეუძლია დაიმახსოვროს იგივე მასალა თამაშის ან მისთვის საინტერესო სხვა მოქ-

მედების პროცესში.

სწორად ორგანიზებული სწავლება გვაძლევს საშუალებას დავძლიოთ ბავშვის აზროვნების კონკრეტულობა. ვასწავლოთ მას, გამოყოს გარემოს მოვლენებში ძირითადი, განმსაზღვრელი ნიშნები. იფიქროს საგანთა ზოგად თვისებებზე და ურთიერთობებზე, შეამჩნიოს მოვლენათა მარტივი კანონზომიერება, იმსჯელოს და გააკეთოს დამოუკიდებელი დასკვნები.

სწავლებას საშუალება აქვს ზემოქმედება მოახდინოს და მიმართულება მისცეს ფსიქიკური პროცესების განვითარებას. ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს შეიძლება ყველაფერი ვასწავლოთ და არ მივიღოთ მხედველობაში მისი ასაკი. სწავლებამ უნდა უზრუნველყოს ფსიქიკური განვითარების ყველაზე სრულყოფილი გზა, ყოველ ასაკობრივ საფეხურზე მისცეს ბავშვს ის, რაც მაქსიმალურად ხელს უწყობს მის განვითარებას.

5 წლის ასაკის ბავშვის წინაშე უნდა დავაყენოთ თანდათანობით გართულებული ამოცანები, რომლებიც დამოუკიდებლად შემეცნებას მოითხოვს. მათ უნდა ვასწავლოთ ასეთი შემეცნების საშუალებები და ხერხები, ვასწავლოთ საგნების გეგმაზომიერი გამოკვლევა, მათი თვისებების გამოვლენა და შედარება, დასკვნის გაკეთება და მიღებული შედეგების ქცევაში გამოყენება. გარდა ამისა, ხელი უნდა შევუწყოთ ბავშვების შემოქმედებითობის განვითარებას.

თამაშის როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში

5 წლის ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა თამაში. თამაშში ყალიბდება ბავშვის ფსიქიკური თვისებები და პიროვნული თავისებურებები. თამაში გავლენას ახდენს ნებისმიერი ფსიქიკური პროცესების ფორმირებაზე. მაგალითად, თამაშში განვითარებას იწყებს ნებისმიერი ყურადღება და მეხსიერება. თამაში გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების განვითარებაზეც. თამაშის პროცესში ბავშვი სწავლობს აზროვნებას საგნების შესახებ და მათ გონებრივ ჭრილში გამოყენებას. ამგვარად, თამაში განაპირობებს ბავშვის თანადათანობით გადასვლას წარმოდგენათა ჭრილში აზროვნებაზე. სიუჟეტურ-როლური თამაში საფუძვლად ედება აზროვნების განსაკუთრებული თვისებების ფორმირებას, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს დადგეს სხვა ადამიანების პოზიციაზე, გაითვალისწინოს მომავალი ქცევა და ამის საფუძველზე ააგოს საკუთარი ქცევა. როლური თამაში ხელს უწყობს წარმოსახვის განვითარებასაც. თამაშში ბავშვი სწავლობს ერთი საგნის მეორით ჩანაცვლებას, ასრულებს სხვადასხვა სოციალურ როლს.

თამაში გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე. ბავშვი ეცნობა მოზრდილთა ქცევასა და ურთიერთობებს, რომელიც მისი ქცევის ნიმუში ხდება. ბავშვი იძენს ურთიერთობის ძირითად ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია თანატოლებთან და მოზრდილებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

თამაშის ქცევაში ჩამოყალიბებას იწყებს სასწავლო მოქმედებაც, რომელიც მოგვიანებით ქცევის წამყვანი ფორმა ხდება. სწავლა შემოაქვს მოზრდილს, ის უშუალოდ არ აღმოცენდება თამაშიდან. 5 წლის ასაკის ბავშვი სწავლას თამაშში იწყებს. იგი მას ისე ეკიდება, როგორც გარკვეული წესების მქონე თავისებურ როლურ თამაშს. ასრულებს რა ამ წესებს, ბავშვი შეუმჩნევლად ეუფლება ელემენტარულ საწავლო მოქმედებას. მას უყალიბდება

სწავლის უნარი და სურვილი.

თამაში დიდ გავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე. თამაშის სიტუაცია მასში ჩართული ყველა ბავშვისგან მოითხოვს სამეტყველო ურთიერთობის განვითარების გარკვეულ დონეს. თუ ბავშვს არ შეუძლია მკაფიოდ გამოთქვას თავისი აზრები და სურვილები, არ შესწევს უნარი გაიგოს ამხანაგის სიტყვიერი ინსტრუქციები, ის ვერ შეძლებს თამაშს თანატოლებთან. თანატოლებთან ურთიერთობის სურვილი სტიმულს აძლევს გამართული მეტყველების განვითარებას.

თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეფლექსიური აზროვნების განვითარებისთვის.

რეფლექსია - ეს არის ადამიანის უნარი გაანალიზოს საკუთარი მოქმედებები, ქცევა, მოტივები და შეუფარდოს ისინი საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებს, სხვა ადამიანების ქცევებს, მოტივებს. რეფლექსია ხელს უწყობს სოციალურ გარემოში ბავშვის ადეკვატურ ქცევას.

ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის ფორმები. ადრეული ასაკის ბავშვები თამაშის დროს არ ისახავენ მიზანს, არ ადგენენ თამაშის წესებს. 5-6 წლის ასაკის ბავშვები კი ისახავენ მიზანს, ადგენენ თამაშის წესებს, ეხმარებიან ერთმანეთს. 5 წლის ასაკის ბავშვებისთვის ტიპიურია: მოტორული თამაშები, თამაში – „ბრძოლა-ძალების მოსინჯვა ", როლური და წესებიანი თამაში.

მოტორული თამაშები: სირბილი, ხტუნვა, სხვადასხვა მოტორული აქტივობა, რომლებიც ბავშვს დიდ სიამოვნებას ანიჭებს და ხელს უწყობს მოძრაობათა კოორდინაციის განვითარებას.

თამაში - „ბრძოლა-ძალების მოსინჯვა": მასწავლებლები და მშობლები ხშირად უკრძალავენ ბავშვებს ამ სახის თამაშს, რათა არ დაუშვან ჩხუბი ბავშვებს შორის. მაგრამ თამაში – „ბრძოლა", მხოლოდ თამაშია და არა ნამდვილი ჩხუბი. ის საშუალებას აძლევს ბავშვებს, დახარჯონ ზედმეტი ენერგია, ფიზიკურად ივარჯიშონ, შეიკავონ ემოციები და გააკონტროლონ იმპულსები. ამ სახის თამაშს ბიჭები უფრო ხშირად თამაშობენ, ვიდრე გოგონები.

როლური თამაში: ბავშვები ათამაშებენ სიუჟეტებს და ასრულებენ სხვადასხვა როლს. ასეთი თამაში მოიცავს არა მხოლოდ უფროსის ქცევის მიბაძვას, ასევე ფანტაზიას და ურთიერთობის ახალ ფორმებს. როლური თამაშის დახმარებით ბავშვები ეცნობიან სოციალურ ურთიერთობებს და ნორმებს, კულტურულ ტრადიციებს.

წესებიანი თამაში: ბავშვები ადგენენ თამაშის წესებს, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. ამ თამაშს ჰყავს გამარჯვებული და დამარცხებული. ეს თამაში მოითხოვს გარკვეულ კოგნიტურ (შემეცნებით) უნარებს, თამაშისას უნდა გათვალო ამა თუ იმ აქტივობის შედეგი, ისწავლო წაგება და მოგება.

ამრიგად, თამაში ავითარებს:

- **სწავლის უნარს;**
- **შემოქმედობითობას და ფანტაზიას;**
- **სხვა ბავშვებისა და ადამიანებისადმი სიყვარულსა და კეთილგანწყობას;**
- **იწვევს სიხარულის ემოციას, რაც აუცილებელია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის;**
- **აყალიბებს ბაზისურ ნდობას გარე სამყაროს მიმართ.**

ბავშვის განვითარება შემდეგ სფეროებს მოიცავს:

ფიზიკურ ზრდას, რაც გულისხმობს სხეულის ზომებისა და ფორმის, ცენტრალური ნერვული სისტემის, სენსორული და მოტორული უნარების განვითარებას.

კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების – აღქმის, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების განვითარებას.

ფსიქო-სოციალურ სფეროს — პიროვნული ნიშნების შეძენასა და საკუთარი უნიკალურობის გრძნობის განვითარებას, მის ადაპტაციას საზოგადოების მოთხოვნებთან და კულტურულ გარემოსთან.

ბავშვის განვითარების თავისებურებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით

ფიზიკური განვითარება

ფიზიკური განვითარების ცნება, ვიწრო გაგებით, გულისხმობს ორგანიზმის განვითარებას, რომელიც განისაზღვრება ანთროპოლოგიური და ბიომეტრული მაჩვენებლებით: სიმაღლე, წონა, გულ-მკერდის შემოწერილობა, ტანადობა, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა და სხვ. ფართო გაგებით კი ფიზიკურ განვითარებაში ფიზიკური მოძრაობითი უნარ-ჩვევების განვითარებაც იგულისხმება: სისწრაფე, სიმარდე, მოქნილობა, ძალა, ამტანობა.

5 წლის ასაკის ბავშვის ორგანიზმი, ორგანოები და ფიზიოლოგიური პროცესები სწრაფად ვითარდება, მაგრამ მათი მოქმედება ჯერ არასრულყოფილია, ორგანიზმის დაცვითი თვისებები სუსტად არის გამოვლენილი. ამის გამო გარემოს არახელსაყრელი პირობები, ავადობები და ავადმყოფობები ძალიან იოლად მოქმედებს მასზე. ამიტომ, აუცილებელია ვიზრუნოთ ბავშვის ძვლოვანი სისტემების განვითარებაზე, კუნთების ყველა ჯგუფის და სუნთქვითი სისტემების განმტკიცებაზე, ნერვული სისტემისა და შეგრძნებათა ორგანოების განვითარებაზე და სხვ. **ამისათვის კი საჭიროა სკოლაში დღის რეჟიმი სწორად იყოს ორგანიზებული, სასწავლო დატვირთვა უნდა შეესატყვისებოდეს ბავშვის ფუნქციურ შესაძლებლობებს, გამოყენებული უნდა იქნას ფიზიკური ვარჯიშები, რომლებიც მიმართულია კისრის და ზურგის კუნთების, ხელის მტევნისა და ფეხის ტერფის გასამაგრებლად, რაციონალურად უნდა იყოს განაწილებული დრო მეცადინეობისა და დასვენებისთვის.**

სრულყოფილი ფიზიკური განვითარების შედეგად ბავშვს უძლიერდება მოძრაობის მოთხოვნილება, უვითარდება და უყალიბდება ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩვევები, ეგუება დღის რეჟიმს. მას უჩნდება ინტერესი ყოველდღიური ფიზიკური აქტივობებისადმი, რომელთა შესრულება ხელს უწყობს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ მის მრავალმხრივ განვითარებას.

ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს ბავშვის მოტორულ, სენსორულ, ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებას. მრავალფეროვანი ფიზიკური აქტივობების წყალობით ბავშვს განსაკუთრებით უვითარდება **მსხვილი მოტორული უნარები.** 5 წლის ასაკის ბავშვს შეუძლია სირბილი; ერთ ფეხზე (მარჯვენა და მარცხენა) ხტომა წინსვლით; ადგილიდან

სიგრძეზე ხტომა; გამორბენით სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა; სრიალი; გორაობა; აძრომა; მიზანში სროლა; სიარული ცერებზე, ნახევარბუქნით, ქუსლიდან ცერზე გადასვლით; საგნებს შორის კლაკნილად ფორთხვა; ოთხზე გავლა ხელებსა და ტერფებზე დაყრდნობით, ქუსლიდან ცერზე გადასვლით; სირბილი მუხლების აწევით; სკამის ქვეშ გაძრომა.

ნატიფი მოტორული უნარები შედარებით სუსტად არის განვითარებული (წერა, ჩანგლის ხმარება). ამიტომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნატიფი მოტორიკის განვითარებას, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოები.

ფიზიკური აქტივობა პიკს აღწევს 3 წლის ასაკის ბავშვებში, შემდეგ კი თანდათანობით კლებულობს. გოგონებთან ის უფრო სწრაფად იკლებს, ვიდრე ბიჭებთან. ამიტომ 5 წლის ბიჭი უფრო მოუსვენარია, ვიდრე გოგონა.

5 წლის ასაკის ბავშვს შეუძლია გუნდურ თამაშებში მონაწილეობის მიღება, რომლის დროსაც ბავშვები სწავლობენ როგორც საკუთარი მოტორული ქცევის კოორდინირებას, ასევე თანამშრომლობასა და წესების დაცვას.

შემოქმედებითი ხასიათის აქტივობები (ცეკვა, რითმული მოძრაობები) ხელს უწყობს მოძრაობის დახვეწას და წარმოსახვის განვითარებასაც.

ფიზიკური აქტივობები აუმჯობესებს დროისა და სივრცის აღქმას, ხელს უწყობს დროის და სივრცითი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. მაგალითად, ბავშვები განარჩევენ რა არის მათ უკან, წინ, ზემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ, ახლოს, შორს და სხვ.

მოტორული უნარების დაუფლებას განაპირობებს: მზაობა, აქტივობა, ყურადღება და უკუკავშირი.

მზაობა. ახალი მოტორული უნარის დაუფლებისთვის აუცილებელია ბავშვის მზაობა. თუ ახალი მოტორული აქტივობის დაუფლება მოხდება მზაობის პერიოდში, ბავშვი მას დაეუფლება სწრაფად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე. თუ ბავშვი მზად არის ახალი მოტორული უნარის ასათვისებლად, ის ხალისით სწავლობს და უხარია წარმატება. ბავშვის ქცევა საუკეთესო ინდიკატორია იმის დასადგენად, მზად არის თუ არა ბავშვი ახალი მოტორული უნარის ასათვისებლად. მზაობის შემთხვევაში ბავშვი იწყებს რაიმე მოქმედების მიბაძვას, მაგალითად, წერის.

აქტივობა. აქტივობა აუცილებელია მოტორული განვითარებისთვის. თუ ბავშვი არ ახორციელებს აქტივობას (არ აქვს შესატყვისი პირობები, სადაც შეიძლება განხორციელდეს აქტივობა; არ არის ადამიანი, ვისაც მიბაძავს), მას ექნება სირთულე მოტორულ განვითარებაში.

ყურადღება. ყურადღება განაპირობებს მოტორული უნარის დაუფლების ეფექტურობას. 5 წლის ასაკის ბავშვებს უკეთესად შეუძლიათ ყურადღების კონცენტრაცია, თუ ისინი აქტიურად იმეორებენ სხვის მოქმედებას. 6 წლის ბავშვს კი შეუძლია ყურადღება მიაქციოს ვერბალურ ინსტრუქციასაც.

უკუკავშირი[3]**.** მოტორული უნარის დაუფლებას განაპირობებს – მიღწევის მოტივაცია[4]. ბავშვი ასრულებს რაიმე აქტივობას იმისთვის, რომ შეამოწმოს თავისი ძალა, მოხერხებულობა და მიიღოს სიამოვნება. ის ამოწმებს თავის შესაძლებლობებს და ღებულობს სიამოვნებას ხტუნვაში, სირბილში, მოტორულ თამაშებში. ეს არის შინაგანი მოტივაცია.

ბავშვმა შეიძლება შეასრულოს მოტორული აქტივობა იმ მიზნითაც, რომ დაიმსახ-

3 ინფორმაცია, რამდენად წარმატებულად მოახერხა ბავშვმა ამა თუ იმ მოქმედების შესრულება.
4 წარმატებული შედეგისკენ სწაფვა.

უროს შექება, მიიღოს ჯილდო, გაიმარჯვოს შეჯიბრში. ეს არის გარეგანი მოტივაცია.

უკუკავშირის ისეთ ფორმებს, როგორიც არის გაღიმება, შექება, ჯილდო ბავშვები იღებენ უფროსების ან თანატოლებისგან. უკუკავშირი ამყარებს მიღწევის მოტივაციას. ბავშვის შექებისას უნდა მივუთითოთ ის კონკრეტული წარმატება, რასაც ბავშვმა მიაღწია. მაგალითად, უნდა ვუთხრათ: „შენ დღეს უკეთ დაწერე ასო „ა"; „კარგად შეასრულე თითების ვარჯიში", და არა უბრალოდ – „ყოჩაღ!". ეს გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანს ბავშვს, ვიდრე ზოგადი შექება.

კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების განვითარება

აღქმა

5 წლის ასაკის ბავშვის აღქმა თანდათანობით უფრო სრულყოფილი ხდება. განსაკუთრებულ გავლენას აღქმაზე მეტყველების განვითარება ახდენს. ბავშვს ახლა უკვე შეუძლია საგნებსა და ობიექტებს დაარქვას სახელები, სიტყვიერად გამოყოს მათი თვისებები, მახასიათებლები, შეაფასოს მოვლენების მიმდინარეობა, კავშირი მათ შორის და ა.შ. ეს აღქმას უფრო დანაწევრებულსა და ორგანიზებულს ხდის.

5 წლის ასაკის ბავშვის აღქმა მაინც არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მოხაზულობის მქონე ასოებსა და ციფრებს (6—9; შ—წ).

თვალში საცემია საგნის „მკვეთრი" თვისებები (ფერი, ფორმა, ზომა), ამიტომ მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ბავშვებს დაკვირვება. მასწავლებელს ძალიან დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვის აღქმის განვითარებაში, თუ სწორად შეურჩევს ნახატებს, სურათებს და დაეხმარება მას აღქმის ორგანიზებაში. მაგალითად, მისცემს მითითებას, დაათვალიეროს ნახატის დეტალები გარკვეული თანმიმდევრობით, იპოვოს ნახატში სხვადასხვა დეტალი, ააწყოს ნაწილებიდან მთელი და ა.შ.

5 წლის ასაკში ჩნდება **სინთეზური აღქმა — აღქმული ობიექტის ელემენტებს შორის კავშირის დამყარება.** თუ მანამდე ნახატის აღწერისას ბავშვი ასახელებდა ნახატზე გამოსახულ ობიექტებს, ახლა მას შეუძლია ნახატის აღწერა, შემდგომში კი შეძლებს მის ინტერპრეტაციას.

სწავლების შედეგად აღქმა ხდება ანალიზური, ის იძენს ორგანიზებული დაკვირვების ხასიათს. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვს ობიექტის არსებითი ნიშნების, საგნებისა და მოვლენების თვისებების გამოვლენა. აღქმის განვითარების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის შედარება.

5 წლის ასაკის ბავშვის აღქმისათვის ასევე დამახასიათებელია ემოციურობა. მასზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის ემოციური შექება, შეფასება, ვიდრე ნეიტრალური ტონით ნათქვამი „საქებარი" სიტყვები.

აღქმის შემდეგი თავისებურებაა — აღქმის კავშირი მოქმედებასთან. აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის პრაქტიკულ საქმიანობასთან. საგნის აღქმა 5 წლის ბავშვისთვის ნიშნავს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, ხელში აღებას. ამიტომ 5 წლის ბავშვების სწავლებისას გაკვეთილზე დიდი დრო

უნდა დაეთმოს საგნებზე პრაქტიკულ მოქმედებას და თვალსაჩინო მასალაზე მუშაობას.

ვითარდება **აღქმის „სოციალიზაცია”,** 5 წლის ასაკის ბავშვი უპირატესობას ანიჭებს ადამიანისგან წამოსულ სიგნალებს.

აღქმის განვითარებაში ასეთი წინსვლის მიუხედავად, ამ პერიოდში წამყვანი მაინც საგნის გარეგნული, თვალსაჩინო მახასიათებლებია. ამას ბავშვი ხშირად შეცდომაში შეჰყავს, რადგან დასკვნას გარეგნული, თვალსაჩინო თვისებების დაყრდნობით აკეთებს. მაგალითად, ამ ასაკის ბავშვისთვის თუ საგანი დიდია, ამიტომ ის მძიმეც უნდა იყოს.

5 წლის ასაკის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორიცაა: ხატვა; სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა; ძერწვა; ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა; გამოცანების გამოცნობა და ა.შ. ამ აქტივობების განხორციელებისას ბავშვი ეჩვევა ობიექტური მასალის გარდაქმნას და იძულებულია ანგარიში გაუწიოს საგნის ობიექტურ თვისებებს. შესაბამისად, აღქმა უფრო დანაწევრებული და ორგანიზებული ხდება.

ყურადღება

5 წლის ასაკის ბავშვისთვის ტიპიურია უშუალო ინტერესით, ემოციით წარმართული ყურადღება. ყურადღება, როგორც საზოგადოდ ბავშვის ქცევა, ამ ასაკში იმპულსურია. თუმცა 5 წლის ასაკში იწყება ნებისმიერი ყურადღების[5] განვითარებაც. ყურადღების განვითარების ამ ძირითად ხაზთან ერთად ვითარდება ყურადღების სხვა თვისებებიც. იზრდება **ყურადღების სიმტკიცე (ყურადღების ხანგრძლივი წარმართვა ერთი და იმავე მიმართულებით, ერთ და იმავე ობიექტზე).** თუ აქამდე ბავშვს შეეძლო აქტიური ყურადღების შეჩერება 8-10 წუთის განმავლობაში, 5 წლისთვის ეს დრო 15-20 წუთი ხდება.

ყურადღების მოცულობა (ერთდროულად, დროის ერთ მონაკვეთში დანახული ობიექტების რაოდენობა) 2-3 ერთეულს შეადგენს. უნებლიე ყურადღების **გადაუხრადობა (უცხო, ხელისშემშლელი გამღიზიანებლების მიმართ, მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა)** ორჯერ მეტია, ვიდრე 4 წლის ასაკში.

ცხადია, ყურადღების გადაუხრადობას და სიმტკიცეს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის პროცესის განხორციელებისათვის. მეორეს მხრივ, თვით სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ყურადღების ამ თვისებების განვითარებას.

ბავშვები იწყებენ საკუთარი ყურადღების მართვას, ნებისმიერად შეუძლიათ წარმართონ და შეაჩერონ ყურადღება მხოლოდ თვალსაჩინო, მისთვის საინტერესო რაიმე საგანსა თუ მოვლენაზე, რომლის მიმართაც ბავშვს უჩნდება ემოციური დამოკიდებულება. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ყურადღების ორგანიზებაში რაიმე საქმიანობაში ჩართვით, გარეგანი დამხმარე საშუალებებით, არავერბალური მინიშნებით და ა.შ. როდესაც ბავშვები რაიმე ერთობლივ საქმიანობაში არიან ჩართულნი, მაგალითად, გამოცანების გამოცნობაში, მასწავლებელი მითითებას აძლევს ბავშვებს, დაიცვან რიგი, ყურადღებით მოუსმინონ გამოცანას და შემდეგ უპასუხონ ხელის აწევით და ა.შ.

ნებისმიერი ყურადღების განვითარებისთვის საჭიროა „ახლო” მოტივაციის გამოყენება, ესენია: მასწავლებლის შექება, შეფასება, ჯილდო და ა.შ.

5 ყურადღების სახე, როდესაც ყურადღება წარიმართება განზრახვის ან გადაწყვეტილების საფუძველზე, განსხვავებით უნებლიე ყურადღებისგან, როდესაც ადამიანის ყურადღება უნებურად, განზრახვის გარეშე წარიმართება. მაგ., ადამიანის ყურადღებას თავისდაუნებურად იპყრობს ახალი საგანი ან საინტერესო მოვლენა.

მეხსიერება

5 წლის ასაკის ბავშვების მეხსიერება თვალსაჩინო-ხატოვანია. ისინი უკეთ იმახსოვრებენ კონკრეტულ ფაქტებს, მოვლენებს, პირებს, ვიდრე განმარტებას, აღწერას, ახსნას. მათ მეტად ახასიათებთ მექანიკური დამახსოვრება, არ აცნობიერებენ აზრობრივ კავშირებს დამახსოვრებულ მასალაში. ამიტომ, სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად გამოყენებული უნდა იქნას დიდი რაოდენობით თვალსაჩინო მასალა.

5 წლიდან უკვე ვითარდება ნებისმიერი მეხსიერება[6]. თუმცა, მიზანმიმართული დამახსოვრება და აღდგენა მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ძირითადად, თამაშსა და სხვა აქტივობებში ვლინდება, მაგალითად, უფროსის დავალების შესრულებაში. ვინაიდან თამაში 5 წლის ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა, ბავშვს უფრო იოლად შეუძლია დაიმახსოვროს მისთვის რთული მასალა თამაშის პროცესში, ვიდრე ხანგრძლივი, მრავალსაათიანი მეცადინეობით.

განვითარების ამ ეტაპზე ბავშვი ჯერ კიდევ არ ფლობს სწავლის ხერხებსა და საშუალებებს. ამაში მას უფროსი ეხმარება, რომელიც ასწავლის გამეორების საშუალებით როგორ დაიმახსოვროს ჯერ სტრიქონები, შემდეგ სტროფები და, ბოლოს, როგორ გააერთიანოს ნასწავლი. **ბავშვებს უნდა ვასწავლოთ — გამეორების დროში განაწილება, გამეორების მრავალფეროვნება (ხმამაღლა, ჩურჩულით, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით და ასევე შინაგან ჭრილში (გონებაში), გარეგანი გამოვლინებების გარეშე), ობიექტების დაჯგუფება და აზრობრივი მიმართების დამყარება.** მასწავლებელმა ბავშვს უნდა დაუსვას დამხმარე კითხვები: მერე? ამის შემდეგ რა მოხდა? რა მოჰყვება ამ სიტყვას? და ა.შ. ბავშვი თანდათანობით სწავლობს გამეორებას, მასალის გააზრებას, მასალის დამახსოვრების მიზნით, მის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას და დამახსოვრების სხვა საშუალებების გამოყენებას.

ყველაზე კარგი პირობა ნებისმიერი დამახსოვრებისა და აღდგენისათვის არის თამაშის სიტუაცია, როდესაც ბავშვს საკუთარი როლის შესასრულებლად სჭირდება რაიმე ტექსტის ან ლექსის დამახსოვრება. მაგალითად, როდესაც ბავშვი ასრულებს გამყიდველის როლს, მას სჭირდება დაიმახსოვროს იმ საგანთა ჩამონათვალი, რომლებსაც „ყიდის". ამ შემთხვევაში იგი იმახსოვრებს გაცილებით მეტ სიტყვას, ვიდრე მასწავლებლის მოთხოვნის შემთხვევაში დაიმახსოვრებდა.

5 წლის ასაკში ვითარდება ლოგიკური მეხსიერების ელემენტებიც. ისინი ვლინდება მასალის არა მექანიკურ დამახსოვრება-აღდგენაში, არამედ ეფუძნება ლოგიკას. მახსიერების ეს სახე თავს იჩენს ისეთი მასალის დამახსოვრებისას, რომლის შინაარსიც ბავშვისთვის გასაგებია. მაგალითად, როდესაც ბავშვი ჰყვება ზღაპარს, ის არ არღვევს მის ლოგიკურ თანმიმდევრობას, თუმცა, შეიძლება რაღაც დეტალები გამორჩეს, ან თავისი დეტალები დაამატოს.

მასწავლებელმა უნდა იმუშაოს ბავშვის როგორც მექანიკური, ასევე ლოგიკური მეხსიერების განვითარებაზე, სმენითი და მხედველობითი მეხსიერების მოცულობის გაზრდაზე. ამ ასაკის ბავშვებს ძალიან მოსწონთ მეხსიერებისა და აზროვნების განმავითარებელი სავარჯიშოები, რომლებიც მნიშვნელოვნად ანვითარებს აღნიშნულ ფსიქიკურ პროცესებს.

6 მეხსიერების აქტიური ფორმა, როდესაც ადამიანი განზრახ დაიმახსოვრებს ან მოიგონებს რაიმეს.

აზროვნება

ჟ. პიაჟეს (1994) აზრით, ბავშვის აზროვნების განვითარებას განსაზღვრავს ბავშვის უნარების მომწიფება და მისი ურთიერთობა გარემოსთან. ჟ. პიაჟე ბავშვს განიხილავს, როგორც ამ პროცესის აქტიურ მონაწილეს და არა როგორც ბიოლოგიური მომწიფებისა და გარემოდან შემოსული სტიმულების პასიურ „მიმღებს".

5 წლის ასაკის ბავშვები არჩევენ მენტალურ (გონებრივ) რეალობას ფიზიკური რეალობისგან და უშვებენ, რომ გარემოში, სოციალური ნორმების გარდა, არსებობს მექანიკური კანონებიც. მაგალითად, 5 წლამდე ასაკის ბავშვი შეიძლება ფიქრობდეს, რომ გარშემო ყველაფერი არის მათი მშობლების ან სხვა უფროსების მიერ შექმნილი. ამ ასაკში კი აღიარებენ სხვა ძალების მნიშვნელობასაც. 5 წლის ასაკში ბავშვები იწყებენ იმის გაგებას, რომ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა შეხედულება, თუმცა არ არიან თანმიმდევრულნი და სისტემატიურნი. მიუხედავად იმისა, რომ 5 წლის ასაკის ბავშვის აზროვნება ხდება უფრო რაციონალური, ცალკეული მოვლენების ახსნისას ისინი ხშირად მიმართავენ „მაგიურ" აზროვნებას. მართალია, ბავშვი დარწმუნებულია იმაში, რომ, მაგალითად, ბავშვი ვერ გადაიქცევა ცხოველად, თუმცა, ამავე დროს მათ სჯერათ ჯადოსნურ ზღაპრებში აღწერილი მოვლენების.

ჟ. პიაჟეს მიხედვით, 5 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების არსებითი მახასიათებელებია: თვალსაჩინოება, კონკრეტულობა, შეუქცევადობა, ეგოცენტრიზმი და ცენტრირება საგნის ერთ ნიშანზე.

თვალსაჩინოება. როცა 5 წლის ბავშვს ვეკითხებით, მაგალითად, რით განსხვავდება ვაშლი მსხლისგან? ის გაცილებით სწრაფად და ადვილად შეასრულებს ამ ოპერაციას, თუ ხედავს აღნიშნულ ობიექტებს და აწყდება სირთულეებს, თუ ეს გონებაში უნდა შეასრულოს. მეორე მაგალითი – კუბებიდან ნახატის აწყობა. მოზრდილი ადამიანი მოგვცემს პასუხს, კუბებიდან მთლიანი ნახატის აწყობის გარეშეც. ბავშვს კი ამის გაკეთება არ შეუძლია. მან ჯერ კუბებიდან ნახატი უნდა ააწყოს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა პასუხს.

კონკრეტულობა. ბავშვი აზროვნებისას ეყრდნობა მის გამოცდილებაში მქონე ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებს. მაგალითად, კითხვაზე – რატომ არ შეიძლება ცივი წყლის დალევა? ბავშვი პასუხობს კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით: „ერთმა ბავშვმა დალია და ავად გახდა".

შეუქცევადობა. ბავშვებს არ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ რომელიმე ობიექტი შეიძლება დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას, ან რომ ობიექტებს შორის არსებობს ორმხრივი კავშირი. მაგალითად, ბავშვს ეკითხებიან: — „ეკა შენ გყავს და?" ის პასუხობს: — „დიახ". „რა ჰქვია შენს დას?" „ნინო". „ნინოს ჰყავს და?" — „არა". ამ შემთხვევაში კავშირს აქვს მხოლოდ ერთი მიმართულება: გოგონამ იცის, რომ მას ჰყავს და ნინო, მაგრამ არ ესმის რომ ის თვითონ არის ნინოს და.

ეგოცენტრიზმი. ბავშვს არ შეუძლია დადგეს სხვა ადამიანის პოზიციაზე. მაგალითად, ბავშვს სვამდნენ მაგიდასთან, რომელზეც მოთავსებული იყო მთის მაკეტი და აჩვენებდნენ სხვადასხვა კუთხიდან გადაღებულ მთის მაკეტის ფოტოებს. პირველად ბავშვს სთხოვდნენ, აერჩია ის ფოტო, რომელიც მისი ადგილიდან ჩანდა. ხოლო შემდეგ, აერჩია ფოტო მთების მაკეტის ისეთი გამოსახულებით, რომელსაც სხვა ადგილას მჯდომი თოჯინა ხედავდა. ბავშვების უმრავლესობას არ უჭირს პირველი ფოტოს მოძებნა, მაგრამ განიცდის სირთულეებს მეორე ფოტოს არჩევისას. ამის საფუძველზე ჟ. პიაჟე აკეთებს დასკვნას,

რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, შეხედულება არის ერთადერთი სწორი თვალსაზრისი. 5 წლის ასაკის ბავშვი უკვე უშვებს სხვა პოზიციის არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ თვლის რომ სწორია მხოლოდ მისი პოზიცია, თვალსაზრისი.

ცენტრირება საგნის ერთ ნიშანზე. 5-6 წლის ბავშვს არ შეუძლია გაითვალისწინოს ერთდროულად საგნის რამდენიმე ნიშანი. მაგალითად. როდესაც ბავშვს აჩვენებენ გარკვეული რაოდენობის ხის ბურთებს, რომელთაგან ზოგი შეღებილია ლურჯად, ხოლო ზოგი ყვითლად და ეკითხებიან – "რომელი ბურთებია მეტი, ხის თუ ლურჯი?" ბავშვები არასწორად პასუხობენ. მათ არ შეუძლიათ ერთდროულად გაითვალისწინონ ბურთების ფერი და უფრო ზოგადი კეტოგორია – მასალა, რისგანაც ბურთებია დამზადებული.

5 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების ზემოთ აღწერილი მახასიათებლები ასრულებენ ადაპტაციურ ფუნქციას და უზრუნველყოფენ კოგნიტური სისტემის განვითარებას. მაგალითად, ეგოცენტრიზმი, რომელიც ითვლებოდა ბავშვის აზროვნების სუსტ მხარედ, ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას. ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ მასალის დამახსოვრებისა და აღდგენის ხერხებს, თუ მიწოდებული ინფორმაცია მათ ეგოცენტრულ პოზიციასთან რაიმე კავშირშია. ცალკეულ შემთხვევაში ეგოცენტრიზმმა შეიძლება გაზარდოს ბავშვის შემეცნებითი შესაძლებლობები, რადგან მოვლენის ინტერპრეტაცია საკუთარი პოზიციიდან ეხმარება მას უკეთ გაიგოს და დაიმახსოვროს მასალა.

5 წლის ასაკის ბავშვებს აქვთ გარკვეული სირთულეები ობიექტების კლასიფიკაციისას. მათ უჭირთ იმის გაგება, რომ კლასიფიკაციის საფუძველი შეიძლება იყოს ობიექტის სხვადასხვა ნიშანი. მაგალითად, ბავშვს შეუძლია დააჯგუფოს თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი მათი დანიშნულების მიხედვით, მაგრამ ვერ მოიფიქრებს, რომ თეფშების დაჯგუფება შეიძლება სიდიდის ან ფერის მიხედვით.

მათ ასევე უჭირთ ისეთი ცნების გაგება, როგორიცაა — **თანმიმდევრობა.** მაგალითად, თუ ბავშვს ვაჩვენებთ სხვადასხვა სიგრძის 6 ჩხირს, ის გვიპასუხებს, რომელია მათ შორის ყველაზე გრძელი და ყველაზე მოკლე. მაგრამ ვერ შეძლებს მათი სიგრძის მიხედვით დალაგებას, ვინაიდან ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად მან უნდა გაითვალიწინოს ერთდროულად ორი ფაქტორი: ყოველი ჩხირი წინაზე მოკლე უნდა იყოს და მომდევნო ჩხირზე უფრო გრძელი.

5 წლის ასაკის ბავშვებს არ ესმით რაოდენობის „შენახვა". მაგალითად, ბავშვის წინაშე აწყობენ რაიმე საგნების ორ რიგს. თითოეულ რიგში 6 საგანია და ერთი რიგის საგნები ზუსტად მეორე რიგის ქვემოთ მდებარეობს. კითხვაზე, თუ რომელ რიგში არის მეტი საგანი, ბავშვი პასუხობს, რომ ტოლი რაოდენობაა. თუ ერთ-ერთი რიგის საგნებს მივუახლოვებთ ერთმანეთს, ხოლო მეორე რიგიდან მოვაკლებთ ერთ საგანს და ობიექტების შორის მანძილს გავზრდით, ამ შემთხვევაში ბავშვი გვიპასუხებს, რომ ვიზუალურად უფრო გრძელ რიგში მეტი საგანია (იხ. ნახატი 1).



ნახატი 1.

თანამედროვე გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 5 წლის ასაკის ბავშვმა შეიძლება განახორციელოს აზროვნების უფრო რთული ფორმები, ვიდრე ეს მათი ასაკისთვისაა დამახასიათებელი და რომლის დემონსტრირებასაც ისინი სპონტანურად არ ახდენენ. **ამისათვის კი საჭიროა, რომ მათ წინაშე დაისვას მკაფიო, ნათელი, კონკრეტული ამოცანა და მიეცეთ მითითებები.**

მეტყველება

ბავშვის მეტყველების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების განვითარებასთან. ბავშვი მარტივი წინადადებებიდან გადადის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებაზე. წინადადებების ფორმულირებისას ბავშვი იყენებს კავშირებს – იმიტომ რომ, თუ, იმისთვის და ა.შ.

5 წლის ასაკის ბავშვის მეტყველების სემანტიკური მხარე შედარებით ღარიბია. სიტყვების მნიშვნელობას აკლია სიზუსტე — ხან ძალიან შევიწროებულია, ხან ზედმეტად ფართე.

ასევე ბავშვებს უჭირთ მეტყველების, როგორც საგნის, ანალიზი. ბავშვი, რომელიც პრაქტიკულად დაუფლებულია მეტყველებას, განიცდის სირთულეს სიტყვაში ბგერითი კომპონენტების გამოყოფაში. ამავე დროს უჭირთ, მსგავსი ჟღერადობის სიტყვების და სიტყვათა შეთანხმების აზრის გაგება. მაგალითად, მასწავლებლის შვილი და შვილის მასწავლებელი.

ამ ასაკისათვის დამახასიათებელია შინაგანი მეტყველების განვითარებაც. **შინაგანი მეტყველება, ეს არის მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვითრეგულაციას.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტყველების განვითრება მჭიდროდ არის დაკავშირებული აზროვნების განვითარებასთან. ეს კავშირი განსაკუთრებით გამოვლინდება შინაგანი მეტყველების ფორმირების პროცესში. შინაგანი მეტყველება ასრულებს ქცევის დაგეგმვის ფუნქციას, რომელიც ხორციელდება შინაგან ჭრილში (გონებაში).

წიგნიერების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური და კულტურული ფაქტორები. ლ. ვიგოტსკის თანახმად, ბავშვები სწავლობენ წერას და კითხვას მშობლებთან, და-ძმასთან, მასწავლებელთან, თანატოლთან ურთიერთობის საფუძველზე.

ამიტომ აუცილებელია, რომ მასწავლებელმა დასვას შეკითხვები წაკითხულის შინაარსის შესახებ და გაარკვიოს, რა გაიგეს და ვერ გაიგეს წაკითხული მასალიდან. ასეთი ინტენსიური კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარებისთვის, ვინაიდან აქ მყარდება კავშირი იმას შორის, რაც ბავშვმა უკვე იცის და რასაც იმ მომენტში წერს ან კითხულობს.

ფანტაზია

5 წლის ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია ფანტაზიის აქტიური ფორმა, როცა ფანტაზიის პროცესი ხდება ნებისმიერი (შესაძლებელი ხდება ფანტაზიის მართვა), თავდაპირველად ფანტაზიის აქტიური ფორმის განვითარებას ბიძგს აძლევენ უფროსები. მაგალითად, როცა უფროსი სთხოვს ბავშვს დახატოს ხე ან ააწყოს კუბებიდან სახლი. იმისათვის, რომ შეასრულოს უფროსის თხოვნა, ბავშვმა თავდაპირველად უნდა შექმნას თავის

წარმოსახვაში გარკვეული ხატი. ეს პროცესი ნებისმიერ ხასიათს ატარებს, რადგან ბავშვი ცდილობს თავისი ფანტაზიის გაკონტროლებას. მოგვიანებით ბავშვი უფროსის მონაწილეობის გარეშეც ახორციელებს ნებისმიერ ფანტაზიას. ის ხატავს, ძერწავს, აგებს სხვადასხვა კონსტრუქციას, ქმნის როლური თამაშის სიუჟეტს.

ამ ასაკში ფანტაზია ასრულებს 2 ფუნქციას: შემეცნებით-ინტელექტუალურს და დაცვითს.

შემეცნებით-ინტელექტუალური ფუნქცია დაკავშირებულია გარემოზე ახალი ინფორმაციის მიღებასა და პრაქტიკული ჩვევების ფორმირებასთან.

ფანტაზიის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ წარმოსახულ სიტუაციაში შეიძლება მოხდეს დაძაბულობის მოხსნა და კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა, რომლის რეალურ ცხოვრებაში გადაწყვეტაც ბავშვს ჯერ არ შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ფანტაზია ამ ასაკში აღწევს ისეთ მაღალ დონეს, რომ ბავშვმა შეიძლება "იცხოვროს" მის მიერ გამოგონილ სამყაროში, ჰყავდეს წარმოსახვითი მეგობარი.

ფანტაზიის განვითარების მაღალი დონე, როგორც წესი, დამახასიათებელია კარგად განვითარებული ბავშვებისათვის. მეორეს მხრივ, ის შეიძლება მიუთითებდეს ბავშვის სურვილების და მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობაზე. ამიტომ, სასურველია, ყურადღება მივაქციოთ ბავშვის ფანტაზიების შინაარს.

ამრიგად:

- **5 წლის ასაკის ბავშვს უკეთ აქვს განვითარებული მსხვილი და შედარებით სუსტად- ნატიფი მოტორული უნარები, ამიტომაც ჯერ მათ უჭირთ წერა, დანა-ჩანგლის ხმარება;**
- **5 წლის ასაკის ბავშვის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომაც ერევათ მათ მსგავსი მოხაზულობის მქონე ასოები და ციფრები ერთმანეთში;**
- **5 წლის ასაკის ბავშვის ყურადღება მეტად უნებლიეა. ის ყურადღებას აქცევს იმ ობიექტსა და მოვლენას, რამაც მასზე შთაბეჭდილება მოახდინა;**
- **5 წლის ასაკში იწყებს განვითარებას ნებისმიერი ყურადღება;**
- **5 წლის ასაკის ბავშვს შეუძლია ყურადღების წარმართვა ერთი და იმავე მიმართულებით, ერთი და იმავე ობიექტზე 15-20 წუთის განმავლობაში;**
- **5 წლის ასაკის ბავშვის მეხსიერება თვალსაჩინო ხატოვანია;**
- **5 წლის ასაკის ბავშვებს მექანიკური დამახსოვრება ახასიათებთ, არ აცნობიერებენ აზრობრივ კავშირებს დამახსოვრებულ მასალაში;**
- **5 წლიდან იწყებს განვითარებას ნებისმიერი მეხსიერება;**
- **5 წლის ბავშვი თამაშის სიტუაციაში უფრო იოლად იმახსოვრებს მასალას;**
- **5 წლის ასაკის ბავშვის აზროვნებას ახასიათებს: თვალსაჩინოება, კონკრეტულობა, შეუქცევადობა, ეგოცენტრიზმი და ცენტრირება საგნის ერთ ნიშანზე;**
- **5 წლის ასაკის ბავშვი მარტივი წინადადებების გამოყენებიდან გადადის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებაზე;**
- **5 წლის ასაკის ბავშვს ახასიათებს შინაგანი მეტყველება, მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვითრეგულაციას;**
- **5 წლის ასაკის ბავშვი განიცდის სირთულეს სიტყვაში ბგერითი კომპონენტების გამოყოფაში;**

- **ბავშვები სწავლობენ კითხვას და წერას უფროსებთან და თანატოლთან ურთიერთობის საფუძველზე. ამიტომ აუცილებელია, რომ მასწავლებელმა წაკითხულის შინაარსის გარშემო დასვას კითხვები, თუ რა გაიგეს ან ვერ გაიგეს წაკითხული მასალიდან.**
- **5 წლის ასაკის ბავშვისთვის არის დამახასიათებელი აქტიური, ნებისმიერი ფანტაზიის ფორმა. მას შეუძლია უფროსის მოთხოვნის შესაბამისად რაიმეს წარმოდგენა, შემოქმედებაში გადატანა.**

რეკომენდაცია პედაგოგებს:

- ✓ 5 - წლიანთა სწავლებისას განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ნატიფი მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს;
- ✓ 5 - წლიანთა სწავლებისას მასწავლებელმა უნდა განუვითაროს მათ, შესასწავლი ობიექტის დაკვირვებით, გარკვეული თანმიმდევრობით დათვალიერების ჩვევა, აპოვნინოს სხვადასხვა დეტალი, ააწყობინოს ნაწილებიდან მთელი და ა.შ.
- ✓ მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ყურადღების ორგანიზებაში რაიმე საქმიანობაში ჩართვით, გარეგანი დამხმარე საშუალებებით, არავერბალური მინიშნებით, წახალისებით;
- ✓ ვინაიდან 5 წლის ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმა თამაშია, მას თამაშის პროცესში უფრო იოლად შეუძლია დაიმახსოვროს მისთვის რთული მასალა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მას ისწავლოს გამეორების დროში განაწილება, გამეორების მრავალფეროვნება (ხმამაღლა, ჩურჩულით, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით და ასევე შინაგან ჭრილში (გონებაში), გარეგანი გამოვლინებების გარეშე), ობიექტების დაჯგუფება და აზრობრივი მიმართების დამყარება;
- ✓ სხვადასხვა ამოცანა, პრობლემა 5-წლიანებმა უნდა გადაჭრან ჯერ მოქმედებით ჭრილში საგნებზე მანიპულაციით და შემდეგ თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით;
- ✓ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სიტყვების ფონოლოგიურ ანალიზს.

ფსიქო - სოციალური განვითარება

ემოციები

5 წლის ასაკის ბავშვის ემოციები ატარებს მძაფრ, მკვეთრად გამოხატულ, მაგრამ არა მდგრად ხასიათს, რაც გამოიხატება ერთი ემოციური მდგომარეობიდან, მეორეში სწრაფ გადასვლაში. იოლია ბავშვის გაბრაზება, შეშინება. მაგრამ, ასევე, იოლია მათი ინტერესების, კმაყოფილების, სიხარულის გამოწვევა. მათ ადვილად გადაედებათ სხვა ბავშვების ან უფროსების მიერ განცდილი ემოციები.

5 წლის ასაკში ადგილი აქვს **ე. წ. შემეცნებითი ემოციების** განვითარებას, რომელსაც მიეკუთვნება – გაკვირვება, გაოცება, ცნობისმოყვარეობა. ბავშვისთვის ახალ, უცნობ რეალობასთან შეხვედრისას აღმოცენებული ეს ემოციები, თავის მხრივ, სტიმულს აძლევენ

შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარებას, აყალიბებენ ბავშვის ინდივიდუალურ დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მოვლენებისა და ობიექტების მიმართ, ხელს უწყობენ ბავშვებში შემოქმედებითობის განვითარებას.

5 წლის ასაკის ბავშვი აქტიურად შეიმეცნებს საკუთარ თავს და გარე სამყაროს. ყველაფერი ეს კი შეფერილია მათი განცდებით. ბევრ რამეს ისინი შეიმეცნებენ ემოციური სფეროს საშუალებით.

ამ ასაკში ადგილი აქვს **ემპატიის განვითარებას (ბერძ. – თანაგრძნობა).** გამოყოფენ 2 სახის ემპატიას: ჰუმანურს და ეგოცენტრულს. **ჰუმანური ემპატიის** დროს ხდება სხვა ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე რეაგირება (თანაგრძნობა, შეცოდება, გახარება). **ეგოცენტრული ემპატიის** დროს სხვა ადამიანის წუხილი ან სიხარული არის მხოლოდ მიზეზი ისეთი ემოციების აღმოცენებისა, როგორიცაა - მოწყენილობა; შიში; სიხარული, როცა სხვა შეწუხებულია; დარდი, როცა სხვა გახარებულია (შური).

5 წლის ასაკში გამოვლინდება ემპატიის ორივე აღნიშნული ფორმა. ბავშვს შეუძლია როგორც თანაგრძნობა, ასევე შური, რომელიც ქცევაში გამოვლინდება. თუ ბავშვს მეორე ბავშვის შურს, მან შეიძლება ის მასწავლებელთან დაასმინოს. თუ ეცოდება, მან შეიძლება მეგობარს გაუნაწილოს მისთვის სანუკვარი ან ძვირფასი ნივთიც კი.

თვითპატივისცემისა და სიამაყის გრძნობა 5-6 წლის ასაკში ხდება ბავშვის პიროვნების მახასიათებელი. ზოგ ბავშვთან ეს გრძნობები ძლიერად არის განვითარებული. ისინი არ უშვებენ მოზრდილებისა და თანატოლების მხრიდან დამცირებას. ბავშვების ნაწილთან თვითპატივისცემისა და სიამაყის გრძნობა შედარებით სუსტადაა განვითარებული. ისინი სხვების დაქვემდებარებაში არიან, არ ცდილობენ დაიცვან საკუთარი თავი. სიამაყისა და თვითპატივისცემის გრძნობა ბავშვის თვითშეფასების ემოციური კომპონენტებია, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ქცევას.

აღნიშნული გრძნობები შეიძლება გამოვლინდეს ისეთი პიროვნული მახასიათებლის სახით, როგორიცაა – ეგოიზმი. ბავშვი მოითხოვს, რომ ის იყოს აღიარებული და პატივცემული სხვების მხრიდან, მაგრამ არ ცნობს სხვების მიმართ არავითარ ვალდებულებას.

რაიმე საქმიანობაში წარმატების შემთხვევაში ბავშვთან აღმოცენდება დადებითი ემოციები, წარუმატებლობის შემთხვევაში - ნეგატიური. ნეგატიური განცდები, რომლებიც უკავშირდება რაიმე მოქმედების შესრულებას, შეიძლება დიდი ხნით დარჩეს ბავშვის მეხსიერებაში. ამის გამო, ის აღარ არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში, ეშინია ახალი დავალების. ზოგიერთ ბავშვს წარუმატებლობის შემთხვევაში უყალიბდება მდგრადი ნეგატიური დამოკიდებულება სასწავლო აქტივობის მიმართ.

ამ ასაკში ყველაზე მძაფრი და მატრავმირებელი ემოციებია – შიში და შფოთვა. **შიშს ყოველთვის იწვევს რაიმე გამღიზიანებელი (რეალური თუ წარმოსახული).** პატარა ბავშვს ეშინია კონკრეტული მოვლენის ან საგნის – უცხო ადამიანის, უცნობი საგნის, ხმამაღლა საუბრის და ა.შ. 5-6 წლის ასაკის ბავშვს კი ეშინია წარმოსახული და აბსტრაქტული საგნის ან მოვლენის: ურჩხულის, დევის, სიბნელის, სიკვდილის, მარტოობის, დაცინვის.

შფოთვას კი არ გააჩნია კონკრეტული მიზეზი, მისი წყარო უფრო გენერალიზებულია. შფოთვის შემთხვევაში ბავშვებს ეშინიათ, მაგრამ არ იციან, რისი. შფოთვას შეიძლება ნებისმიერი მიზეზი ჰქონდეს, ისეთიც კი, რაც, ერთი შეხედვით, ძნელი მისახვედრია. მაგალითად, მშობლის ან მასწავლებლის ემოციების მოულოდნელი ცვლილება, ბავშვის მიმართ ახალი მოთხოვნების წაყენება, თუნდაც მსუბუქი უთანხმოება მშობელთან ან მასწავლებელთან და ა.შ.

ბავშვისთვის სკოლაში შიშის და შფოთვის აღმოცენების ბევრი „წყაროა". მაგალითად, მასწავლებლის მხრიდან ნათქვამი საყვედური, შენიშვნა; ბავშვების მხრიდან - დაცინვა; ზედმეტი სახელის დაძახება და სხვ. ამ დროს საჭიროა ყურადღება და მოთმინება, რომ ეს ემოციები მატრავმირებელი არ აღმოჩნდეს ბავშვისთვის. არ შეიძლება ბავშვის დაცინვა, იგნორირება ან ძალისმიერად შიშის დაძლევის მცდელობა. როდესაც ბავშვს მაღალი შფოთვა აქვს, მას შეიძლება მოულოდნელობების მინიმუმამდე დაყვანით დავეხმაროთ: მკაფიოდ განვსაზღვროთ მისი დღის განრიგი, ნათლად ჩამოვაყალიბოთ, თუ რას მოვითხოვთ მისგან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ შიში და შფოთვა ზომიერია, მაშინ ის ხელს უწყობს სწავლას. მაგ., თუ ჩვენ ვშფოთავთ იმაზე, რომ არ შეგვეშალოს ლექსი ზეიმზე, მაშინ უკეთ ვსწავლობთ მას.

ბავშვები ურთიერთობის პროცესში ითხოვენ ყურადღებას, მოფერებას, სურვილების შესრულებას და თუ ამას ვერ აღწევენ, შეიძლება გამოავლინონ აგრესია. **აგრესიული ქცევა უნდა განვასხვავოთ საკუთარი თავისა და პოზიციის დაცვის (ასერტიული) ქცევისგან.** ფსიქოლოგები აგრესიას განმარტავენ, როგორც ქცევას, რომელიც განპირობებულია სხვისთვის ზიანის, ტკივილის მიყენების ან მასზე ძალაუფლების მოპოვების განზრახვით.

აგრესიული ქცევა შეიძლება იყოს ვერბალურიც და ფიზიკურიც. უმცროს სკოლამდელ ასაკში აგრესიულობა იზრდება (განსაკუთრებით ბიჭებთან), ხოლო 5-6 წლისთვის ის იწყებს კლებას, რადგან ბავშვები ამ ასაკში ნაკლებად ეგოცენტრულები არიან, სწავლობენ საკუთარი ემოციების მართვას და კონფლიქტების გადაწყვეტას არააგრესიული გზით (ვერბალურად).

ბავშვების მიერ აგრესიის გამოვლენის შემთხვევაში, მისი დასჯა არ არის გამოსავალი. მართალია, იგი აღარ მოიქცევა აგრესიულად იმ უფროსის თანდასწრებით, ვინც დასაჯა, მაგრამ აგრესია გამოვლინდება სხვა მიმართულებით. განსაკუთრებით უარყოფითი შედეგი შეიძლება მოგვცეს ფიზიკურმა დასჯამ, რადგან ამ დროს უფროსი თვითონ აძლევს მაგალითს ბავშვს, როგორ გადაჭრას მის წინაშე მდგარი პრობლემა აგრესიული გზით.

ბავშვს უნდა ვასწავლოთ პრობლემის მოგვარების არააგრესიული ხერხები (აქტიური მოსმენა, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, სხვის პოზიციაზე დადგომა).

პროსოციალური ქცევა. ფსიქოლოგების განმარტებით პროსოციალური ქცევის მიზანია სხვა ადამიანის უანგარო დახმარება. ესაა: თანაგრძნობა და დახმარება, თანადგომა, თანამშრომლობა, გადარჩენა და დაცვა.

პროსოციალური ქცევის ფორმირებაზე გავლენას ახდენს უფროსების ქცევა. თუ უფროსები ავლენენ თანადგომასა და თანამშრომლობას, ბავშვები ბაძავენ მათ და ითვისებენ საზოგადოებაში მიღებულ პროსოციალური ქცევის ფორმებს. აღნიშნული ქცევის ფორმირებაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, სხვადასხვა როლის შესრულება (დედის, მასწავლებლის, ექიმის და ა.შ.) და ინდუქცია (ახსნა იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბავშვი).

მოტივაციური სფეროს განვითარება

მოტივი - ეს არის პიროვნების შინაგანი მიდრეკილება ამა თუ იმ აქტივობის განსახორციელებლად, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან.

თუ ადრეულ ასაკში ბავშვის ყველა სურვილი ერთნაირი ძალისა და ინტენსივობის

იყო, 5 წლის ბავშვს უკვე შეუძლია მოტივების მართვა, მისი მოტივები იძენს სხვადასხვა ძალას და ინტესიობას. ჩნდება დომინანტური ინტერესები: ზოგ ბავშვთან ეს არის პრესტიჟის (ეგოისტური) მოთხოვნილება (საკუთარი ინტერესების, სურვილების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება), ზოგთან ალტრუისტული[7] და ზოგთან — წარმატების მიღწევის მოთხოვნილება. ამასთან დაკავშირებით იცვლება ბავშვის მოთხოვნები უფროსების მიმართ. ისინი უფროსებისგან ითხოვენ არა მხოლოდ ყურადღებას და სიყვარულს, არამედ გაგებას, თანადგომას და პატივისცემას.

თუ 5 წლის ასაკის ბავშვი დგება რაიმე პრობლემის წინაშე, მას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რაიმეს სასარგებლოდ. არჩევანის გაკეთება მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია ამ ასაკისთვის, რადგან ბავშვი სწავლობს საკუთარი ქცევისა და მისი შედეგების მართვას. მან იცის, რომ მის არჩევანზეა დამოკიდებული, შეაქებენ თუ გაკიცხავენ. ბავშვის მიერ საკუთარი მოტივების დაქვემდებარება განპირობებულია უფროსების მხრიდან პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოთხოვნით, იმოქმედოს რაიმე ნიმუშის მიხედვით, აირჩიოს და მოიქცეს ისე, რომ მისი ქცევა მოწონებული და წახალისებული იყოს. წამყვანი ხდება საზოგადოებრივი ნორმების დაცვა.

5 წლის ასაკში მეტად მნიშვნელოვანი მაინც საკუთარი "მე"-ს ინტერესებია.

5 წლის ბავშვისთვის დამახასიათებელია სწავლის შემდეგი მოტივები:

გარეგანი მოტივი — უფროსები ბავშვს ავალდებულებენ სკოლაში წასვლას. ამ მოტივის დომინირების შემთხვევაში ბავშვი სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა მას აიძულებენ.

სასწავლო (შემეცნებითი) მოტივი — ამ შემთხვევაში ბავშვი ორიენტირებულია ახალი ცოდნის, უნარის შეძენაზე. ბავშვი სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა სასწავლო მასალა მისთვის საინტერესოა.

თამაშის მოტივი — ბავშვის აქტივობის საფუძველია თამაში და ამ აქტივობის შედეგად მიღებული სიამოვნება. ბავშვი კარგად სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა მეცადინეობა ტარდება თამაშის სახით.

პოზიციური მოტივი — ბავშვს აქვს სურვილი დაიკავოს ახალი (მოსწავლის) პოზიცია, დაიმსახუროს უფროსების შექება. ასეთ შემთხვევაში ბავშვი კარგად სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა გაკვეთილზე არის ბევრი სასწავლო ატრიბუტიკა, დამხმარე საშუალებები.

სოციალური მოტივი — ბავშვს აქვს სურვილი დაამყაროს ურთიერთობა ბავშვებთან და მასწავლებელთან, დაიმსახუროს მათი შეფასება, დაიკავოს გარკვეული ადგილი სოციალურ გარემოში. ბავშვი სწავლობს იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანია და საჭირო

შეფასება (ნიშანი) — ბავშვის მიზანია მიიღოს მაღალი შეფასება, ნიშანი. ამ მოტივის დომინირების შემთხვევაში ბავშვი კარგად სწავლობს მაშინ, როცა მას აქებენ, აფასებენ.

7 ალტრუიზმი არის პიროვნების ღირებულებათა სისტემა, როდესაც ცენტრალური მოტივი სხვა ადამიანზე ან სოციალურ ჯგუფზე ზრუნვაა

5 წლის ბავშვისთვის სწავლისას წამყვანია:

- თამაშის მოტივი;
- პოზიციური მოტივი;
- შეფასებითი მოტივი.

მორალური განვითარება

5 წლის ასაკის ბავშვი ინტენსიურად იწყებს ეთიკური ნორმებისა და მორალის ათვისებას. ჟ. პიაჟეს თანახმად, ბავშვის მორალურ განვითარებას განაპირობებს კოგნიტური სტრუქტურების განვითარება და სოციალური გამოცდილება. **5 წლის ასაკის ბავშვი ჟ. პიაჟეს მიხედვით, იმყოფება მორალური რეალიზმის სტადიაზე.** ბავშვი თვლის, რომ საჭიროა ყველა წესის დაცვა იმიტომ, რომ ეს არის რეალური, უცვლელი წესები. ამ ასაკის ბავშვი ქცევის შეფასებისას ეყრდნობა შედეგს და ვერ ითვალისწინებს ქცევის განზრახვას. მაგალითად, 5 წლის ბავშვი თვლის, რომ გოგონა, რომელსაც შემთხვევით გაუტყდა 12 თეფში უფრო მეტად არის დამნაშავე, ვიდრე გოგონა, რომელმაც განზრახ გატეხა 2 თეფში.

ლ. კოლბერგის თანახმად, 5 წლის ასაკის ბავშვის ქცევა რეგულირდება დასჯა – წახალისების პრინციპის საფუძველზე. ბავშვი თვლის, რომ წესებს უნდა დაემორჩილოს იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს დასჯა ან მიიღოს სარგებელი. თუ ბავშვის საქციელს დადებითი შეფასება მოჰყვება, ესე იგი, კარგია, ხოლო თუ ქცევის გამო დაისჯება – ცუდი. თუ ბავშვი რაიმეს აფუჭებს, ან სხვის ნივთს დაუკითხავად იღებს და მას ამ საქციელზე წაასწრებენ და დასჯიან, ის შემდეგში შეეცდება ეს უფროსების თანდასწრებით არ გააკეთოს, რათა თავიდან აიცილოს სასჯელი. მაგრამ თუ მის ქცევას ვერავინ ხედავს, მაშინ ეს ქცევა ცუდი არ არის და გამართლებულია.

მე - კონცეფცია და თვითშეფასება

შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილება ბავშვის პიროვნული განვითარების თვალსაზრისით არის მე - კონცეფციისა და თვითშეფასების განვითარება.

მე - კონცეფცია - ეს არის ზოგადი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

თვითშეფასება არის თვითშემეცნების კომპონენტი, რომელიც მოიცავს საკუთარი ფიზიკური, პიროვნული, ინტელექტუალური მახასიათებლების, მორალური თვისებებისა და ქცევის შეფასებას.

5 წლის ასაკის ბავშვის ძირითადი მახასიათებელია ცნობისმოყვარეობა. ის სვამს ბევრ კითხვას და ითხოვს მათზე პასუხს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა არ დათრგუნონ ბავშვის შემეცნებითი აქტივობა. ამ პერიოდის მთავარი საშიშროებაა დანაშაულის გრძნობის აღმოცენება, საკუთარი ცნობისმოყვარეობის და აქტივობის გამო.

ე. ერიქსონის (1963) მიხედვით, სკოლაში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით ბავშვი გადადის მე - კონცეფციის განვითარების შემდგომ სტადიაზე. თუ ბავშვი ადვილად სწავ-

ლობს ეს დადებითად მოქმედებს მის მე-კონცეფციასა და თვითშეფასებაზე. თუ ბავშვი თავის თანატოლებთან შედარებით ძნელად ითვისებს სასწავლო მასალას, მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს არასრულფასოვნების გრძნობა.

თვითშეფასება არის ბავშვის პიროვნების ცენტრალური წარმონაქმნი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის სოციალურ ადაპტაციას. ამ ასაკის ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და მხარდაჭერას უფროსების მხრიდან, რათა მათ ეჭვი არ შეეპაროთ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში.

ბავშვი თავის თავს აფასებს ისე, როგორც მას აფასებენ სხვები - ოჯახის წევრები, მასწავლებლები, თანატოლები. ხშირად ბავშვის თვითშეფასება სხვების შეფასების ანარეკლია. თუ მშობელი ან მასწავლებელი ხშირად ეუბნება ბავშვს – „შენ ცუდი გოგო (ბიჭი) ხარ", შემდგომში ბავშვი ძალ-ღონეს არ იშურებს საკუთარი სტატუსის გასამართლებლად.

იმის ცოდნა, თუ როგორ გხედავენ შენ სხვა ადამიანები, მნიშვნელოვანი საფეხურია ბავშვის თვითცნობიერების განვითარებაში. 5 წლის ასაკის ბავშვები საკუთარ თავს ახასიათებენ ფიზიკური ნიშნების („მე ლურჯი თვალები მაქვს''), მათ კუთვნილებაში მქონე საგნების („მე ბურთი მაქვს") და საქმიანობის („მე ფეხბურთს ვთამაშობ") მიხედვით.

5 წლის ასაკის ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ ის განსხვავდება სხვა ბავშვებისგან, რისთვისაც იყენებს **„სოციალურ შედარებას" (ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ის სხვადასხვა აქტივობას, თანატოლებთან შედარებით).** მაგალითად, ინტერესდება იმით, თუ რამდენი შეცდომა დაუშვა სხვა ბავშვმა რაიმე დავალების შესრულებისას ან ასე მსჯელობს: „მე უფრო სწრაფად დავრბივარ". თავდაპირველად „სოციალური შედარება" ძალიან პოპულარულია ამ ასაკის ბავშვებში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვითშეფასების ფორმირებაში.

სასურველია, უფროსებმა ბავშვი არ შეაფასონ ნეგატიურად, რადგან ეს შემდგომში მნიშვნელოვნად აისახება მათ თვითშეფასებაზე. **ბავშვს უნდა მიეთითოს კონკრეტულ ქცევაზე, რომელიც მიუღებელია და არ უნდა შევეხოთ ბავშვის პიროვნებას.** უნდა ვუთხრათ, რომ მისი ქცევა არასწორია და არ ვუწოდოთ „ცუდი ბიჭი (გოგო)".

იმის მიხედვით, თუ როგორი თვითშეფასება აქვს ბავშვს (ადეკვატური, დაბალი, მაღალი), მან შეიძლება სტიმულირება გაუკეთოს, ან პირიქით, დათრგუნოს ბავშვის აქტივობა.

5 წლის ასაკის ბავშვის თვითშეფასება, როგორც წესი, გადაჭარბებულია, რაც აძლევს მათ განვითარების საშუალებას. სწორედ საკუთარი შესაძლებლობების გადამეტებული შეფასების გამო, ბავშვებს არ აქვთ შიში და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ერთვებიან ახალ სასწავლო თუ სხვა ტიპის საქმიანობაში. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დადებით როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში, მაგრამ შემდგომში მნიშვნელოვანია ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბება.

5 წლის ასაკის ბავშვისთვის როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია მაღალი თვითშეფასება, ამიტომ უჭირთ, მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიღება. მასწავლებლის შეფასება „შენ არასწორად გააკეთე", ბავშვის მიერ აღიქმება როგორც „შენ ცუდი ხარ". ამიტომ მასწავლებელმა შენიშვნა და ნეგატიური შეფასება ძალიან იშვიათად უნდა გამოიყენოს.

ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებას ხელს უწყობს სიტუაცია, სადაც ბავშვს შეუძლია დადებითად შეაფასოს საკუთარი თავი. ესაა: თამაში, საგნებით მანიპულირება,

მუსიკის, ზღაპრების მოსმენა, მათთან ერთად აქტივობაში მონაწილეობა.

ბავშვის თვითშეფასება გავლენას ახდენს სკოლაში წარმატებულ სწავლაზე და პირიქით, სწავლაში წარმატებები, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე. აუცილებელია მოხდეს არაადეკვატური თვითშეფასების შეცვლა, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვის პირველ მასწავლებელზე. **ბავშვობაში ჩამოყალიბებული თვითშეფასება ძალიან მდგრადია, ის შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეს ადამიანს.** სწავლების პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები და ხელი შეუწყოს ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებას.

სასწავლო აქტივობის შეფასებისას მასწავლებლის შეფასება უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი და უნდა ეხებოდეს აწმყო დროში განხორციელებულ აქტივობას. მაგალითად, არ შეიძლება ასეთი შეფასება — „შენ გუშინაც ცუდად დაწერე.” აგრეთვე, გაურკვეველი, ზოგადი შეფასება („ცუდად დაწერე”, „მოუსვენარი ხარ”) უფრო ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე, ვიდრე დამსახურებული (სადაც კონკრეტული აქტივობაა მითითებული) ნეგატიური შეფასება.

ძალიან მნიშვნელოვანია ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბება, ვინაიდან თვითშეფასება გავლენას ახდენს - ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯამრთელობაზე, სწავლაზე, სოციალურ ურთიერთობებზე.

ამრიგად:

- **5 წლის ასაკში ადგილი აქვს ე. წ. შემეცნებითი ემოციების: გაკვირვების, გაოცების, ცნობისმოყვარეობის განვითარებას. ბავშვისთვის ახალ, უცნობ რეალებასთან შეხვედრისას აღმოცენებული ეს ემოციები სტიმულს აძლევენ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარებას, აყალიბებენ ბავშვის ინდივიდუალურ დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მოვლენებისა და ობიექტების მიმართ, ხელს უწყობენ ბავშვებში შემოქმედებითობის განვითარებას;**

- **5 წლის ასაკის ბავშვისთვის წამყვანია: თამაშის მოტივი, პოზიციური მოტივი(ბავშვის სურვილი დაიკავოს ახალი (მოსწავლის) პოზიცია, დაიმსახუროს უფროსების შექება), შეფასებითი მოტივი (ბავშვის მიზანია მიიღოს მაღალი შეფასება);**

- **ბავშვი თავის თავს აფასებს ისე, როგორც მას სხვები აფასებენ – ოჯახის წევრები, მასწავლებლები, თანატოლები. ხშირად ბავშვის თვითშეფასება სხვების შეფასების ანარეკლია. თუ უფროსი მას ხშირად ეუბნება – შენ „ცუდი” გოგო (ბიჭი) ხარ. შემდგომში ბავშვი ძალ - ღონეს არ დაიშურებს საკუთარი „ ცუდი” სტატუსის გასამართლებლად.**

რეკომენდაცია პედაგოგებს:

- ✓ ბავშვს უნდა მიეცეს მისი შესაძლებლობების ადეკვატური დავალება;
- ✓ ბავშვი უნდა შეაქოთ მაშინ, როცა ის ამას იმსახურებს;
- ✓ ხელი უნდა შეუწყოთ ბავშვის ინიციატივის გამოვლენას;
- ✓ არ შეადაროთ ბავშვი სხვა ბავშვებს, შეადარეთ მხოლოდ საკუთარ თავს (რა შეეძლო გუშინ, რა შეუძლია დღეს და რას შეძლებს ხვალ).

II თავი. პირველკლასელთა ადაპტაცია სკოლასთან

სკოლაში სწავლის პირველი წელი ეს არის რთული და გარდამავალი პერიოდი ბავშვის ცხოვრებაში. მთლიანად იცვლება ბავშვის ცხოვრების წესი, მისი ადგილი საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში, იზრდება ფსიქო-ემოციური დატვირთვა.

ბავშვი, რომელიც პირველად მიდის სკოლაში, ხვდება ბავშვებისა და პედაგოგების ახალ კოლექტივს. მან უნდა დაამყაროს კონტაქტი თანატოლებთან და პედაგოგებთან, ისწავლოს სასკოლო დისციპლინის მოთხოვნების შესრულება, განახორციელოს სასკოლო საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველა ბავშვი ამისთვის მზად არ არის. ხშირად მაღალი ინტელექტუალური მონაცემების ბავშვებსაც კი, უძნელდებათ ქცევის წესების გათავისება, სასკოლო ვალდებულებების შესრულება, სკოლის რეჟიმს დამორჩილება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლის დაწყების პირველი პერიოდი ყველა პირველკლასელისთვის საკმაოდ რთულია. სწავლის დაწყების პირველი კვირების და თვეების პერიოდში ბავშვები შეიძლება უჩიოდნენ დაღლას, თავის ტკივილს, გაღიზიანებას, ძილის და მადის დარღვევას. გვხვდება ფსიქოლოგიური ხასიათის სირთულეებიც, როგორიცაა, მაგალითად, შიშის გრძნობა; ნეგატიური დამოკიდებულება სწავლისადმი, პედაგოგისადმი; საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების არაადექვატური შეფასება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ფსიქოლოგები უწოდებენ „ადაპტაციურ ავადმყოფობას", „სასკოლო შოკს" ან „სასკოლო სტრესს".

ადაპტაციის საზღვრები და მათი ხანგრძლივობა

ტერმინი „ადაპტაცია" ნიშნავს გარემო პირობებისადმი მორგებას-შეგუებას. სკოლისადმი ადაპტაციის პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული ბავშვის სკოლისადმი მზაობასთან და მოიცავს 3 სფეროს:

- **ბიოლოგიური** (ორგანიზმის მომწიფება);
- **პედაგოგიური** (ცოდნა და თვალსაწიერი);
- **ფსიქოლოგიური** (განვითარების თავისებურებები).

სამივე სფერო მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთ-ერთი მათგანის განვითარებაში ჩამორჩენა გავლენას ახდენს ბავშვის შრომისნაყოფიერებაზე, სკოლაში

სწავლის წარმატებებზე, თვითგრძნობაზე, ფიზიკურ ჯამრთელობაზე, პედაგოგთან და თანატოლებთან ურთიერთობაზე, სკოლის წესებთან დამორჩილებაზე.

ბიოლოგიური ადაპტაციის პროცესი მოიცავს 3 ეტაპს:

პირველ ეტაპზე ბავშვის ორგანიზმს აქვს მძაფრი რეაქცია. ყველა ფიზიოლოგიური სისტემა განიცდის მნიშვნელოვან დაძაბულობას. ბავშვი ვერ ახერხებს ორგანიზმის რესურსების ეკონომიას. ორგანიზმი ხარჯავს მთელ ენერგიას. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, თუ რა მაღალ „ფასს" იხდის ბავშვის ორგანიზმი ადაპტაციის ამ ეტაპზე. ეს პერიოდი გრძელდება **2-3 კვირის** განმავლობაში.

მეორე ეტაპზე ადგილი აქვს არამდგრად ადაპტაციას. ორგანიზმი ეძებს ადაპტაციის ოპტიმალურ ვარიანტებს.

მესამე ეტაპზე ადგილი აქვს შედარებით მდგრად ადაპტაციას. ორგანიზმი პოულობს დატვირთვაზე რეაგირების შესაფერის ვარიანტებს, რომელიც მოითხოვს ყველა ბიოლოგიური სისტემის ნაკლებ დაძაბულობას.

რა აქტივობასაც არ უნდა ასრულებდეს ბავშვი, ეს იქნება გონებრივი შრომა, სტატიკური დატვირთვა, რომელსაც ორგანიზმი განიცდის ერთ პოზაში ყოფნისას, მრაველფეროვან და მრავალრიცხოვან კოლექტივთან ურთიერთობით გამოწვეული ფსიქოლოგიური დატვირთვა, ორგანიზმი პასუხობს დაძაბულობით, აქტივობით. ამიტომ, რაც მეტ დაძაბულობას განიცდის ყოველი სისტემა, მით მეტ რესურს ხარჯავს ორგანიზმი. მაგრამ ბავშვის ორგანიზმის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის. ხანგრძლივმა დაძაბულობამ და მისგან გამოწვეულმა დაღლამ, შეიძლება ბავშვის ჯამრთელობა დააზიანოს.

ბიოლოგიური ადაპტაციის სამივე ეტაპი გრძელდება დაახლოებით 5-6 კვირის განმავლობაში. ყველაზე რთული პირველი და მეოთხე კვირაა.

ფსიქოლოგიური ადაპტაცია მოიცავს ბავშვის ფსიქიკის ყველა სფეროს: კოგნიტურს (შემეცნებითს), მოტივაციურს, ნებელობითს. სასკოლო სწავლების წარმატება განისაზღვრება, ერთი მხრივ, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებით და, მეორე მხრივ, სასწავლო მასალის სპეციფიკით. „საგნობრივი" ადაპტაციის მთავარი სირთულე პირველკლასელისთვის არის სასწავლო საგნების შინაარსის ათვისება (წერა-კითხვა, მათემატიკა). ფაქტობრივი ცოდნა, რომელსაც პირველკლასელი ღებულობს სკოლაში სწავლის პირველ პერიოდში, შეიძლება მას უკვე ათვისებული ჰქონდეს საბავშვო ბაღში ან ოჯახში. ამავე დროს ცნობილია, რომ სასწავლო წლის პირველი ნახევარი ყველაზე რთულია. საქმე ისაა, რომ სკოლაში სწავლას განსხვავებული მექანიზმი უდევს საფუძვლად. სკოლამდელ პერიოდში ცოდნის მიღება ხდება უნებურად. საბავშვო ბაღში მეცადინეობა ტარდება თამაშის ფორმით. სასკოლო სწავლებისთვის კი მნიშვნელოვანია სწავლის მიზნის გაცნობიერება.

სოციალური და პიროვნული ადაპტაცია დაკავშირებულია ბავშვის სურვილთან და უნართან მიიღოს მოსწავლის როლი. ამას განსაზღვრავს:

- უნარი მოუსმინოს და ადექვატური რეაგირება მოახდინოს მასწავლებლის მოთხოვნებზე.
- სხვა ბავშვებთან და უფროსებთან ურთიერთობის დამყარების უნარი.
- უნარი სწორად შეაფასოს თავისი და თანაკლასელების ქცევა, შეფასებისა და თვითშეფასების მარტივი კრიტერიუმების გამოყენებით.
- დადებითი თვითშეფასება და დაბალი ხარისხის სასკოლო შფოთვა.

სკოლისადმი ადაპტაციის ხარისხის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ბავშვების 3 ჯგუფი:

პირველი ჯგუფის ბავშვები სკოლასთან ადაპტაციას ახდენენ პირველი ორი თვის

განმავლობაში. ეს ბავშვები შედარებით ადვილად ხდებიან კლასის კოლექტივის წევრი, ეგუებიან სკოლას, იძენენ ახალ მეგობრებს. ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ასრულებენ მასწავლებლის მოთხოვნებს. თუმცა, ხანდახან აღენიშნებათ სირთულეები ბავშვებთან ან მასწავლებელთან ურთიერთობისას, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ უჭირთ შეასრულონ მასწავლებლის ყველა მოთხოვნა. ორი თვის შემდეგ, როგორც წესი, ბავშვი გადალახავს ამ სირთულეებს და ახდენს ადაპტაციას მოსწავლის სტატუსთან, ახალ მოთხოვნებთან და ახალ რეჟიმთან.

მეორე ჯგუფის ბავშვებს აქვთ ადაპტაციის უფრო ხანგრძლივი პერიოდი. ასეთი ბავშვები თამაშობენ გაკვეთილზე, არკვევენ ურთიერთობას მეგობართან, არ რეაგირებენ მასწავლებლის შენიშვნაზე ან რეაგირებენ ცრემლებით და წყენით. როგორც წესი, ასეთ ბავშვებს აქვთ სირთულეები სასწავლო პროგრამის ათვისებაში. მხოლოდ სასწავლო წლის პირველი ნახევრის ბოლოს ხდება მათი ქცევა მასწავლებლის მოთხოვნების ადეკვატური.

მესამე ჯგუფის ბავშვებს აქვთ სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის მნიშვნელოვანი სირთულეები. მათ აღენიშნებათ ქცევის ნეგატიური ფორმები, ნეგატიური ემოციები, უჭირთ სასწავლო მასალის ათვისება. სწორედ მათ მიმართ გამოთქვამენ ხშირად საყვედურს მასწავლებლები.

ბავშვის სკოლისადმი მზაობა განისაზღვრება არა მხოლოდ მეტრიკული ასაკით, არამედ მისი ფსიქოლოგიური მომწიფებითაც. არიან ბავშვები, რომლებიც უკვე 5-6 წლისთვის არიან მზად სასკოლო სწავლებისთვის. ზოგს კი 7-8 წლის ასაკშიც კი უჭირს სკოლასთან ადაპტაცია. ის, რომ ბავშვმა იცის წერა-კითხვა და ანგარიში, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ორიენტაცია უნდა გაკეთდეს მათ სოციალურ მომწიფებაზე, ემოციური და ინტელექტუალური მომწიფების გათვალისწინებით. სკოლისათვის სოციალურად მომწიფებული ბავშვები უფრო იოლად ეგუებიან ახალ, სისტემურ გარემოს.

კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნას. მთავარია, ბავშვს შეეძლოს ყურადღების კონცენტრაცია, სხვადასხვა მოვლენებს შორის კავშირის დანახვა, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მიწოდებული მასალის დამახსოვრება და აღდგენა, ობიექტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დანახვა. ინტელექტუალური მზაობა - ეს არის დაკვირვების, მსჯელობის, შედარების, განზოგადების, დასკვნის გაკეთების უნარი.

სკოლაში ბავშვს ხშირად მოუწევს იმის გაკეთება რაც მას არ აინტერესებს და არ მოსწონს. ბავშვს უნდა შეეძლოს ასეთი სავალდებულო სამუშაოს შესრულება ნეგატიური ემოციების გარეშე. სწორედ ეს არის ბავშვის ემოციური სიმწიფე.

თანატოლებთან წარმატებული ურთიერთობა, მოსწავლის როლის შესრულება (მასწავლებლის მოსმენა და მისი მითითებების შესრულება), საჭიროების შემთხვევაში დახმარების მოთხოვნა, საკუთარი აზრის გამოთქმა მიუთითებს ბავშვის სოციალურ სიმწიფეზე.

- თუ ბავშვი განვითარების რომელიმე სფეროში ჩამორჩება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არ უნდა წავიდეს სკოლაში. საჭიროა მუშაობა ბავშვის სუსტი მხარის განვითარებაზე. ყოველ ბავშვს აქვს განვითარების ინდივიდუალური გზა – რაღაცას აკეთებს უკეთ, რაღაც ნაკლებად გამოდის. მაგრამ, თუ ბავშვი ჩამორჩება განვითარების სამივე სფეროში, მისი სკოლაში მიყვანა ნაადრევია.

სკოლისადმი ადაპტაციის მეორე მხარეს წარმოადგენს დეზადაპტაცია[8], რომელიც

8 სწავლის პროცესში წამოჭრილი სირთულეები (მაგ., მომატებული შფოთვა, აგრესია, არაადეკვატური თვითშეფასება).

გამოწვეულია ორი მიზეზით:

- ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებით: უნარები, ემოციური სფეროს თავისებურებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური გარემოს თავისებურებები.
- სოციალურ-ეკონომიური და სოციო-კულტურული პირობებით: ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, მისი კულტურული დონე, ღირებულებები და ა. შ.

სასკოლო დეზატაპტაცია ვლინდება:

- აქტიური პროტესტის (დისციპლინის დარღვევა გაკვეთილზე და დასვენებაზე, ჩხუბი თანაკლასელებთან) ფორმით.
- პასიური პროტესტის (განრიდება, შფოთვა, თავის თავში დაურწმუნებლობა) ფორმით.

ხანდახან სასკოლო დეზადაპტაცია შეუმჩნეველი რჩება მშობლებისა და პედაგოგებისთვის, ვინაიდან ის არ გამოიხატება სწავლის სირთულეში და დისციპლინის დარღვევაში. დეზადაპტაცია ვლინდება ბავშვის სუბიექტურ განცდებში.

სკოლისადმი წარმატებული ადაპტაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვის ადეკვატურ თვითშეფასებაზე. ჩვენ განუწყვეტლივ ვადარებთ ჩვენს თავს სხვა ადამიანებს და ასეთი შედარების საფუძველზე ვქმნით წარმოდგენას საკუთარ თავზე, ჩვენს შესაძლებლობებსა და უნარებზე, ხასიათის თვისებებზე. ასე თანდათანობით იქმნება ჩვენი თვითშეფასება. ეს პროცესი იწყება ადრეულ ბავშვობაში. სწორედ ოჯახში იგებს პირველად ბავშვი უყვართ თუ არა ის, ღებულობენ ისეთად, როგორიც არის თუ არა. ამის საფუძველზე უყალიბდება მას ნდობა ან უნდობლობა სოციალური გარემოსადმი. ადეკვატური თვითშეფასება აადვილებს სკოლისადმი ადაპტაციის პროცესს, მაშინ როცა დაბალი და მაღალი თვითშეფასება ართულებს ადაპტაციას.

ადეკვატური თვითშეფასების დროსაც კი უნდა გვახსოვდეს, რომ დამწყები მოსწავლისთვის რთულია დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ყველა ამოცანას. სკოლისადმი ბავშვის ადაპტაციის დასახმარებლად აუცილებელია პედაგოგს ესმოდეს ბავშვის პრობლემები, ყურადღებით, სიყვარულით, მოთმინებით მოექცეს მას, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ბავშვის ფსიქოლოგის კონსულტაცია.

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს სკოლისადმი ადაპტაციაში - რეკომენდაციები პედაგოგებს:

- ✓ სკოლაში მოსვლისას ბავშვს თბილად მივესალმოთ, მივმართოთ სახელით.
- ✓ მშობელთან საუბარი სასურველია ბავშვის თანდასწრების გარეშე.
- ✓ 10-15 წუთიანი მეცადინეობის შემდეგ საჭიროა 5 წუთი შესვენება (სასურველია აქტიური).
- ✓ არ გაუკეთოთ იგნორირება ბავშვის ჩივილებს – თავის ტკივილი, დაღლილობა, ცუდი გუნება. ხშირად ეს სიმპტომები სწავლაში არსებული სირთულეების ნიშანია.
- ✓ პირველკლასელს ჭირდება მორალური და ემოციური მხარდაჭერა. მას ესაჭიროება შექება, მაშინ როდესაც ის რაიმე აქტივობას ასრულებს.
- ✓ არ შეადაროთ ბავშვი სხვა ბავშვებს.

- ✓ შედარება შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავთან. შეაქეთ მისი საკუთარი შედეგების გაუმჯობესებისას.
- ✓ სწავლაში სირთულეების არსებობის შემთხვევაში, უნდა მოიძიოთ ისეთი სახის აქტივობა, სადაც ის წარმატებული იქნება – სპორტი, ხატვა, კონსტრუირება და სხვ. ხაზი გაუსვით იმას, რომ თუ ის წარმატებულია ერთ რომელიმე სახის აქტივობაში, სხვა სფეროშიც შეძლებს წარმატების მიღწევას.
- ✓ უნდა აგრძნობინოთ ბავშვებს, რომ ისინი გიყვართ უპირობოდ და არა წარმატებული სწავლისთვის.

III თავი. ინდივიდუალური მიდგომა

სწავლება უნდა ეფუძნებოდეს როგორც განვითარების ასაკობრივ კანონზომიერებებს, ასევე ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს. ერთი და იმავე ასაკობრივ ჯგუფში (მეტრიკული ასაკი) არიან ბავშვები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბიოლოგიური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების მახასიათებლებით. მაგალითად, 5 - წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში (მეტრიკული ასაკი) აუცილებლად მოიძებნებიან ბავშვები, რომლებიც თავისი ფსიქოლოგიური განვითარებით არიან 6 წლის ასაკის ბავშვის დონეზე და პირიქით, 6 წლიანთა ასაკობრივ კატეგორიაში აუცილებლად მოიძებნებიან ბავშვები, რომლებიც კოგნიტური და პიროვნული განვითარებით არიან 5 წლის ასაკში.

5 - წლიანების სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვების შემეცნებითი პროცესების თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია თავის ტვინის ჰემისფეროების ფუნქციონირების თავისებურებებით. მარჯვენა ჰემისფერო მართავს სხეულის მარცხენა მხარეს, მარცხენა ჰემისფერო კი — მარჯვენას. გამოიყოფა თავის ტვინის ჰემისფეროების ფუნქციონირების 3 ტიპი:

- დომინანტურია მარცხენა ჰემისფერო, რომელიც პასუხისმგებელია — ლოგიკურ და ვერბალურ აზროვნებაზე, აბსტრაგირებაზე, განზოგადებაზე, წერაზე, კითხვაზე, ზეპირ მეტყველებაზე.
- დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო, რომელიც პასუხისმგებელია — თვალსაჩინო - ხატოვან აზროვნებაზე, ფანტაზიაზე, შემოქმედებით აზროვნებაზე.
- არ არის მკვეთრად გამოხატული რომელიმე ჰემისფეროს დომინირება.

თავის ტვინის ჰემისფეროების ასიმეტრია განაპირობებს — აღქმის, დამახსოვრების, აზროვნების, ემოციური სფეროს თავისებურებებს. მარჯვენა ჰემისფეროს მომწიფება უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ბავშვებთან 9-10 წლის ასაკამდე დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სწავლებისას არ უნდა მოხდეს მარცხენა ჰემისფეროს გადატვირთვა. ეს მიგვიყვანს ქრონიკულ ინტელექტუალურ სტრესთან. ხშირად ბავშვებში ნევროზის აღმოცენებას განაპირობებს სწავლების პროცესში „მარცხენა ჰემისფეროს" გადატვირთვა. თუ ბავშვის მეტყველება არ არის გამართული (კარგად ვერ გამოთქვამს ბგერებს) ე.ი. დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო, ამიტომ სწავლების პროცესში მარცხენა ჰემისფეროს გა-

დატვირთვამ შეიძლება გამოიწვიოს მეტყველების დარღვევა.

ამიტომ მნიშვნელოვანია როგორც 5 - წლიანებთან, ასევე 6 - წლიანებთან ინტელექტუალური აქტივობის ჩანაცვლება:

- დიდაქტიკური და როლური თამაშებით;
- სიმღერით;
- ხატვით;
- ფიზიკური აქტივობით.

გოგონებს უკეთ აქვთ გამოხატული ვერბალური უნარები და უკეთ ესმით დაწერილი ტექსტი. ბიჭებს კი უკეთ აქვთ განვითარებული სივრცითი აზროვნება.

ბიჭები უკეთ ახერხებენ ძიებით აქტივობას, ახალი იდეების გენერირებას, ხოლო გოგონები ახალ იდეებს სრულყოფილ ფორმას აძლევენ. გოგონები უფრო მალე აღწევენ შრომისუნარიანობის პიკს, ვიდრე ბიჭები (ამიტომ ხშირად გაკვეთილზე მასწავლებელს არ უსმენენ). ბიჭებს უფრო დიდხანს შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება მათთვის საინტერესო საკითხზე, ვიდრე გოგონებს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ დასმული ამოცანა შესრულდეს სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვების საკმაოდ დიდი ჯგუფის — **„მემარცხენე" ბავშვების** (მათთან არ არის მკვეთრად გამოხატული რომელიმე ჰემისფეროს დომინირება) თავისებურებებიც:

- არ შეიძლება გადავაჩვიოთ „მემარცხენე" ბავშვი მარცხენა ხელით წერას, ვინაიდან ეს გამოიწვევს მათ ნევროტიზაციას.
- „მემარცხენეებს" უჭირთ მკაცრი დღის რეჟიმის დაცვა.
- მათი სწავლებისას უნდა შემოვიდეს ბევრი ნათელი ფერები, ვიზუალური აღქმა და სივრცითი აზროვნება.
- „მემარცხენეებისათვის" აუცილებელია ინიციატივის გამოვლენა.

მასალის უკეთ გასაგებად, მათ სხვა ბავშვებთან შედარებით, უფრო მეტად ესაჭიროებათ ნახატზე, საგანზე, სქემაზე დაყრდნობა. მათ უჭირთ დიდ ჯგუფებში და მკაცრად რეგლამენტირებულ პირობებში მუშაობა, ისინი უკეთ ასრულებენ ინდივიდუალურ სამუშაოს.

5 წლის ასაკის ბავშვთან მასწავლებლის ურთიერთობის სტილი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის პიროვნების თავისებურებებს. საკმაოდ დიდია ისეთი ბავშვების რაოდენობა, ვინც განიცდის სირთულეს თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში. აქ შედის როგორც ჰიპერაქტიური, ასევე მორიდებული ბავშვები. ორივე ჯგუფის ბავშვები საჭიროებენ კეთილგანწყობასა და მოთმინებას მასწავლებლის მხრიდან.

ჰიპერაქტიურ ბავშვებთან უნდა გამოვიყენოთ ყურადღებისა და მეხსიერების განმავითარებელი სავარჯიშოები, ხელი შევუწყოთ ადეკვატური თვითშეფასების, სასწავლო მოტივაციის და თვითკონტროლის ფორმირებას. განსაკუთრებით ამ ბავშვებთან არ შეიძლება ავტორიტარული ურთიერთობის სტილის გამოყენება. შევეცადოთ არ ვიხმაროთ სიტყვები: „არა", „არ შეიძლება". ბავშვებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობას, გაგებას.

- თხოვნა, ინსტრუქტაჟი, მიმართვა უნდა წარმოვთქვათ მშვიდი ტონით, ერთი და იგივე სიტყვებით, ბევრჯერ.

ჰიპერაქტიურ ბავშვს სჯობს შევეხოთ და ისე დავსვათ მის ადგილას, ვიდრე ათჯერ

ვუთხრათ „დაჯექი". ჰიპერაქტიურმა ბავშვმა აგზნების შესამცირებლად დასვენებაზე (ხანდახან შეიძლება გაკვეთილზეც) უნდა ირბინოს, იხტუნოს. საჭიროა მეტი მუშაობა ნატიფ მოტორიკაზე, ვინაიდან ამ ასაკში ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებაში მსხვილ მოტორიკას. ჰიპერაქტიური ბავშვისთვის კარგია თიხით, პლასტილინით მუშაობა და ყველა სახის ფიზიკური აქტივობა, მაგრამ არა სპორტი. იმიტომ რომ, მათთვის კარგია ფიზიკური აქტივობა და არა წესებიანი, შეჯიბრის სახის სპორტის სახეობა.

მორიდებული ბავშვებისთვის კარგია მასწავლებლის მონაწილეობით ნებისმიერი მოძრავი თამაში. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მორიდებულმა, ნაკლებად აქტიურმა ბავშვმა ყოველთვის არ წააგოს. ამისთვის მას ტაქტიანად უნდა დავეხმაროთ. აღვნიშნოთ მისი მცირე წარმატებაც კი და რაც მთავარია, ასეთი ბავშვი არ უნდა მოხვდეს წყვილში ძალიან აქტიურ ბავშვთან.

მორიდებული ბავშვების ერთ ნაწილს არ უყვარს ფიზიკური კონტაქტი (მოფერება, ხელის მოკიდება), მეორე ნაწილს კი - პირიქით, აქვს ფიზიკური კონტაქტის დიდი მოთხოვნილება. პირველი ჯგუფის ბავშვებისთვის კარგია გამოვიყენოთ თამაშები: „ნდობით ვარდნა", „დახატე ფიგურა", „გადაეცი ნახატი", „კონსპირატორი" (**იხ. თავი V. კომუნიკაცია. აქტივობა - 2;3. გვ. 70; თანამშრომლობა. აქტივობა - 8. გვ. 73**). მეორე ჯგუფის ბავშვებს კი უნდა ვაგრძნობინოთ რაც შეიძლება მეტი სითბო. ნუ შეგეშინდებათ, რომ თბილი მოქცევით ბავშვს გაანებივრებთ. ყველა ბავშვს აქვს სითბოს, სიყვარულის მოთხოვნილების თავისი „დოზა" და ამ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა საშიშიც კი არის ბავშვის პიროვნების ნორმალური განვითარებისთვის.

მასწავლებლის ამოცანაა ხელი შეუწყოს მორიდებული ბავშვის მხრიდან ყოველნაირი ინიციატივის გამოვლენას. მნიშვნელოვანია, ბავშვი მოვამზადოთ პასუხისთვის — დავდგეთ მის გვერდით, წავაქეზოთ, შევაქოთ, აღვნიშნოთ მისი წარმატება და აქტივობა. თუ მასწავლებელი არ არის დარწმუნებული, რომ ბავშვი სწორ პასუხს გასცემს შეკითხვას, შეიძლება ბავშვმა მას პასუხი „ყურში" უთხრას, რათა არ მოხდეს მთელი კლასის წინაშე მისი შეცდომის დემონსტრირება.

სწავლების პროცესში უნდა განხორციელდეს ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. შეიძლება გამოვიყენოთ:

- მთელ კლასთან მუშაობა.
- ჯგუფური მუშაობა.
- მუშაობა წყვილებში.
- ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა.

ახალი სასწავლო მასალა უნდა მიეწოდოს მთელ კლასს, სადაც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ახსნის (თხრობის) სხვადასხვა დონე — თავდაპირველად მასწავლებელი ახსნის მასალას მარტივად, შემდეგ კი უფრო რთულად. ბავშვებთან საუბრისას მასწავლებელმა უნდა უბიძგოს (პროვოცირება გაუკეთოს) ბავშვს, გადაწყვიტოს პრობლემა, მოიყვანოს არგუმენტები მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები როლურ, დიდაქტიკურ თამაშებსა და დისკუსიებში.

ფრონტალური გამოკითხვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის კოგნიტური თავისებურებები და ყოველ ბავშვს დაუსვას მათი შესაძლებლობების შესატყვისი კითხვები.

ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება შეიძლება დამოუკიდებელი

მუშაობის დროს, სხვადასხვა მოცულობის დავალების მიცემით.

დავალების მიცემის დროს შეიძლება ბავშვების გაერთიანება ჯგუფში სხვადასხვა ნიშნით (ფსიქიკური განვითარების მახასიათებლები). მცირე ჯგუფებში მუშაობისას ბავშვები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, უფრო თავისუფლად გამოთქვამენ აზრს, თავისი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უფრო აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო ამოცანის გადაწყვეტაში.

ჯგუფები შეიძლება დაკომპლექტდეს თანაბარი ფსიქიკური განვითარების მახასიათებლების ბავშვებით (5 - წლიანები და 6 - წლიანები). შესაბამისად, 6 წლის ბავშვების ჯგუფს მიეცემა უფრო მეტი დავალება, 5 წლისას კი - შედარებით ნაკლები. დავალების შესრულების შემდეგ უნდა მოხდეს შესრულებული სამუშაოს ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს დაბალი მომზადების ბავშვებს გაეცნონ უფრო რთული ამოცანის გადაწყვეტას.

ჯგუფი აგრეთვე შეიძლება დაკომპლექტდეს განსხვავებული ფსიქიკური განვითარების მახასიათელების ბავშვებითაც (მაგალითად, 5 - წლიანები და 6 - წლიანები ერთად), ეს დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ დასმულ მიზანზე.

დავალების ხასიათიდან გამომდინარე, ბავშვები შეიძლება თავისუფლად გადაადგილდნენ საკლასო ოთახში - მივიდნენ მასწავლებელთან, სათამაშოებთან წიგნებთან და ა.შ.

მასწავლებლის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სწავლის დაწყების პირველი დღეები და კვირები. უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი ბავშვის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა – უყურადღებობა, მოუსვენრობა, ყურადღების გადახრადობა, იმპულსურობა - არის ამ ასაკის ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივი თავისებურებები. ამიტომ მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით სკოლისადმი ადაპტაციის პერიოდში), არ მივცეთ ბავშვებს მკვეთრი შენიშვნები და ყურადღება გავამახვილოთ ბავშვის პოზიტიურ აქტივობებზე:

- აღვნიშნოთ ბავშვის ყოველი წარმატებული აქტივობა.
- აღვნიშნოთ მისი პიროვნების ძლიერი მხარეები.
- ვუთხრათ ბავშვებს, რომ გვჯერა მათი.
- ვაღიაროთ ჩვენი დავალებების „სირთულე”.

სწავლის დაწყებით ეტაპზე მასწავლებელმა უნდა მისცეს ბავშვს მისი ბუნებრივი ტემპით მუშაობის საშუალება. დაუშვებელია ასეთი ტიპის შენიშვნა – „სწრაფად”, “შენ ყველას აყოვნებ” და ა.შ.

- სწავლის დაწყებით ეტაპზე ბავშვებს უნდა მივაწოდოთ მცირე მოცულობის სასწავლო მასალა.
- სასწავლო სამუშაოს მოცულობა თანდათანობით უნდა გაიზარდოს
- უნდა შევაფასოთ შესრულებული სამუშაოს ხარისხი და არა ოდენობა.

სასწავლო დავალების მიცემისას უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული ბავშვის ფსიქიკური პროცესების (ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება) განვითარების დონე და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვისადმი მასწავლებლის დახმარების სხვადასხვა ხარისხი. ბავშვების დიდ ნაწილს ამ ასაკში სასწავლო დავალების შესრულება შეუძლია მხოლოდ უფროსის დახმარებით, რომელიც მიუთითებს მათ, თუ რა თანმიმდევრობით შეასრულონ აქტივობები. ეს არ არის ბავშვის ნეგატიური მახასიათებელი. ის მხოლოდ მიგვითითებს ბავშვის ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებზე და ბავშვის სკოლისადმი მზაობაზე.

მნიშვნელოვანია ბავშვებს მიეცეს შემოქმედებითი სასწავლო დავალებები: რაიმეს მოგონება, მიხვედრა, მსგავსი მაგალითის მოყვანა და ა.შ.

ბავშვებმა უნდა იკამათონ, გამოთქვან სხვადასხვა მოსაზრება, დაუშვან შეცდომები და მაწავლებელთან ერთად იპოვონ პრობლემის სწორი გადაწყვეტა.

ბავშვებს უნდა ვასწავლოთ აქტივობის დაგეგმვა. ეს უნდა გაკეთდეს ყველა გაკვეთილზე. განსაკუთრებით ეფექტურია ამისთვის ხატვის გაკვეთილი, როდესაც ბავშვები ახდენენ შესასრულებელი ნახატის ანალიზს, გამოყოფენ შესასრულებელი აქტივობების თანმიმდევრობას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ხმამაღლა ილაპარაკონ შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობაზე (ასეთი ტიპის აქტივობა ხელს უწყობს აზროვნების პროცესს), განახორციელონ დამოუკიდებელი კონტროლი: შეადარონ საკუთარი ნამუშევარი ნიმუშს, თვითონ შეასწორონ ნამუშევარი და სხვ.

IV თავი.
5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები და მეთოდები

სწავლა - სწავლების პრინციპები

გაცნობიერება და აქტივობა. ბავშვმა უნდა გაიგოს, რა, რატომ და როგორ უნდა გააკეთოს. მან უნდა გაიგოს ყოველი სიტყვის, წინადადების, ცნების მნიშვნელობა, რისთვისაც უნდა დავეყრდნოთ ბავშვის ცოდნასა და გამოცდილებას, გამოვიყენოთ თვალსაჩინო შედარება.

სხვადასხვა სასწავლო ამოცანის გადაწყვეტისას, სასურველია, გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობის ფორმები, ვინაიდან 5 წლის ასაკის ბავშვს უკეთესად ესმის მისი თანატოლის ნათქვამი, ვიდრე უფროსის.

სწავლებისას ხელი უნდა შევუწყოთ ბავშვის აქტივობას, ვასწავლოთ ბავშვებს იფიქრონ და იმოქმედონ დამოუკიდებლად.

ლოგიკური აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, ამიტომ ხშირად გამოვიყენოთ კითხვა „რატომ?", „რისთვის?", „როდის?"

თვალსაჩინოება. ბავშვები აზროვნებენ ფორმებით, ფერებით, ბგერებით, გრძნობებით. ამიტომ აუცილებელია სწავლებისას თვალსაჩინოების გამოყენება. სასწავლო მასალა უკეთ იქნება გაგებული, თუ ის გამდიდრებულია კონკრეტული მაგალითებით, ფაქტებით და თვალსაჩინო ობიექტებით.

სისტემურობა და თანმიმდევრულობა. სასწავლო მასალა დაყოფილი უნდა იყოს ლოგიკურ, დასრულებულ ნაწილებად, რომლის სწავლებასაც თანმიმდევრულად განვახორციელებთ. სწავლების სისტემურობისა და თანმიმდევრულობის გასამტკიცებლად, ხშირად უნდა გავიმეოროთ და შევავსოთ გავლილი მასალა.

ცოდნის სიმტკიცე. სასწავლო მასალის მტკიცე ათვისებას ხელს უწყობს მასწავლებლის ემოციური საუბარი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, დიდაქტიკური თამაშები. ხშირად უნდა გავიმეოროთ გავლილი მასალა, დავუკავშიროთ

გავლილი და ახალი მასალა ერთმანეთს. გამოვიყენოთ შედარება, ანალოგია, შეპირისპირება.

ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები და შესაძლებლობები. სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვის გუნება-განწყობილებას და განცდებს. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ბავშვებმა განახორციელონ წარმატებული აქტივობა და განიცადონ სიხარული. სასურველია ფსიქოლოგის კონსულტაციის მიღება.

ბავშვის სწვლის პროცესისადმი და შედეგისადმი გონივრული მიდგომა. სწავლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას 5 წლის ასაკის ბავშვის განვითარების ასაკობრივი კანონზომიერებები, შესაძლებლობები, ცხოვრებისეული გამოცდილება და ინტერესები. ამავე დროს სწავლება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას.

სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. არ შეიძლება სწავლება შემოიფარგლოს სწავლების მხოლოდ ერთი რომელიმე მეთოდის გამოყენებით. გამოყენებული უნდა იქნას — პრაქტიკული, თვალსაჩინო, ვერბალური და წიგნზე მუშაობის მეთოდი.

კომპლექსური მიდგომა. სწავლებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის მრავალმხრივი განვითარება. ბავშვი უნდა დაეუფლოს ცოდნას, განუვითარდეს სასწავლო და სოციალური უნარ-ჩვევები, განიცადოს პიროვნული ზრდა.

ბავშვის პიროვნების პატივისცემა. პატივი უნდა ვცეთ ბავშვის პიროვნებას — მის სურვილებს, ინტერესებს, მოთხოვნილებებს, პიროვნულ თავისებურებებს. 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლებებისას უნდა განვახორციელოთ მხოლოდ დემოკრატიული ურთიერთობის სტილი.

სწავლა-სწავლების მეთოდები

5 წლის ასაკის ბავშვთან უნდა გამოვიყენოთ სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **პრაქტიკული** (ცდა, სავარჯიშო, სასწავლო შრომა, დიდაქტიკური თამაში);
- **თვალსაჩინო** (ილუსტრაცია, დემონსტრაცია, დაკვირვება, ვიდეო – მეთოდი);
- **ვერბალური** (ახსნა, განმარტება, თხრობა, დიალოგი, ინსტრუქტაჟი, გონებრივი იერიში);
- **წიგნზე მუშაობა** (კითხვა, დათვალიერება, გადმოცემა).

- **ვერბალური მეთოდები** (ახსნა, განმარტება, თხრობა, დიალოგი, ინსტრუქტაჟი, გონებრივი იერიში) გამოიყენება სწავლების ყველა ეტაპზე — ახალი მასალის მიწოდებისას, ახსნისას, გავლილი მასალის შეფასებისას, განზოგადებისას.

ვერბალური მეთოდები — ახსნა, განმარტება, თხრობა, ინსტრუქტაჟი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

მოტივაციური — ახალი მასალის ათვისებისათვის ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა, შემეცნებითი მოტივაციის განვითარება, პრობლემური სიტუაციის შექმნა.

ინფორმაციული — შესასწავლი მასალის შინაარსის მიწოდება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ახსნა-განმარტება.

აღმზრდელობითი — სასწავლო პროცესის დროს აღმოცენებული სხვადასხვა აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტა.

განზოგადება — მიღებული ცოდნის გარკვეულ სისტემაში მოთავსება.

ორგანიზაციული — განსახორციელებელი აქტივობის ხერხებისა და საშუალებების ახსნა.

კონტროლი-კორექცია — ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ როგორ აითვისეს ბავშვებმა გავლილი მასალა, შეცდომების გასწორება.

გონებრივი იერიში წარმოადგენს ჯგუფური მუშაობის მეთოდს, რომლის მიზანია კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური რაოდენობის იდეების შეგროვება და განხილვა. გონებრივი იერიშის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფში მუშაობის წესებზე შეთანხმება. კერძოდ:

— ყველა იდეა მისაღებია და ყველა იდეა უნდა იყოს განხილული.

— გონებრივი იერიშის დროს არაფერს განვსჯით და ვაფასებთ.

— გონებრივი იერიშის დროს მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი.

მოსწავლეების მიერ იდეების დასახელების შემდეგ ხდება იდეების განხილვა და ჯგუფისთვის მისაღები რამდენიმე იდეის შერჩევა.

გონებრივი იერიშის დროს მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს პროცესის მიმდინარეობას და უნდა იყოს ნეიტრალური ბავშვების მიერ გამოთქმული იდეების მიმართ. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედობითობის განვითარებას.

დიალოგი — ეს მეთოდი ხელს უწყობს სხვისი მოსმენის, მორიგეობით საუბრის, საკუთარი აზრის გამოთქმის უნარის განვითარებას. ამ მეთოდის გამოყენებამდე, ბავშვებს უნდა გავაცნოთ დიალოგის წარმართვის წესები.

სწავლების ვერბალური მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა განმარტოს ყველა ახალი და უცხო სიტყვა, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს შესასწავლი მასალის შინაარსი. მისი მეტყველება უნდა იყოს გამართული და ემოციური, რათა გამოიწვიოს ბავშვის ინტერესი და მისი ჩართვა სასწავლო საქმიანობაში.

- **წიგნზე მუშაობა** (კითხვა, დათვალიერება, გადმოცემა). ეს არის სწავლების ერთერთი ძირითადი მეთოდი. სახელმძღვანელო ასრულებს მთელ რიგ ფუნქციას — სწავლებს, განმავითარებელს, აღმზრდელობითს, მოტივაციურს და საკონტროლო-კორექციულს.

წიგნზე მუშაობა მოითხოვს ბავშვისგან დიდ დროსა და ენერგიას, ამიტომ ის 5 წლის ასაკის ბავშვისთვის საკმაოდ რთული პროცესია. ამ აქტივობას ბავშვი თანდათანობით უნდა მივაჩვიოთ. წიგნში მოცემული სასწავლო მასალა უნდა დავყოთ ცალკეულ მცირე ნაწილებად, რომელთა შესრულებაც გაკონტროლდება მასწავლებლის მიერ.

მასწავლებელს სახელმძღვანელოს პარალელურად მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, შეუძლია გამოიყენოს სხვა დამხმარე მეთოდოლოგიური მასალა, რომელიც დაეხმარება მას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში.

- **თვალსაჩინო მეთოდი** (ილუსტრაცია, დემონსტრაცია, დაკვირვება, ვიდეო - მეთოდი).

დაკვირვება. ამ მეთოდის მიზანია ბავშვის სენსორული გამოცდილების გაფართოება და გამდიდრება, დაკვირვების განვითარება, ობიექტების კონკრეტული თვისებების შესწავლა, აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლის პირობების შექმნა, დამოუკიდებელი სწავლება.

თვალსაჩინოების საშუალებები მრავალფეროვანია — გარესამყაროს ობიექტები და მოვლენები, მასწავლებლის და მოსწავლის აქტივობა, ნახატები, ფოტოები, სათამაშოები,

სქემა, ცხრილი და ა.შ. თვალსაჩინოება არ უნდა იყოს ძალზედ მკვეთრი ფერებით შესრულებული, რათა არ მოხდეს ბავშვის ყურადღების გადატანა ობიექტის მეორეხარისხოვან დეტალებზე. ფერი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი აზრის გამოსაკვეთად.

თვალსაჩინოებას აგრეთვე მიეკუთვნება — დემონსტრირება, ილუსტრაცია და ვიდეო- მეთოდი.

დემონსტრირება განსხვავდება უბრალო ჩვენებისაგან იმით, რომ დემონსტრირების დროს მასწავლებელი მიმართავს ბავშვის ყურადღებას ობიექტის (მოვლენის) არა მხოლოდ გარეგან, არამედ არათვალსაჩინო, არსებით ნიშნებზე.

ილუსტრაციის საშვალებით ხდება ობიექტების, პროცესების, მოვლენების ჩვენება სიმბოლოების გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს: პლაკატი, რუკა, პორტრეტი, ფოტო, ნახატი, სქემა, რეპროდუქცია და ა.შ.

დღეს ხელმისაწვდომია ძალიან კარგად გაფორმებული საბავშვო ენციკლოპედიები, ალბომები, ატლასები და ა.შ. მათი გამოყენება გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს საწავლო პროცესს.

დემონსტრირებისა და ილუსტრაციის მეთოდი ავსებს ერთმანეთს და აძლიერებს სასწავლო ზემოქმედებას. როდესაც პროცესი ან მოვლენა მთლიანობაში უნდა იქნას აღქმული, გამოიყენება დემონსტრირება, ხოლო როცა საჭიროა მოვლენის კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვა, იყენებენ ილუსტრაციას.

ვიდეო - მეთოდი. სწავლების ეს მეთოდი დღეს სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს სწავლების პროცესში. აქ შედის: პროექტორის, სასწავლო ტელევიზიის, აუდიო და ვიდეო მაგნიტოფონების, კომპიუტერის გამოყენება. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება არა მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად, არამედ ასრულებს ცოდნის კონტროლის, განმტკიცების, გამეორების, განზოგადების, სისტემატიზაციის ფუნქციას.

დღეს ბავშვებისთვის შექმნილია მრავალფეროვანი ვიდეო - ენციკლოპედიები, ვიდეო მასალები, კომპიუტერული თამაშები, რომელთა გამოყენებაც, ზომიერი დოზით, გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს.

აღნიშნული მეთოდის მაღალეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ თვალსაჩინოებასთან ერთად, შესაძლებელია მოვლენების მართვა, ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ამ მეთოდის გამოყენების დროს ბავშვებს უნდა მიეცეთ ინტერაქციის განხორციელების საშუალება, საკონტროლო სავარჯიშოები და ტესტები.

- **პრაქტიკული მეთოდები.** აქ შედის — სავარჯიშო, ლაბორატორიული მეთოდი, სასწავლო ექსკურსია, დიდაქტიკური თამაშები.

სავარჯიშო ხელს უწყობს უნარებისა და ჩვევების ეფექტურ ფორმირებას. 5 - წლიანებთან შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ზეპირი — მეტყველების, აზროვნების, ყურადღების, მეხსიერების, ფანტაზიის, კითხვის, ზეპირი ანგარიშის და ა.შ. განმავითარებელი სავარჯიშოები, ასევე წერითი — გრაფიკული, ნატიფი მოტორიკის, ორთოგრაფიული და სხვა სავარჯიშოები. სავარჯიშოები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მათ დიდი ადგილი უნდა დაეთმოთ 5 - წლიანთა სწავლებაში.

ლაბორატორიული მეთოდი გულისხმობს ბავშვის მიერ ცდის დამოუკიდებლად ჩატარებას. ცდა შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ლაბორატორიული მეთოდი ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების (გამოთვლა, გაზომვა, გადამუშავება, შედარება) განვითარებას.

სასწავლო ექსკურსია წარმოადგენს მოსწავლეთა ჯგუფის მიერ სხვადასხვა ადგი-

ლების, მაგ., ზოოპარკის, ისტორიული ძეგლების, მუზეუმების თუ სხვადასხვა ორგანიზაციის მონახულებას. მასწავლებელმა შეიძლება ექსკურსია გამოიყენოს, როგორც გარკვეული სასწავლო მასალის დემონსტრირების პროცესში, ასევე, ჯგუფის წევრების არაფორმალურ გარემოში დაახლოების, კლასის დამეგობრების მიზნით.

- **დიდაქტიკური თამაშები.** დიდაქტიკური თამაში სწავლების აქტიური ფორმაა, რომელიც თამაშის სახით მიმდინარეობს. დიდაქტიკური თამაში არის კოლექტიური, მიზანმიმართული საქმიანობა, რომლის დროსაც ყველა მონაწილე გაერთიანებულია კონკრეტული ამოცანის გადაჭრისა თუ გამარჯვებისკენ. დიდაქტიკურ თამაშში მონაწილეთა მოქმედება ფორმალიზებულია, თამაშს აქვს თავისი წესები, შეფასების სისტემა, მოქმედებათა თანამიმდევრობა და რეგლამენტი. დიდაქტიკურ თამაშებში ხდება რეალური სიტუაციის მოდელირება, საიდანაც ბავშვმა გამოსავალი უნდა იპოვოს. აუცილებელია, რომ მასწავლებელი იყოს თამაშის თანამონაწილე.

დიდაქტიკური თამაშის სახეებია:

საგნობრივი თამაშები — თამაშები დიდაქტიკური სათამაშოთი, მოზაიკით. სხვადასხვა ბუნებრივი მასალის გამოყენებით.

მაგიდის თამაშები — კუბებით ნახატის აწყობა, პაზლი, ლოტო, ნახატების წყვილი, სადაც უნდა მოიძებნოს მსგავსება და განსხვავება ნახატებს შორის.

ვერბალური თამაშები — შარადები, გამოცანები, რებუსები, კროსვორდები, ვიქტორინები, ენის გასატეხი.

სასწავლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა სხვადასხვა სასწავლო მეთოდის კომბინირებული გამოყენება.

ყოველი გაკვეთილისთვის მასწავლებელი განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს განზრახული:

- როგორ აპირებს შესასწავლი თემის ორგანიზებას - მისივე ხელმძღვანელობით თუ ბავშვების დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით;
- რომელ დიდაქტიკურ საშუალებებს გამოიყენებს გაკვეთილზე;
- ბავშვის აქტივობის რომელ მასტიმულირებელ მეთოდებს გამოიყენებს;
- კონტროლისა და თვითკონტროლის რომელ მეთოდებს გამოიყენებს.

5 წლის ასაკის ბავშვის სწავლების ძირითადი თავისებურებები და პედაგოგიური რეკომენდაციები

- ✓ სკოლისადმი ადაპტაციის პერიოდში ბავშვებს უჭირთ საერთო სასწავლო საქმიანობაში ჩართვა. ამიტომ აუცილებელია სასწავლო მასალა მათ ბევრჯერ ავუხსნათ და ამავე დროს გამოვიყენოთ ინდივიდუალური მიდგომა;
- ✓ სასწავლო წლის პირველ ნახევარში პატარა მოსწავლეები გაკვეთილის რეჟიმს შედარებით რთულად ემორჩილებიან, საკმარისია გაკვეთილისათვის დამახასიათებელი წესრიგი და სერიოზულობა მოვთხოვოთ, რომ სწრაფად იღლებიან და გაკვეთილს ეთიშებიან. **ამიტომ არის მნიშვნელოვანი გაკვეთილის სტრუქტურა. ის უნდა შედგებოდეს სხვადასხვა აქტივობისგან (სასურველია იყოს საერთო თემა). არ არის სასურველი გაკვეთილის წარმართვა მხოლოდ ერთი სახის აქტივობით, მაგალითად, მთელი 35 წუთის განმავლობაში კითხვა, წერა ან მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. უნდა მოხდეს სხვადასხვა აქტივობის ჩანაცვლება.** სას-

წავლო მასალის თამაშის ფორმით მიწოდებისას, ბავშვები ხალისით ასრულებენ დავალებებს, მაგრამ მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ თამაშის ფორმით პროგრამის შედარებით მცირე ნაწილის მიწოდება ხერხდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სირთულე დამახასიათებელია სასწავლო წლის პირველი ნახევრისთვის. **შემდგომ ვითარება იცვლება და სასწავლო წლის ბოლოსთვის პირველკლასელი საკმაოდ კარგად ართმევს თავს სწავლას;**

- ✓ საქმიანობის სამი სახიდან (გონებრივი, ფიზიკური და სტატიკური) 5 წლის ასაკის ბავშვისთვის სტატიკური დაძაბულობა ყველაზე დამღლელია და იწვევს ყველაზე არასასურველ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს ორგანიზმში. ბავშვს დიდხანს შეუძლია ირბინოს, ითამაშოს, იაროს, შეასრულოს სხვადასხვა სახის მოქმედება, მაგრამ გაუნძრევლად დგომა ან ჯდომა დიდ ძალისხმევას მოითხოვს მისგან და საკმაოდ რთულია. ამიტომ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ბავშვის **სტატიკური დაძაბულობა მერხთან ჯდომის დროს.** ჯდომა არის არა პასიური მდგომარეობა, არამედ აქტიური პროცესი და მიმართულია სიმძიმის ძალის დაძლევაზე და თავის ვერტიკალურ მდგომარეობაში დაჭერაზე. ამ დროს კისრის, კეფის, ზურგის და თეძოების კუნთები გამუდმებით დაძაბულ მდგომარეობაშია. ამიტომაც სტატიკური დაძაბულობის მოხსნისთვის აუცილებელია მოძრავი პაუზები, რომლებიც უნდა მოეწყოს 5 წლის ასაკის ბავშვებისთვის გაკვეთილის მე-10 ან მე-15 წუთზე. მერხთან სტატიკურ პოზაში ჯდომის მოთხოვნა ფიზიოლოგიურად გამართლებული არ არის. ბავშვს არ უნდა ავუკრძალოთ მისთვის სასურველი, კომფორტული პოზის მიღება, რათა მისი ისედაც იოლად გადახრადი ყურადღება მიმართული იყოს სასწავლო აქტივობაზე და არა იმაზე, როგორ გაასწოროს მხრები და კისერი;
- ✓ სასკოლო გარემოში მნიშვნელოვანი არის წესების არსებობა, მაგრამ სკოლის წესების დაცვის მოთხოვნა თანდათანობით უნდა იქნას შემოტანილი. მას უნდა ჰქონდეს სურვილის და არა ბრძანების ფორმა. არ შეიძლება გავუბრაზდეთ ბავშვს, რომელიც არასწორად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას და არ იცავს სკოლის წესებს. საქმე ისაა, რომ 5 წლის ბავშვს ამის გაკეთება ჯერ არ შეუძლია, ვინაიდან მისი ქცევა და ფსიქიკური პროცესები, უნებლიე ხასიათისაა. ბავშვს არ შეუძლია მართოს თავისი ქცევა. ის ამ უნარებს სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დაეუფლოს. ამიტომ, წესების შემოტანისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კლასში მოქცევის წესი თავდაპირველად უნდა იყოს 2-3, რომლის დაცვაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. ინსტრუქცია უნდა იყოს მოკლე და გასაგები. მაგ., „როდესაც ერთი ლაპარაკობს, დანარჩენები უსმენენ". უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არის სასურველი წესების ფორმულირებისას წინადადების დაწყება უარყოფითი ფორმით (მაგ., „არ დახიო წიგნები", „ნუ შეუშლი ხელს"). უმჯობესია წესი ჩამოვაყალიბოთ პოზიტიური ფორმით: „გავუფრთხილდეთ წიგნებს" ან „დავიცვათ წესრიგი". მასწავლებელს ხშირად დასჭირდება ამ წესების შეხსენება, მაგრამ როდესაც ბავშვები მიეჩვევიან მეტ-ნაკლები წარმატებით მათ შესრულებას, შეიძლება კიდევ 1-2 წესის დამატება და შემდეგ მათ მიმართ ჩვევის შემუშავებაზე მუშაობა. ეს გაუადვილებს პატარებს სასკოლო და საგაკვეთილო რეჟიმთან თანდათანობით შეგუებას. სასურველია მოვიყვანოთ საჭირო ქცევის მაგალითები (შეიძლება ვთხოვოთ მოთხრობა, ზღაპარი). შეიძლება ვთხოვოთ, რომ გაიმეოროს მასწავლებ-

ლის ნათქვამი - „აბა, რა წესი უნდა დავიცვათ?!"

- ✓ მასწავლებლის საუბრის ტონი უნდა იყოს მშვიდი. დაუშვებელია ურთიერთობის ავტორიტარული სტილი (კატეგორიული ტონით მითითება). გამოყენებული უნდა იქნას ურთიერთობის არავერბალური ფორმებიც - თავზე ხელის გადასმა, ხელის მოკიდება, მოფერება და ა.შ. ეს არა მხოლოდ აწყნარებს ბავშვს, არამედ ხდის მას უფრო თავდაჯერებულს და უქმნის განცდას, რომ მასწავლებელი მის მიმართ დადებითად არის განწყობილი;
- ✓ ბავშვის დამოუკიდებლობისა და აქტივობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დადებითად შეფასდეს არა მხოლოდ მისი ყოველი წარმატებული აქტივობა, არამედ მცდელობაც (თუნდაც წარუმატებელი). სწავლის დასაწყისში აუცილებელია მასწავლებელმა ემოციური რეპლიკებით აღნიშნოს ბავშვის ყოველი აქტიობა. შექება აღაფრთოვანებს ბავშვს, მითითება კი უბიძგებს უფრო ყურადღებით მუშაობისკენ. შემდგომში მასწავლებლის ემოციური რეპლიკები თანდათანობით უნდა შემცირდეს, ვინაიდან ბავშვი დაეყრდნობა არა მის მიერ განხორციელებულ აქტივობის შედეგს, არამედ მასწავლებლის რეაქციას. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ ბავშვს თვითკონტროლი არ განუვითარდება. მაგალითად, მასწავლებელმა უნდა თქვას — „მე ვხედავ ერთ შეცდომას (შეიძლება მიუთითოს ადგილი). აბა, შეამოწმე".
- ✓ ბავშვებს ხშირად ეშინიათ შეცდომის დაშვების, ამიტომ მასწავლებელმა უნდა უთხრას ბავშვებს, რომ შეცდომა არის სასწავლო პროცესის ნორმალური და ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. არ არსებობს ადამიანი, ვინც არ უშვებს შეცდომებს. შეცდომებს კი უფრო ხშირად უშვებს აქტიური ადამიანი. აქტივობა კი ყოველთვის მისასალმებელია. ბავშვის ყოველი დაშვებული შეცდომა მასწავლებელმა უნდა მიიღოს, როგორც გამოცდილების მიღების და სწავლის კიდევ ერთი შესაძლებლობა და აღნიშნოს ეს დადებითი ემოციით. მაგალითად, "მოდი ვნახოთ, რა შეიძლება ვისწავლოთ ამ შეცდომით?", "როგორ გამოვასწოროთ?"
- ✓ პირველ კლასში სასურველია მოსწავლეებს არ მიეცეთ საშინაო დავალება (განსაკუთრებით საადაპტაციო პერიოდში). მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანია კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მისი საქმიანობა სკოლაში ღირებულია და მნიშვნელოვანი მისი ოჯახისთვისაც. შეიძლება ბავშვებს მივცეთ მცირე დავალებები, რომელთა შესრულებაც არ გაუძნელდებათ, მაგრამ არა სკოლაში შესვლის პირველი დღეებიდანვე. შეიძლება ბავშვს დავავალოთ, მოუთხროს მშობლებს და ოჯახის წევრებს, რა ისწავლა დღეს ახალი; რა იყო მისთვის განსაკუთრებით საინტერესო; ოჯახის წევრებთან ერთად დახატოს ან გამოძერწოს რაც უნდა და მოიტანოს სკოლაში და ა.შ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უშუალოდ სასწავლო დავალებას არ წარმოადგენს, მაგრამ უსათუოდ შეუწყობს ხელს დავალების დამახსოვრებისა და შესრულების უნარის თანდათანობით განვითარებას. სასწავლო საქმიანობის დაკავშირება ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებასთან ზრდის მის თვითშეფასებას და აძლიერებს სწავლის მოტივაციას.

ცოდნის შეფასების მეთოდები და ფორმები

ზეპირი გამოკითხვა — შეიძლება ჩატარდეს როგორც საუბარი (დიალოგი); ბავშვის მონათხრობი, ახსნა, ტექსტის წაკითხვა; ბავშვის მიერ წარმოებულ დაკვირვებაზე ან გამოცდილებაზე საუბარი.

ზეპირი გამოკითხვა, საუბრის (დიალოგის) ფორმით შეიძლება ჩატარდეს როგორც კონკრეტული ბავშვის, ასევე მთელი კლასის მონაწილეობით. სასწავლო დიალოგისთვის მეტად მნიშვნელოვანია შეკითხვების მომზადება, რომლებიც ამოწმებს არა მარტო ბავშვის მიერ დამახსოვრებულ ინფორმაციას, არამედ იმას, თუ რამდენად აქვს ბავშვს გააზრებული გავლილი სასწავლო მასალა, მსჯელობის უნარს, არგუმენტაციას, საკუთარი აზრის გამოთქმას, კლასში წარმოებულ დიალოგში აქტიურ მონაწილეობას.

ზეპირი გამოკითხვის მონოლოგური ფორმა 5 - წლიანებთან არ უნდა იქნას გამოყენებული, ვინაიდან ასათვისებელი მასალა ძალიან მცირეა და ბავშვები მას ადვილად იმახსოვრებენ. ამიტომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ასათვისებელი სასწავლო მასალისადმი ბავშვის შემოქმედებით დამოკიდებულებაზე, მახვილგონიერებაზე. უნდა შეირჩეს ბავშვისათვის გასაგები პრობლემური კითხვები.

მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობა. ინდივიდუალური დავალება შეიძლება მიეცეს ბავშვს, რომელმაც ბევრი გააცდინა, მორიდებულ ბავშვს ან ბავშვს, რომელსაც აქვს მუშაობის ბუნებრივად ნელი ტემპი. მათთვის მასწავლებელმა უნდა დაამზადოს ინდივიდუალური ბარათები.

გრაფიკული სამუშაო — ნახატები, დიაგრამები, სქემები და ა.შ. მათი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ საგანში და მათი მიზანია შეამოწმოს, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს გამოიყენოს ცოდნა არასტანდარტულ სიტუაციაში, გამოიყენოს მოდელირების მეთოდი, იმუშაოს სივრცით პერსპექტივაში, განაზოგადოს ცოდნა.

5 - წლიანებთან არ უნდა გამოვიყენოთ ცოდნის შეფასების სხვადასხვა **შეფასებითი სიმბოლოები,** როგორიცაა — ვარსკვლავი, მზე, სტიკერი და ა.შ. ვინაიდან ეს სიმბოლოები იღებს „ნიშნის" ფუნქციას და ბავშვს უყალიბდება შეფასებითი სიმბოლოს მიმართ იგივე დამოკიდებულება, რაც „ნიშნის" მიმართ. ამასთანავე შეფასებითი სიმბოლოები არ იძლევა ინფორმაციას სწავლის პროცესში მიღწეულ წარმატებებზე. კითხვა — „რა მიიღე?" უნდა შეიცვალოს კითხვით — „რა ისწავლე?".

მაგრამ, ვინაიდან ბავშვებს ძალიან უყვართ მათი მიღწევების თუ აქტივობის აღიარება, „ვარსკვლავები" და „გაცინებული კაცუნები" შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ბავშვის მონდომების/მცდელობის აღნიშვნის მიზნით და არა „საუკეთესო შედეგის" ან ცოდნის შესაფასებლად.

გახსოვდეთ! უნდა აღინიშნოს ბავშვის მონდომება და მცდელობა და არა „საუკეთესო შედეგი" ან ცოდნა

მოსწავლეთა შესაფასებლად უმჯობესია გამოვიყენოთ შემდეგი ტექნიკები:

ინდივიდუალური ბარათები, სადაც ჩაიწერება ის უნარები, რომელიც ბავშვმა უკვე აითვისა. მაგალითად, დამარცვლით კითხვა, მიმატება, გამოკლება და ა.შ.

მიღწევის ალბომი, სადაც გამოყოფილი იქნება სხვადასხვა თემა. მაგალითად, „მათემატიკური სირთულეები, რომლებიც დავძლიე", „კითხვის სირთულეები, რომლებიც

დავძლიე", „წიგნები, რომლებიც წავიკითხე", „ჩემი საუკეთესო ნახატები" და ა.შ. ბავშვებმა არ უნდა შეადარონ ერთმანეთის მიღწევის ალბომები. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს მათი პირადი მიღწევებია და არანაირი კავშირი არა აქვს სხვა ბავშვის მიღწევებთან.

„მოთხრობა — გუშინ, დღეს, ხვალ", სადაც აღწერილი იქნება, რა იცოდა ბავშვმა გუშინ, რა იცის დღეს და რას ისწავლის ხვალ.

„აპლოდისმენტები" - ემოციურად უნდა აღვნიშნოთ ბავშვის აქტივობა. მაგალითად, "გიორგი, შენ დღეს ძალიან კარგად წაიკითხე, გილოცავ". ამ ტექნიკის გამოყენების დროს არ უნდა შევეხოთ ბავშვის წარსულ და მომავალ აქტიობას, არ უნდა შევადაროთ სხვა ბავშვებს. მაგ., „გიორგი, შენ დღეს ძალიან კარგად წაიკითხე, გილოცავ" და არა „ გიორგი, შენ ნუცაზე უკეთ წაიკითხე, გილოცავ! "

„პორტფოლიო" - ბავშვის ნამუშევრების შეგროვება საუკეთესო მეთოდია, რათა ნათლად დავინახოთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვმა რამდენი ახალი რამ ისწავლა, როგორი ტემპით მიდის ამა თუ იმ უნარის განვითარება და სხვ. მართალია, თავიდან პორტფოლიოში ბავშვის თითქმის ყველა ნამუშევარი ხვდება, მაგრამ თანდათან აუცილებელი ხდება პერიოდულად (თუნდაც სემესტრში ერთხელ), ბავშვთან ერთად ამ ნამუშევრებიდან საუკეთესოს შერჩევა შესანახად ან სპეციალურად ორგანიზებული გამოფენისთვის (დანარჩენი ნამუშევრები შეიძლება სახლში გავატანოთ პატარას). ამგვარი მეთოდით ბავშვი მიეჩვევა საკუთარი ნამუშევრების შეფასებას.

რეკომენდაცია პედაგოგებს:

- ✓ ბავშვის მიერ შესრულებული სასწავლო აქტივობის შეფასებისას უნდა გაკეთდეს ბავშვის სასწავლო აქტივობის ანალიზი;
- ✓ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს წარმატებები, შემდეგ უნდა მოხდეს არსებული შეცდომის ანალიზი;
- ✓ არ უნდა გამოვიყენოთ შემდეგი სახის გამონათქვამები: „არ არის სწორი", „არ ფიქრობ", „არ ინდომებ". უმჯობესია ვუთხრათ: „შენ ასე ფიქრობ?", „ეს შენი აზრია?", „მოდი სხვას მოვუსმინოთ".
- ✓ შეფასება არ უნდა ეხებოდეს ბავშვის პიროვნებას („ზარმაცი ხარ", „უყურადღებო ხარ", „მოუსვენარი ხარ" და ა.შ.);
- ✓ უნდა შეფასდეს ბავშვის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა;
- ✓ **არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ბავშვის აქტივობის ტემპის, პიროვნული და ფსიქიკური პროცესების თავისებურებების შეფასება!**

დღის განრიგი

5 წლის ბავშვის სკოლისადმი ადაპტაციის გასაიოლებლად, სასურველია, სასწავლო დატვირთვა თანდათანობით გაიზარდოს. სექტემბერ-ოქტომბერში, სასურველია, ჩატარდეს დღეში მხოლოდ 3 „ტრადიციული" გაკვეთილი. დანარჩენი გაკვეთილები კი სასურველია, წარიმართოს განმავითარებელი თამაშებით, გასეირნებით, ექსკურსიით, სპორტული მეცადინეობით. ადაპტაციური პერიოდის გავლის შემდეგ დღეში შეიძლება ჩატარდეს 4-5 გაკვეთილი.

გაკვეთილის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 35 წუთს. ყურადღება უნდა მიექცეს გაკვეთილის სტრუქტურას. ის უნდა შედგებოდეს სხვადასხვა აქტივობებისაგან (სასურველია, მათ ჰქონდეთ საერთო თემა). 10-15 წუთიანი სასწავლო აქტივობის შემდეგ ბავშვს უნდა შევთავაზოთ სხვა სახის აქტივობა (განმავითარებელი სავარჯიშოები, მოტორული თამაშები). სასურველია, ყოველი გაკვეთილის განმავლობაში ასეთი სახის ჩართვას 2-ჯერ ჰქონდეს ადგილი.

პირველი გაკვეთილის შემდეგ, სასურველია, იყოს 10 წუთიანი შესვენება. თუ სკოლის რეჟიმი იძლევა ამის შესაძლებლობას, მაგ., არის ერთცვლიანი, მეორე გაკვეთილის შემდეგ უნდა იყოს 15-20 წუთიანი შესვენება, რომლის დროსაც ბავშვი მოასწრებს წახემსებას. მესამე გაკვეთილის შემდეგ აუცილებელია 30-40 წუთიანი დინამიური შესვენება (გასეირნება სუფთა ჰაერზე, თამაში).

გაკვეთილების ცხრილის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

გაკვეთილები, რომლებიც მოითხოვს დიდ გონებრივ დაძაბულობას (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა) რეკომენდებულია ჩატარდეს I ან II. გაკვეთილები სახვით ხელოვნებაში, ბუნებისმეტყველებაში, მუსიკაში მიზნშეწონილია ჩატარდეს დინამიური შესვენების შემდეგ (მე-3 გაკვეთილი), ხოლო გაკვეთილები, რომლებიც საჭიროებს მოტორულ აქტივობას (სპორტი) ბოლოს.

5 - დღიანი სასწავლო კვირის მე-3 დღე (ოთხშაბათი), სასურველია, იყოს განტვირთვის დღე. ამ დღეს არ უნდა მოხდეს ახალი მასალის ახსნა, არამედ დრო უნდა დაეთმოს განვლილი მასალის გამეორება - განმტკიცებას. სასურველია ჩატარდეს ექსკურსია ბუნებაში, სახვითი ხელოვნების და სპორტის გაკვეთილები.

სასწავლო გარემო

პირველკლასელთა სასწავლო გარემოც და ოთახიც უნდა განსხვავდებოდეს სხვა საკლასო ოთახებისაგან. ოთახი უნდა იყოს ნათელი, ხშირად უნდა ნიავდებოდეს და ირეცხებოდეს საპნითა და წყლით. კედლები უნდა იყოს ღია, ნათელი ფერის. საკლასო ოთახის კედლებს თავისი ფუნქციონალური დატვირთვა აქვს. არ არის საჭირო მათი გადატვირთვა თუნდაც ბავშვების საყვარელი ზღაპრების გმირების ან გამოჩენილი ადამიანების სურათებით. უმჯობესია, იყოს ბავშვების მიერ სწავლების პროცესში შექმნილი ნახატები, კოლაჟები, პოსტერები, ფერადი ასოები ან ციფრები, დღის სამუშაო განრიგი, კლასში მოქცევის წესები და სხვ. მასალები უნდა შეირჩეს განვითარების დონის შესაბამისად და მათში ასახული უნდა იყოს განსხვავებული ასაკობრივი, გენდერული, რასობრივი თუ ეთნიკური მახასიათებლები. ბავშვების მიერ შექმნილი ნამუშევრები უნდა განთავსდეს ბავშვის თვალის დონეზე როგორც კლასში, ასევე ყველას დასანახად საინფორმაციო დაფებზე; ბავშვების ნამუშევრები და სხვა თვალსაჩინო მასალები დროდადრო უნდა შეიცვალოს, რომ ბავშვმა მათ მიმართ ინტერესი არ დაკარგოს. ამასთან, ბავშვები ნათლად დაინახავენ რამდენი ახალი რამ ისწავლეს და შექმნეს სწავლის პროცესში, რა წარმატებებს მიაღწიეს და ყველაფერი ეს სწავლის მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს.

ოთახი არ უნდა იყოს გადატვირთული დიდი კარადებით და სხვა სახის ავეჯით. პირიქით, ავეჯი უნდა იყოს მობილური, ფუნქციონალური და უსაფრთხო. ავეჯსა და სხვა მასალებს არ უნდა ჰქონდეს ხიჭვები და მახვილი კუთხეები. ადვილი უნდა იყოს მათი

გადაადგილება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს დიდი სივრცის ორგანიზება სხვადასხვა სახის აქტივობებისთვის, არამარტო ინდივიდუალურად, არამედ პატარა და დიდ ჯგუფებში სამუშაოდ.

აუცილებელია გამოყოფილი იყოს ადგილი ბავშვის პირადი ნივთების შესანახად (უჯრა, ყუთი, კედელზე ჩამოკიდებული ჯიბე) შესაბამისი წარწერებით ან ბავშვის ფოტოთი (რომ ადვილად შეძლოს ცნობა).

პატარებს ზოგჯერ სჭირდებათ განმარტოვება და მათ უნდა ჰქონდეთ ამის საშუალება. მაგალითად „წიგნების კუთხე", სადაც იქნება თაროები ბავშვების საყვარელი ან მათ მიერ შექმნილი წიგნებით, ხალიჩა, სადაც შეძლებენ მყუდროდ იგრძნონ თავი, გადაათვალიერონ წიგნები, დაფიქრდნენ და სხვ. ასევე უნდა იყოს თაროები ბავშვებისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე, სადაც განთავსდება წიგნები, სამუშაო მასალები, ბავშვების მიერ შესრულებული ნამუშევრები. თუ კლასში არის „პალტოების საკიდი", ისიც უნდა იყოს ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე და იმ სიმაღლეზე, რომ პატარებმა თვითონ შეძლონ მათი ჩამოკიდება.

V თავი.
აქტივობები და პრაქტიკული სავარჯიშოები

- **აღქმა;**
- **მეხსიერება;**
- **ყურადღება;**
- **აზროვნება;**
- **ფანტაზია;**
- **მეტყველება;**
- **მოტორიკა;**
- **ნებელობა;**
- **კომუნიკაცია;**
- **თანამშრომლობა;**
- **კითხვა;**
- **არითმეტიკა;**
- **აქტივობები განტვირთვისთვის;**
- **აქტივობები მოძრავი პაუზებისთვის.**

პირველ კლასში ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება და დრო დაეთმოს მოტორიკის, სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქციების (აღქმა, ყურადღება, მეხსირება, აზროვნება, ფანტაზია, მეტყველება), თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

სმენითი და მხედველობითი აღქმის, მეხსიერების, წარმოსახვის უნარების განვითარება დაეხმარება ბავშვებს მათემატიკის, წერა-კითხვის, ხოლო სივრცისა და დროის აღქმის, დაკვირვების უნარები კი ბუნებისმეტყველების ათვისებაში. წარმოდგენილი აქტივობები მიმართულია როგორც კონკრეტული უნარების განვითარებისკენ, ისე შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებზე სახალისო ფორმით გავიყვანოთ. აღნიშნული აქტივობები შესაძლებელია გამოვიყენოთ განტვირთვის მიზნით, გაკვეთილზე მოძრავი პაუზების დროსაც.

აღქმა

ადამიანის შეგრძნების ორგანოების გაცნობა

აქტივობა 1.

მიზანი: ადამიანის შეგრძნების ორგანოების გაცნობა – ყური;

მასალა: დოლი, ზარი, ჟღარუნა.

მიმდინარეობა: მასწავლებელი შირმის უკან ახმაურებს ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს, მოსწავლეებს კი სთხოვს, აიწიონ ხელი, თუ მიხვდებიან, რისი ხმა ესმით. შესაძლებელია, აქტივობას შეჯიბრის ფორმა მიეცეს და მოსწავლემ, რომელიც სწორად გამოიცნობს, თავის რვეულში ჩაიხატოს წრე. ის მოსწავლე, რომელსაც ყველაზე მეტი წრე ექნება, იქნება გამარჯვებული.

მასწავლებელი უსვამს შეკითხვებს მოსწავლეებს, თუ რა გვეხმარება სხვადასხვა ხმის გაგებაში. მასწავლებელი აჯერებს აქტივობას, რომ ხმების, ხმაურების გარჩევაში ჩვენ გვეხმარება ყური.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ შეინარჩუნონ მაქსიმალური სიჩუმე და დაუგდონ ყური, თუ რისი ხმა, ხმაური გვესმის კლასში? მაგ., საათის ტიკ-ტიკი, გარედან შემოსული მანქანების სიგნალი და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.1.

აქტივობა 2.

მიზანი: ადამიანის შეგრძნების ორგანოების გაცნობა – ცხვირი;

მასალა: სხვადასხვა სურნელოვანი ნივთი.

მიმდინარეობა: მასწავლებელს მიაქვს სხვადასხვა სურნელოვანი ნივთი. მაგ., სანთელი, სუნამო. სთხოვს მოსწავლეებს, ცხვირზე აიფარონ ხელსახოცი. მიაქვს სურნელოვანი ნივთი. ეკითხება, იგრძნეს თუ არა რაიმე სუნი?

შემდეგ კი სთხოვს, მოიხსნან ხელსახოცი და ისე დაყნოსონ ნივთი.

ამის შემდეგ კი ეკითხება რით ვგრძნობთ სუნს?

მასწავლებელი სთხოვს დახატონ ან დაასახელონ ნივთები, საკვები ან ყვავილი, რისი სუნიც მათ განსაკუთრებით მოსწონთ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.1.

აქტივობა 3.

მიზანი: ადამიანის შეგრძნების ორგანოების გაცნობა - ენა, ყურადღების კონცენტრაცია;

მიმდინარეობა: მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ფრაზების დასრულებას: ლიმონი მჟავეა, შაქარი . . .

კანფეტი ტკბილია, მარილი . . . მარილი მლაშეა, წიწაკა . . .

მასწავლებელი აზუსტებს, რომ ენის მეშვეობით ჩვენ შევიგრძნობთ გემოს.

მასწავლებელი ესვრის ბურთს რომელიმე ბავშვს და ეკითხება: „ ტკბილი შეიძლება იყოს” . . .

„მწარე შეიძლება იყოს” . . . „მლაშე შეიძლება იყოს” . . . „მჟავე შეიძლება იყოს”. . .

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.1.

ბგერები

აქტივობა 1. „ყურადღებით მისმინე"

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის, ბგერების იდენტიფიცირების უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან, თუ სიტყვა იწყება მაგ., „ლ" ასოზე, ხოლო ფეხზე ადგნენ, თუ იწყება „ვ" ასოზე. დანარჩენი სიტყვების გაგონებაზე მოსწავლეები უბრალოდ სხედან თავიანთ ადგილებზე.

რეკომენდაცია: იმავე პრინციპით შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც სხვა ასოები, ისე სიტყვები: ცხოველები, ადამიანის მიერ შექმნილი საგნები, პროფესიები.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.5.; უცხ.დ.01.8.

აქტივობა 2. „რომელი ბგერაა ყველა სიტყვაში?"

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის, ბგერების იდენტიფიცირების უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებლი წარმოთქვამს 3-4 სიტყვას, თითოეულში არის ერთი და იგივე ბგერა. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს: „ქურქი, ქვაბი, ქუდი" და ეკითხება ბავშვს — „რომელი ბგერა მეორდება ყველა სიტყვაში?" ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გასცემს, ჯილდოვდება აპლოდისმენტებით.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.5.; უცხ.დ.01.8.

რეკომენდაცია: როდესაც ბავშვები გაიწაფებიან, შეიძლება წყვილებად ან მცირე ჯგუფებად დაიყოს კლასი და ჯგუფმა გასცეს სწორი პასუხი.

აქტივობა 3. „კურდღელო, კურდღელო გაიღვიძე!"

მიზანი: ფონოლოგიური სმენის განვითარება;

მიმდინარეობა: ერთი მოსწავლე გამოდის დაფასთან და დგება კლასთან ზურგით.

მასწავლებელი მიანიშნებს რომელიმე მოსწავლეზე, მოსწავლეები კი ერთი და იმავე ფრაზას იმეორებენ: „კურდღელო, კურდღელო, გაიღვიძე!" ზურგშექცევით მდგომმა მოსწავლემ კი უნდა დაასახელოს კლასელის ვინაობა, ასევე რომელი მხრიდან მოისმა ხმა. მარჯვნიდან, მარცხნიდან, ახლოს თუ შორს მჯდომისგან.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.5; უცხ.დ.01.8

აქტივობა 4. „დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!"

მიზანი: ფონოლოგიური სმენის განვითარება;

მასალა: „ტახტრევანი", „გვირგვინი".

მიმდინარეობა: ერთი ბავშვი ჯდება „ტახტრევანზე", თავზე იდებს „გვირგვინს" და ხდება ყვავილების მეფე/დედოფალი. სხვები კი მის უკან დგებიან. მასწავლებელი ანიშნებს რომელიმეს, ჩუმად მიუახლოვდეს მეფეს ზურგიდან და შეცვლილი ხმით უთხრას: „დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!" მეფემ უნდა გამოიცნოს, ვინ არის ეს. თუ გამოიცნობს, ჯგუფი დააჯილდოებს აპლოდისმენტებით და ყველა ერთად იტყვის: „გილოცავთ, თქვენო უდიდებულესობავ! თუ ვერ გამოიცნობს, „ტახტს" და „გვირგვინს" სხვა მონაწილეს უთმობს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.5; უცხ.დ.01.8

რეკომენდაცია: ყვავილების მეფის/დედოფლის ნაცვლად შეიძლება ბავშვებისთვის ცნობილი ზღაპრების პერსონაჟების სახელების გამოყენებაც.

სიტყვები

აქტივობა 1. „გთხოვთ"

მიზანი: თამაში ავითარებს მოსმენის უნარს, უკვე ნაცნობი სიტყვების კონტექსტში პოვნის და დავალებაზე სწრაფად რეაგირებას;

მიმდინარეობა: მასწავლებელი რომელიმე მოსწავლეს (ან მთელ ჯგუფს) თავაზობს მარტივი მოძრაობის გაკეთებას (ხელის აქნევა, შემობრუნება, ჩაბუქნვა ან სხვ.). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოთქმულია სიტყვა-პაროლი — გარკვეული სიტყვა, რომელზეც წინასწარ იქნებიან შეთანხმებულები („გთხოვთ" ან „გვაჩვენე როგორ", ან „სწრაფად" და ა.შ.). თუ თამაშის მონაწილემ შეასრულა ბრძანება ისე, რომ პაროლი არ იყო ნათქვამი, მაშინ ის გავა თამაშიდან. მაგალითად:

- გთხოვ, დადე წიგნი!
- აჩვენე, როგორ დაფრინავს ჩიტი!
- დაჯექი!
- სწრაფად მიდი მაგიდასთან!
- დახურე კარი!

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1.; უცხ.დ.01.1

რეკომენდაცია: როდესაც ბავშვები გაიწაფებიან, წამყვანის როლი შეიძლება რომელიმე მოსწავლემაც შეასრულოს.

ფერები და ფორმები

აქტივობა 1. „დაასახელე საგნები"

მიზანი: ფერების გაცნობა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს სხვადასვა ფერის ბარათებს. მოსწავლეები ასახელებენ ფერებს. მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს. მათ უნდა დაასახელონ იმავე ფერის საგნები საკლასო ოთახში ან მოსწავლეთა სამოსი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.გ. I.3.

აქტივობა 2.

მიზანი: ფორმების გაცნობა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ხატავს ფიგურებს - სამკუთხედს, ოთხკუთხედსა და წრეს. სთხოვს მოსწავლეებს მიმოიხედონ კლასში და იპოვონ ნივთები, რომელიც გავს პირველ ფიგურას; მეორე ფიგურას; მესამე – ფიგურას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.გ. I.3. მათ.I.6.

აქტივობა 3.

მიზანი: ფიგურების გაცნობა;

მასალა: სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებისგან შემდგარი ნახატი. **იხ. დანართი. ნახატი 2.**

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ ნახატებს.

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, თუ რა ფიგურებისგან არის შემდგარი აღნიშნული გამოსახულებები.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: ს.გ. I.3. მათ.I.6.

საგანთა თვისებები

აქტივობა 1. „ვინ იცის მეტი?"

მიზანი: საგანთა თვისებების აღქმა, აღწერა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და უსახელებს რაიმე საგანს (ლიმონი, შაქარი, ვაშლი და ა.შ) ბავშვებმა კი უნდა დაასახელონ მათი თვისებები. (მაგ., გემო, ზომა, ფერი, ფორმა) სასურველია, ბავშვებმა დაასახელონ რაც შეიძლება მეტი თვისება.

რეკომენდაცია: შესაძლებელია მასწავლებელმა უჩვენოს მოსწავლეებს რეალური საგნები და მოსწავლეებმა ისე დაასახელონ მათი თვისებები. მოსწავლეთა მოტივირებისთვის შესაძლებელია აქტივობას შეჯიბრის ფორმაც მივცეთ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.1.

აქტივობა 2.

მიზანი: საგნების თვალსაჩინო მახასიათებლების გაცნობა; თვითპრეზენტაციის, ექსპრესიული მეტყველების განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლეს მოაქვს სახლიდან მისი საყვარელი სათამაშო. წარადგენს მას კლასის წინაშე. როგორია სათამაშო: დიდია? პატარაა? რბილია? მყარია? ხმაურობს? როგორ უფრთხილდება მას თვითონ? სად ინახავს? რატომ უყვარს ეს სათამაშო?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.8.

სივრცის აღქმა

აქტივობა 1.

მიზანი: საკუთარ თავთან მიმართებების დადგენა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს აიწიონ მარჯვენა ხელი. ამის შემდეგ გამოიხმობს მოსწავლეს, თხოვს დადგეს კლასში იმ ადგილზე, რომელიც მას მოსწონს და თხოვს მის მარჯვნივ არსებული საგნების დასახელებას. ამის შემდეგ გამოდის სხვა ბავშვი, დგება მისთვის სასურველ (ან იმავე ადგილზე, ოღონდ შებრუნებით) და ასახელებს მარჯვნივ არსებულ საგნებს. თუ ბავშვს მაინც ერევა, შესაძლებელია, მარჯვენა ხელზე შევაბათ ბაფთა და ამის შემდეგ ვთხოვოთ დასახელება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4.

აქტივობა 2.

მიზანი: საკუთარ თავთან მიმართებების დადგენა;

მიმდინარეობა: ბავშვი კვლავ კლასის შუაგულში დგას, მასწავლებელი ან სხვა ბავშვები ასახელებენ რაიმე ნივთს, ბავშვმა კი უნდა უპასუხოს, თუ რა მიმართებაში არის ეს ნივთები მასთან (მაგ., მარცხნივ, მარჯვნივ).

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4.

აქტივობა 3. „ჰიპ-ჰოპ"

მიზანი: საკუთარ თავთან მიმართებების დადგენა, ყურადღების კონცენტრაციის, კომუნიკაციის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: ბავშვები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი ბავშვი დგება წრის შუაში, მიუთითებს რომელიმე მონაწილეზე და ამბობს: „ჰიპ" ან „ჰოპ"-ს. „ჰიპ"-ზე მონაწილემ უნდა დაასახელოს მის მარჯვნივ მდგომი ბავშვი, „ჰოპ"-ზე — მარცხნივ მდგომი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4.

აქტივობა 4.

მიზანი: კატეგორიების „ზემოთ, ქვემოთ" გარჩევა;

მასალა: მსუბუქი ბურთი.

მიმდინარეობა: მოსწავლეები დგებიან წრეში: მასწავლებელი ესვრის ბურთს რომელიმე მათგანს და თხოვს, დაასრულონ წინადადებები: თვალი უფრო ქვემოთ არის, ვიდრე . .

ცხვირი უფრო ზემოთ არის, ვიდრე . . .

მუხლი უფრო ზემოთ არის, ვიდრე . . .

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4.

აქტივობა 5. რა შეიცვალა?

მიზანი: ერთი საგნის მიმართების დადგენა მეორე საგანთან, მეხსიერების განვითარება;

მასალა: პატარა სათამაშოები, ფიგურები.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მაგიდაზე ალაგებს ნივთებს ორ ან სამ რიგად 3 ან 4 ფიგურას. თხოვს მოსწავლეებს ყურადღებით დააკვირდნენ და დაიმახსოვრონ სათამაშოების განლაგება.

შემდეგ აფარებს ქაღალდს და იღებს რომელიმე ფიგურას. ბავშვებმა უნდა დაასახელონ მისი ადგილი. მაგ., გაქრა დინოზავრი, რომელიც იყო თუთიყუშისა და ძაღლს შორის.

ან მასწავლებელი ადგილებს უცვლის ფიგურებს და ეკითხება მოსწავლეებს, თუ სად იყო ეს ფიგურები თავიდან. ერთი მაგ., ძაღლის მარცხნივ; მეორე კი რომელიმე ორი ფიგურას შორის. მასწავლებელი იმეორებს ადგილმდებარეობის დასახელებას — მარცხნივ, შუაში და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4.

აქტივობა 6.

მიზანი: მოძრაობისას სამგანზომილებიან სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად ან სამეულებად. ბავშვები მოძრაობენ კლასში, ერთმანეთისგან ნახევარი მეტრის დაშორებით.

ინსტრუქცია: ჩვენ ახლა ყველასგან განსხვავებული სიარული უნდა მოვიგონოთ: ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი მარჯვნივ; სამი ნაბიჯი წინ; ერთი ნაბიჯი უკან;

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4; სპ. I.2.

აქტივობა 7.

მიზანი: ზედაპირზე, ფურცელზე ორიენტაციის უნარის განვითარება;

მასალა: 12 — უჯრიანი პლაკატი სხვადასხვა ფიგურის გამოსახულებით.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მიუთითებს რომელიმე ფიგურაზე და თხოვს მოსწავლეებს დაასახელონ, რა არის დახატული მის მარჯვნივ, მარცხნივ, მის ზემოთ; ქვემოთ?

მასწავლებელი თხოვს, დაასახელონ რა არის დახატული მარჯვენა ზედა კუთხეში; მარცხენა ქვედა კუთხეში, ფურცლის შუაში.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4

აქტივობა 8. „გეომეტრიული კარნახი"

მიზანი: ზედაპირზე, ფურცელზე ორიენტაციის უნარის განვითარება;

მასალა: ცხრილი და გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურები.

მიმდინარეობა: აქტივობა სრულდება ინდივიდუალურად ან წყვილებში. მოსწვლეების წინ დევს უჯრედებიანი ცხრილი და ყველა წყვილს აქვს მსგავსი გეომეტრიული ფიგურები.

მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას: წითელი კვადრატი დადეთ ფურცლის მარჯვენა მხარეს; ყვითელი წრე ფურცლის შუაში და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.6. მათ. I.7. ბუნ. I.4.

აქტივობა 9. „გააფერადე ფიგურები"

მიზანი: თვალსაწიერის გაფართოება, ფურცელზე სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარება, ნატიფი მოტორიკის გავარჯიშება;

მასალა: გასაფერადებელი იხ. დანართი. ნახატი 3.

მიმდინარეობა: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს წინასწარ გამზადებულ ფურცლებს და აძლევს შემდეგ ინსტრუქციას: პირველი ფიგურა გააფერადე წითლად, წითელი ფიგურის მარჯვნივ ფიგურა – მწვანედ. წრეს აფერადებთ ყვითლად. ყვითელი ფიგურის მარცხნივ ფიგურას — ცისფრად.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7

აქტივობა 10.

მიზანი: ზედაპირზე, ფურცელზე ორიენტაციის უნარის განვითარება;

მასალა: ადამიანის პორტრეტი ცხვირის გარეშე, ფორმატის ფურცელზე შესრულებული. ცალკე გამოყოფილი ცხვირის გამოსახულება წებოვანი ლენტით ან ჭიკარტით.

მიმდინარეობა: მონაწილეობენ ბავშვები წყვილებში. წამყვანი დაფაზე აკრავს პლაკატს, ადამიანის პორტრეტის გამოსახულებით. წყვილები ღებულობენ თამაშში მონაწილეობას. ერთ-ერთს წამყვანი აუხვევს თვალებს ან სთხოვს თვალების დახუჭვას. მან უნდა მიაწებოს პორტრეტს ცხვირი საჭირო ადგილზე. თამაში იწყება ფორმატის ქვედა მარცხენა მხრიდან. მეორე მონაწილე კი აძლევს ინსტრუქციას: „ცოტა მარჯვნივ, ზემოთ, ქვემოთ"... როდესაც მონაწილე იპოვის საჭირო ადგილს: ეუბნება, დაამაგრე. იმარჯვებს ის წყვილი, რომელშიც ორივე მონაწილემ სწორად შეასრულა დავალება.

რეკომენდაცია: შესაძლოა პლაკატზე გამოსახული იყოს ხე ჩიტის ბუდით და მონაწილეებმა ჩიტი ჩასვან ბუდეში.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4

აქტივობა 11. „ბუზობანა"

მიზანი: ზედაპირზე, ფურცელზე ორიენტაციის უნარის განვითარება, წარმოსახვის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი/აღმზრდელი დაფაზე ან ფლიპჩარტზე ხატავს 9 ან 12 უჯრას. აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას: „უჯრებში ჩვენ უნდა ვამოძრაოთ ბუზი. მას მხოლოდ თითო უჯრით შეუძლია გადაადგილება. მაგ., ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა მარცხნივ, ერთი უჯრა ზემოთ, ერთი უჯრა ქვემოთ. თუ ბუზი უჯრებს გარეთ აღმოჩნდა, მაშინ თამაში წაგებულია".

დაფასთან წყვილები ცვლიან ერთმანეთს. ერთი ბავშვი ამოძრავებს ბუზს (აღნიშნავს მას დაფაზე), მეორე კი მისგან ზურშექცევით დგას და ბრძანებებს იძლევა. სასურველია რომ მომდევნო თამაშში მონაწილეებმა როლები შეცვალონ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4

აქტივობა 12.

მიზანი: სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირების უნარის განვითარება

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს აღწერონ, თუ როგორ უნდა მიაგნოს პინოქიომ მათ კლასს. მასწავლებელი თავდაპირველად თვითონ აძლევს მინიშნებებს, თუ რომელ სართულზეა საკლასო ოთახი, საით უნდა გაუხვიოს მან — მარჯვნივ თუ მარცხნივ. როგორ უნდა მიაგნოს საპირფარეშოს?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.7. ბუნ. I.4

დროის აღქმა

აქტივობა 1.

მიზანი: დღე - ღამის მონაცვლეობასთან აქტივობების დაკავშირება;

მასალა: წრეების გამოსახულებები.

მიმდინარეობა: მასწავლებელი ასახელებს რაიმე აქტივობას, მაგ., საუზმე და ეკითხება მოსწავლეებს: „როდის ვსაუზმობთ დილით თუ საღამოს?" „კიდევ რას ვაკეთებთ დილით?" მოსწავლეები ასახელებენ მოსაზრებებს: მაგ., „ვიღვიძებთ, ხელ პირს ვიბანთ, მოვდივართ სკოლაში".

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს წინასწარ დახატულ წრეებს და სთხოვს გააფერადონ იმ ფრად, რომელიც, მათი აზრით, უხდება დილას? ან მოიფიქრონ, თუ როგორ დახატავენ დილას?

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „როდის ვიძინებთ?"

ასევე სთხოვს, წრე გააფერადონ იმ ფრად, რომელიც, მათი აზრით, უხდება ღამეს.

ყველას ძინავს ღამე? თუ იციან რომელიმე ფრინველი, ცხოველი, რომელსაც ღვიძავს ღამე?

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „რა დროს ვსადილობთ ადამიანები?"

„როდის ვვახშმობთ?" მოსწავლეები აფერადებენ წრეებს შესაბამის ფრად.

ასევე, შესაძლოა, მასწავლებელმა თითოეული დროის სადემონსტრაციოდ გამოიყენოს: ადამიანის აქტივობის ფორმები, მზის მდებარეობა, საათი და ფერი. იხ. სქემა 1.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.5.

სქემა 1.



აქტივობა 2.

მიზანი: დღე - ღამის მონაცვლეობასთან დაკავშირებული აქტივობების გაგება;

მასალა: წრეები, რომელიც წინა აქტივობის დროს შექმნეს მოსწავლეებმა.

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ტომარას პატარა ნახატებით. სადაც არის ბარათები - დილის, საღამოს, ღამის აღმნიშვნელი სიმბოლოებით. მასწავლებელი იღებს ტომრიდან რომელიმე ბარათს და პანტომიმით განასახიერებს მოქმედებას., მაგალითად, ვითომ იბანს პირს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა განასახიერა მასწავლებელმა და დღის განმავლობაში როდის სრულდება ეს მოქმედება. შემდეგ ერთერთი ბავშვი გამოდის დაფასთან, იღებს პატარა ტომრიდან ნახატს და პანტომიმით განასახიერებს მოქმედებას, რომელსაც ის ასრულებს, მაგალითად საღამოს და ა.შ. სხვა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ. I.5.

აქტივობა 3.

მიზანი: დღე - ღამის მონაცვლეობასთან დაკავშირებული მოვლენების გაგება

მასალა: რეპროდუქციები დღე-ღამის გამოსახულებით

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა რეპროდუქციას და ეკითხება, თუ რა დრო არის მათზე გამოსახული? როგორ მიხვდნენ, რომ დილაა? საღამოა?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.5. ს.გ.I.12.

მეხსიერება

სკოლასთან ადაპტაცია

აქტივობა 1. „ჩემი სკოლა”

მიზანი: სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირების უნარის განვითარება, სკოლასთან ადაპტაცია;

მიმდინარეობა: დამრიგებელი ათვალიერებინებს ბავშვებს შენობას. ბავშვები ეცნობიან სკოლის შენობას, მასწავლებლის მინიშნებით აკვირდებიან და ცდილობენ დაიხსომონ რა შეფერილობის არის სკოლა და ფანჯრები, აქვს თუ არა შენობას საწვიმარი მილები და სხვ.

კლასში დაბრუნების შემდეგ, მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს ინდივიდუალურ დავალებას — სკოლის შენობის დახატვას. სამუშაოს შესასრულებლად მათ 10 წუთი ეძლევათ. ნახატის დასრულების შემდეგ თითოეული ბავშვი წარმოადგენს თავის ნახატს (ახდენს

ნამუშევრის პრეზენტაციას).

ამ ტიპის აქტივობა ბავშვს გარემოზე დაკვირვების ჩვევებსა და მეხსიერებას უვითარებს. სკოლის შენობის ხატვის დროს იგი სპონტანურად კი არ ქმნის ნახატს, არამედ ცდილობს, შეძლებისდაგვარად მიამსგავსოს ნანახს და ზუსტად აღწეროს იგი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.4.

აქტივობა 2. „სკოლის ეზო“

მიზანი: სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირების უნარის განვითარება, სკოლასთან ადაპტაცია;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს ეზოში ჩასვლამდე და აძლევს მათ მიმართულებას. ბავშვებმა ყურადღებით უნდა დაათვალიერონ სკოლის ეზო და დაიმახსოვრონ იქ ნანახი, მაგალითად, რამდენი ხე დგას სკოლის ეზოში, რომელია ყველაზე დიდი ხე, რომელია მათგან ყველაზე ლამაზი, დააკვირდნენ, ხომ არ ცხოვრობენ ხეზე ფრინველები. ბავშვებმა უნდა შეარჩიონ ეზოში ის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ.

სკოლის ეზოს დათვალიერების შემდეგ ბავშვები კლასში ბრუნდებიან. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დახატონ სკოლის ეზო და შემოხაზონ ის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ.

დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს 10 წუთი ეძლევათ. თითოეული ბავშვი წარმოადგენს ნახატს და საუბრობს მის შესახებ. ასაბუთებს, თუ რატომ მოეწონა ეზოში ეს ადგილი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ. I.4.

სიტყვები

აქტივობა 1.

მიზანი: ცხოველების გაცნობა;

მასწავლებელი წინასწარ ხაზავს ორ საზღვარს: ერთს, საიდანაც უნდა დაიწყოს სვლა მოსწავლემ და მეორეს, 4-5 ნაბიჯის მოშორებით (საიდანაც იწყება ტყე).

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ტყეში გასეირნებას, მაგრამ იმისთვის, რომ ტყეში შესვლის უფლება მოიპოვონ, უნდა ჩამოთვალონ ცხოველები. თითო ნაბიჯზე უნდა მოხდეს ერთი ცხოველის დასახელება უნდა მოხდეს ერთი ცხოველის დასახელება. მოსწავლე, რომელიც საზღვარს გადალახავს, „მოიპოვებს ტყეში გასეირნების უფლებას.”

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.2. ქართ. I.7; უცხ.დ. 5

რეკომენდაცია: იმავე დავალების შესრულება შესაძლებელია ფრინველების, მწერების ჩამოთვლით.

აქტივობა 2.

მიზანი: ყურადღების კონცენტაციის და გადანაცვლების უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლეები დგებიან წრეში. მასწავლებელი მათ ეუბნება: მე ვიცი წელიწადის ოთხი დრო, მის მარჯვნივ მდგომმა უნდა გაიმეოროს ფრაზა და დაასახელოს წელიწადის ოთხი დრო, შემდეგ იგივე ბავშვი ამბობს: მე ვიცი ოთხი ფიგურა; შემდეგი ბავშვი იმეორებს ფრაზას და ჩამოთვლის ოთხ ფიგურას; ამბობს თავის ფრაზას: მე ვიცი ოთხი

ცხოველი და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 5

აქტივობა 3. „კალათაში ჩავდე... “

მიზანი: ყურადღების, მოცულობის, მეხსიერების განვითარება;

მიმდინარეობა: თამაშს იწყებს მასწავლებელი, რომელიც ამბობს: „კალათაში ჩავდე ვაშლი”. მის მარჯვნივ მჯდომი ბავშვი აგრძელებს: „კალათაში ჩავდე ვაშლი, მსხალი”. ბოლო მოთამაშეს უწევს ყველა ჩამოთვლილი საგნის (ნივთის) გამეორება. თამაშის მეორე ტური მისგან იწყება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.3.; უცხ.დ.01.10

ყურადღება

აქტივობა 1. „4 სტიქია”

მიზანი: ყურადღების, აზროვნების განვითარება. გაკვეთილების შემდეგ განტვირთვა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი აწვდის ინსტრუქციას, რომ სტიქიების სახელწოდებათა დასახელებისას (ცეცხლი, მიწა, ჰაერი, წყალი) მოსწავლეებმა შესაბამისი მოძრაობები უნდა შეასრულონ: “ცეცხლი” — ხელები დაიკავონ მკერდის სიმაღლეზე და გააქნიონ; “წყალი” — ხელები მკერდის სიმაღლეზე დაიკავონ, “მიწა” — ხელები დაბლა დასწიონ; “ჰაერი” — ხელები ასწიონ მაღლა. მოსწავლეები ჯერ მოძრაობებს სწავლობენ, რის შემდეგ მასწავლებელი აძლევს მეორე ინსტრუქციას ყურადღებით მოისმინონ მხოლოდ მისი ნათქვამი, რადგან მასწავლებელი მოძრაობებს არასწორად შეასრულებს და შეეცდება შეაშლევინოს. მოსწავლე, რომელიც შეცდომას დაუშვებს, ტოვებს თამაშს. გამარჯვებულ 4 მოსწავლეს ტაშით აჯილდოებენ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1.; უცხ.დ.01.1

აქტივობა 2. „ყვავილი, ხე...”

მიზანი: ყურადღების კონცენტრაცია, მეხსიერების, აზროვნების განვითარება;

მიმდინარეობა: ბავშვები დგანან წრეში. მასწავლებელი მიუთითებს თითოეულ მათგანზე და ამბობს: „ყვავილი, ხე, ხილი, ყვავილი, ხე, ხილი...” იმ მოსწავლემ, რომელზეც შეჩერდება თვლა, სწრაფად უნდა დაასახელოს ხილი (მაგ., ვაშლი). თუ პასუხი სწორია, თამაში გრძელდება, თუ არა, მოთამაშე ტოვებს თამაშს. ბოლოს რჩება 2 გამარჯვებული.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1.; უცხ.დ.01.1

რეკომენდაცია: იმავე დავალების შესრულება შესაძლებელია ცხოველების, ფრინველების ჩამოთვლით.

ციფრები, რიცხვები, რაოდენობები

აქტივობა 1.

მიზანი: ყურადღების კონცენტაციის განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლეები თავისუფლად გადაადგილდებიან საკლასო ოთახში. თუ

მასწავლებელი ერთჯერ უკრავს ტაშს, მოსწავლეები იღებენ წეროს პოზას. ჩერდებიან ერთ ფეხზე; თუ ორჯერ - ბაყაყის; ჩაიბუქნებიან და ხელებს დადებენ იატაკზე; სამ –დაკვრაზე - კვლავ ოთახში აგრძელებენ სეირნობას.

რეკომენდაცია: თამაშის დაწყებამდე საჭიროა შეთანხმება პოზებზე;

აღნიშნული თამაშის გამოყენება სასურველია განტვირთვის მიზნით, დასვენებაზე. სასურველია, თავისუფალი აქტივობისთვის წინასწარ ტერიტორიის გათავისუფლება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1.

აქტივობა 2. „დაითვალე ტაშის დაკვრა"

მიზანი: სწრაფი კოორდინაციის, ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლეები ქმნიან წრეს. თამაშს იწყებს მასწავლებელი. თუ იგი ტაშს მხოლოდ ერთჯერ უკრავს, სვლა გადადის მარჯვნივ მდგომთან, თუ შემდეგი მონაწილე ტაშს 2-ჯერ უკრავს, სვლა საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება. მეორეჯერ გათამაშების შემდეგ თამაში იქცევა შეჯიბრად და ვისაც შეეშლება, ის ტოვებს თამაშს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1.

აქტივობა 3.

მიზანი: ყურადღების კონცენტაციის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს სხვადასხვა ციფრის გამოსახულებით. მასწავლებელი აკაკუნებს/ტაშს უკრავს. ბარათი იმ მოსწავლემ უნდა აწიოს, რამდენჯერაც დააკაკუნებს მასწავლებელი მაგიდაზე.

რეკომენდაცია: შესაძლებელია აქტივობის შებრუნება. მასწავლებელი აჩვენებს ციფრებს და მოსწავლეები შემოკრავენ ტაშს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1.

აქტივობა 4.

მიზანი: ყურადღების კონცენტაციის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს რიცხვების გამოსახულებით (0–დან 10-ის, ან 20-ის ჩათვლით), თითო ბავშვს თითო ბარათს. აწვდის ინსტრუქციას, რომ ციფრები ერთმანეთში აირია და სთხოვს ბავშვებს დახმარებას მათ სწორად დაწყობაში. ეკითხება, თუ ვის აქვს ყველაზე პატარა ციფრი და სთხოვს, რომ, ის ბავშვი, ვისაც ყველაზე პატარა ციფრი შეხვდა, გამოვიდეს დაფასთან. შემდეგ კი სთხოვს ბავშვებს, რომ დადგნენ სწორი თანმიმდევრობით.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: მათ.I. 2.

აქტივობა 5. „დაასახელე მეზობლები"

მიზანი: ყურადღების განვითარება, სწრაფი აზროვნების უნარის გავარჯიშება:

მასალა: ბურთი.

მიმდინარეობა: ბავშვები ქმნიან წრეს. მასწავლებელი ბურთს ესვრის რომელიმე ბავშვს და ასახელებს რომელიმე რიცხვს 1-დან 20-მდე. ბავშვი, რომელიც იჭერს ბურთს, ასახელებს მოცემული რიცხვის მეზობელ, ერთით მეტ და ერთით ნაკლებ რიცხვს. შემდეგ ბურთს უბრუნებს წამყვანს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.2.

აქტივობა 6.

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

მასალა: სხვადასხვა ციფრისგან შემდგარი ცხრილი.

მიმდინარეობა: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები იცნობენ რომელიმე ციფრს, მაგ 1-ს, ან რომელიმე ასოს, მაგ ა-ს, მასწავლებელი ურიგებს ფურცლებს, სადაც ციფრ 1-ის გარდა სხვადასხვა ციფრი არის გამოსახული 4 რიგად. მოსწავლეებმა უნდა გადახაზონ მხოლოდ ციფრი 1.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1. ქართ.I.12.

ასოები

აქტივობა 1.

მიზანი: ყურადღების კონცენტაციის უნარის განვითარება, ბგერის დაკავშირება ასოსთან;

მასალა: ბარათები ასოებით.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს სხვადასხვა ასოების გამოსახულებით (სასურველია, რომ ერთ მოსწავლეს ერთი ასო შეხვდეს). აძლევს ინსტრუქციას, რომ მასწავლებელი ჩამოთვლის სხვადასხვა ბგერას და მოსწავლეებმა მაშინ უნდა აწიონ ბარათი, თუ მასწავლებელი მათ ბგერას იტყვის. თანდათან შესაძლებელია აქტივობის გართულება. მასწავლებელი სიტყვებს კითხულობს და მოსწავლე ფეხზე დგება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი „მის ასოზე" დაწყებულ სიტყვას იტყვის.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა სიტვებად თავდაპირველად უნდა გამოიყენოს იოლი, მოკლე სიტყვები: მაგ., ცა, და, მზე, რუ . . .

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.5

აზროვნება

საგანთა თვისებები

აქტივობა 1.

მიზანი: საგანთა თვისებების გაცნობა, მათი შედარება, მიმართებების დამყარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაათვალიერონ საკლასო ოთახი და დაასახელონ კლასში არსებული მასზე დაბალი ან მაღალი ნივთები.

შესაძლებელია თამაშს აქტიური ფორმა მივცეთ; მასწავლებელი ესვრის ბურთს მოსწავლეს და ეკითხება: მერხი უფრო მაღალია, ვიდრე . . . ტუმბო უფრო დაბალია, ვიდრე . . .

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.7.

აქტივობა 2.

მიზანი: წარმოსახვის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ესვრის ბურთს მოსწავლეებს და ეკითხება, რა შეიძლება იყოს მრგვალი? რა შეიძლება იყოს ოთხკუთხა? და შეიძლება იყოს სამკუთხა?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.გ.I.3.

კლასიფიკაცია

აქტივობა 1. „დაიჭირე ბურთი!"
მიზნები: ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
მასალა: ბურთი.

მიმდინარეობა: მონაწილეები წრიულად დგებიან. ერთ-ერთს უჭირავს ბურთი. ის წარმოთქვამს სიტყვას თამაშის თემატიკის შესაბამისად (მაგალითად: ცხოველები, ფრინველები, ციფრები, სასკოლო საგნები, და ა.შ.) და ესვრის ბურთს სხვა მოთამაშეს. შემდეგი მოთამაშე, რომელიც დაიჭერს ბურთს, ასახელებს სიტყვას ამავე თემატიკიდან. მაგალითად: პირველი ამბობს „კატა", მეორე —„ძაღლი", მესამე — „ძროხა" და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი გამოაცხადებს ახალ თემას. ვისაც შეეშლება, გადის თამაშიდან.

ვარიანტი: მოთამაშეები შემჭიდროვებულ ჯგუფად დგებიან. ერთი მათგანი ისვრის ბურთს მაღლა და ასახელებს თემას. ბურთი უნდა დაიჭიროს მოთამაშემ ამ თემის „სახელით". თუ დაიჭირა უშეცდომოდ, გამოდის თამაშიდან, თუ ვერა — წამყვანი ხდება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.2. ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

აქტივობა 2. კოლაჟი „ძაღლები"
მიზანი: კლასიფიკაციის უნარის განვითარება;
მასალა: დიდი ფორმატის ქაღალდი, გაზეთები/ჟურნალები, წებო, მაკრატელი.

მიმდინარეობა: ამოჭერით ჟურნალებიდან ან გაზეთებიდან ძაღლების სურათები და მიაკარით პოსტერზე. თითოეულ სურათს მივაწეროთ ძაღლის ჯიშის სახელწოდება. გამოვა კოლაჟი. ასეთი პოსტერები შეიძლება გაკეთდეს თევზების, გარეული ან შინაური ცხოველების, ფრინველების ან მწერების და სხვ. სურათებითაც. ბავშვებს ძალიან სიამოვნებთ საუბარი საყვარელი შინაური ცხოველების შესახებ.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.7

რეკომენდაცია: პოსტერები შეიძლება დავკიდოთ კლასში კედელზე, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მათი დათვალიერების და სახელწოდებების წაკითხვის საშუალება. რამდენიმე პოსტერის შექმნის შემდეგ შეიძლება შევკრათ „დიდი წიგნის" სახით.

აქტივობა 3. „ყვითელი დღე"
მიზანი: კატეგორიზაციის უნარის განვითარება;
მასალა: ყვითელი ფერის საგნები, ნივთები, ხილი, მცენარეები და სხვ.

მიმდინარეობა: შეთანხმდით, რომ კვირის რომელიმე დღე არის „ყვითელი დღე", როდესაც გვაცვია რაიმე ყვითელი ფერის (ქუდი, თავსაფარი, ჩანთა), ვჭამთ ყვითელი ფერის პროდუქტს (ბანანი, ვაშლი, მსხალი). გვაქვს ბევრი ფანქარი ყვითელი ფერის და სხვ. ყველაფერ ამის გაკეთება შეიძლება ერთ დღეს. ასევე შეიძლება ვითამაშოთ ყვითელი თამაშები: დავთვალოთ ყვითელი საგნები ან ფოთლები, დავასახელოთ რაც შეიძლება მეტი ყვითელი საგანი, დავრგოთ ყვითელი ყვავილები და მრავალი სხვა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.1; ს.გ.I.3.

რეკომენდაცია: შეიძლება პერიოდულად მოვაწყოთ არამარტო „ფერადი დღე", არამედ „მუსიკალური" ან სხვა სახის დღეები.

აქტივობა 4. „დაასახელე ფრინველი, ცხოველი"

მიზანი: აზროვნების, მეხსიერების განვითარება;

მასალა: ბურთი.

მიმდინარეობა: ბავშვები დგანან წრეში. მასწავლებელი ესვრის ბურთს რომელიმე მათგანს და თან ასახელებს ცხოველს ან ფრინველს. მოსწავლე იჭერს ბურთს და ახლა ის ამბობს სხვა ცხოველის ან ფრინველის სახელს (თუ მასწავლებელი ასახელებს ცხოველს, მოსწავლეც ამბობს ცხოველის სახელს და თუ მასწავლებელი ასახელებს ფრინველს, მაშინ ისიც ასახელებს ფრინველს).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.2; ქართ. I.7; უცხ.დ.01.5

რეკომენდაცია: შეიძლება ცხოველებისა და ფრინველების ნაცვლად დასახელდეს ხილი, ბოსტნეული და ა.შ.

აქტივობა 5.

მიზანი: : ორგანიზმების დაჯგუფება, მათი მახასიათებლების გაცნობა;

მასალა: ლოტოს ბარათები ან ძველი ჟურნალები.

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ცხოველების, ფრინველებ-ის, მცენარეების, ადამიანების, საგნების ფოტოებს. (მაგ., ლოკოკინა, ხოჭო, გასაღები, ბურთი, ადამიანი, სასახლე, მანქანა, სათამაშო, დელფინი, მაკრატელი).

დავალება სრულდება წყვილებში ან ჯგუფებში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააჯგუფონ საგნები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- ✓ ადამიანის მიერ შექმნილი/ცხოველები, ადამიანები

თითოეული ჯგუფი/წყვილი გადააწყობს ფოტოებს ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათე-ბლების მიხედვით.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ. I.2.

აქტივობა 6. „4 კითხვა”

მიზანი: ორგანიზმების დაჯგუფება, მათი მახასიათებლების გაცნობა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ჩაიფიქრებს ცხოველს ან ფრინველს.

მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ. მათ უნდა დასვან შეკითხვები (ვთქვათ, 4 კითხვა). მაგ., შინაურია? გარეულია? რას ჭამს? სად ცხოვრობს? 4 კითხვის შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა ვერსიას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.2.

აქტივობა 8.

მიზანი: კლასიფიკაციის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი კლასს ყოფს 2 ჯგუფად. პირველ ჯგუფს სთხოვს

მოიტანონ იმ არსებების ფოტოები, რომლებსაც აქვთ ბუმბული, შესაძლოა, აჩვენოს ბუმბული. მოსწავლეებს მოაქვთ ის ფოტოები. მასწავლებელი მათ ამაგრებს დაფაზე ან წინასწარ მომზადებულ ფორმატზე. მეორე ჯგუფს კი იმ არსებათა ფოტოები მოაქვს, რომელთაც აქვს თათები და ბეწვი.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაამაგრებენ სურათებს, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა ჰქვია პირველ ჯგუფს, მეორე ჯგუფს,

რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან? რით ჰგვანან ერთმანეთს?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ. I.2.

კანონზომიერებები

აქტივობა 1.

მიზანი: კანონზომიერებათა დაფიქსირება;

მასალა: დიდი ზომის მძივები და თოკი.

მიმდინარეობა: მასწავლებელი აცმევს მძივებს გარკვეული კანონზომიერებით: მაგ., ორი ლურჯი, ორი წითელი, ორი ლურჯი, ორი წითელი. მას შემდეგ, რაც კანონზომიერება თვალსაჩინო ხდება, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს კანონზომიერება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.5.

აქტივობა 2.

მიზანი: კანონზომიერებათა დაფიქსირება;

მასალა: ბარათები წრეებისა და ოთხკუთხედების გამოსახულებით

მიმდინარეობა: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს: კვადრატებსა და წრეებს. თითო ბავშვს თითო ბარათი ხვდება. სასურველია, რომ თანაბარი რაოდენობით დაურიგდეთ ბარათები წრეებისა და კვადრატების გამოსახულებებით. მასწავლებელს დაფასთან გამოჰყავს 4 ბავშვი, რომელთაც ბარათები შემდეგი თანმიმდევრობით უკავიათ: კვადრატი-წრე-კვადრატი-წრე. მასწავლებელი ეკითხება კლასს, თუ ვინ გააგრძელებს რიგს? წრე თუ კვადრატი? რატომ? მოსწავლეები დგებიან სწორი თანმიმდევრობით.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.5.

რეკომენდაცია: სასურველია აღნიშნული დავალების გართულება: მაგ., ორი წრე, ერთი კვადრატი, შემდეგ ისევ ორი წრე.

აქტივობა 3.

მიზანი: დღე - ღამის მონაცვლეობასთან დაკავშირებული მოვლენების გაგება;

მასალა: ფერადი ფურცლები, წებო, მარკერები.

მიმდინარეობა: მასწავლებელი კიდევ ერთხელ სთავაზობს მოსწავლეებს დააწყონ გაფერადებული წრეები დღე - ღამის მონაცვლეობით (იხ. აღქმა; დროს აღქმა; აქტივობა 1; აქტივობა 2; გვ. 42).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სასახლის მაკეტს, რომელიც თორმეტი კოლონისგან შედგება. მათგან სამი ყვითელია, სამი - თეთრი; სამი მწვანე ან სალათისფერი და სამიც ნარინჯისფერი. თითოეული კოლონა 4 სართულისგან შედგება. რომლებიც კვირებს აღნიშნავენ. თითო კვირა ანუ სართული 7 აგურად, ანუ კვირის დღეებად არის დაყოფილი (მასწავლებელი ან მოსწავლეები ხატავენ პატარა აგურებს).

გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი ჯერ ასწავლის მოსწავლეებს დღე - ღამის მონაცვლეობას. მაგ., უკვე შეთანხმებული ფერის მეფის ასულები, ცხოვრობენ დიდ სასახლეში. შემდეგ კი იწყება „სასახლის" მშენებლობა. ჯერ ქმნიან რგოლებს, რომელსაც 7 აგური ახატია და სწავლობენ კვირის დღეებს; შემდეგ იქმნება 4 სართული, და გამოდის თვე; ამის შემდეგ იქმნება 3 ყვითელი მილი და სწავლობენ შემოდგომის თვეებს. შემდეგ ზამთრის, გაზაფხულის და ზაფხულის. ხდება ხაზგასმა, რომ ერთი ფერის რგოლები ერთ სეზონს მიეკუთვნება და მათი გაფორმება ხდება სხვადასხვა ატრიბუტებით. მაგ., შემოდგომის კოშკებზე მაგრდება ფოთლები; ზამთრისაზე - გამოჭრილი ფიფქები და ა.შ.

„სასახლე" მუდამ რჩება კლასში და ხდება მისი გამეორება. თანდათან მოსწავლეები ამაგრებენ მასზე სადღესასწაულო დღეების აღმნიშვნელ სიმბოლოებს. იხ. სქემა 2.

შემოდგომა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.5.ს.გ. I.12.

სქემა 2.



ფანტაზია

აქტივობა 1. „ერთობლივი ზღაპარი"

მიზანი: ფანტაზიის, სწრაფად კოორდინაციის, ერთმანეთის მოსმენის უნარის, აზროვნების განვითარება;

მასალა: სათამაშო ლოტოს ბარათები.

მიმდინარეობა: მონაწილენი სხდებიან წრეში. მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს თითო ან 2-2 ბარათს ურიგებს. ერთ-ერთი მოსწავლე თავის ბარათს დებს მაგიდის შუაში და იწყებს თხრობას: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი (ასახელებს რაც ბარათზეა გამოსახული, მაგ., ძაღლი)". მის მარჯვნივ მჯდომი დებს თავის ბარათს და თხრობას აგრძელებს. აკავშირებს პირველ ბარათთან შინაარსობრივად.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.2;

აქტივობა 2. „დაუმთავრებელი ნახატები"

მიზანი: ფანტაზიისა და შემოქმედებითი უნარის, ექსპრესიული მეტყველების განვითარება;

მასალა: დაუმთავრებელი ნახატი.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სათითაოდ ურიგებს დაუსრულებელ ნახატებს და სთხოვს, რომ დაასრულონ. მუშაობის დასრულების შემდეგ თითოეული ბავშვი გამოდის და ყვება თავისი ნახატის შესახებ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ.I.4; უცხ.დ.01.10; ს.გ.I.4.

აქტივობა 3. „მე რომ კეთილი ჯადოქარი ვიყო"

მიზანი: ფანტაზიის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ ერთ მშვენიერ დღეს კეთილ ჯადოქრად გადაიქცნენ. რას გააკეთებდნენ. სთხოვს, რომ დახატონ ფურცლებზე. მუშაობის დამთავრების შემდეგ ეწყობა განხილვა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.4; უცხ.დ.01.10

აქტივობა 4. „არის, კაპიტანო!"

მიზანი: ფანტაზიის, კოორდინაციის, სხარტი აზროვნებისა და ყურადღების კონცენტრაციის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი მონაწილეებს უხსნის, რომ სურს საინტერესო მოგზაურობა. ის იმოგზაურებს შავ, თეთრ, ცისფერ, წითელ, მწვანე, იასამნისფერ ზღვებში და ამიტომ აუცილებელია, ასეთი საპასუხისმგებლო მოგზაურობისათვის შეკრიბოს ძალიან კარგი გუნდი. მასწავლებელი ამბობს, რომ სურს შეამოწმოს, რამდენად სწრაფად და ხარისხიანად შეუძლიათ მისი განკარგულებების შესრულება, რადგან სწორედ ამის მიხედვით აპირებს თავისი გუნდის წევრების შერჩევას. შემდეგ მასწავლებელი უხსნის მონაწილეებს, რომ განკარგულებები, რომელთაც ის გასცემს, მათი შესაბამისი მოძრაობების განხორციელებით უნდა შესრულდეს. განკარგულებები ასეთია:

1. **სწორდი!** — ამ განკარგულების გაცემისას მონაწილეები სწორ მწკრივში უნდა დადგნენ ერთმანეთის უკან.
2. **რეცხეთ გემბანი!** — მონაწილეებმა გულმოდგინედ უნდა დაიწყონ გემბანის რეცხვის განსახიერება.
3. **მარცხენა ფლანგი!** — მონაწილეები მარცხენა ფლანგისაკენ უნდა გაიქცნენ სწრფად.
4. **მარჯვენა ფლანგი!** — შესაბამისად, მონაწილეები მარჯვენა მხარეს მირბიან.
5. **ქარიშხალი!** — მონაწილეები ისეთ მოძრაობებს ასრულებენ, როგორიც ძლიერი ქარიშხლის დროს იქნებოდა მოსალოდნელი.
6. **ადამიანი წყალში!** — მონაწილეები წყალში მყოფი ადამიანის გადარჩენის იმიტირებას ახდენენ — მისკენ „მიცურავენ და გემბანზე ამოჰყავთ".
7. **მეკობრე!** — ყოველი მონაწილე ვითომ ჭოგრიტით გარშემო სივრცის ყურადღებით დაკვირვებას იწყებს.

მნიშვნელოვანია, რომ კაპიტანმა განსხვავებული ტიპის განკარგულებებიც მოიფიქროს და ამისათვის სხვა მონაწილეებიც წააქეზოს, ვინაიდან კაპიტნის როლში მოგვიანებით შესაძლებელია სხვა მონაწილეებიც აღმოჩნდნენ. გუნდის ის წევრები, რომლებიც ვერ შეასრულებენ განკარგულებებს ტოვებენ გემს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ. 01.1

აქტივობა 5. „ნიღაბი"

მიზანი: ფანტაზიის, ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მასალა: ქაღალდის თეფშები, წებო, ფერადი ფანქრები, მაკრატელი.

მიმდინარეობა: ქაღალდის თეფშებზე გამოჭრან თვალები, ცხვირი და პირი. მორთონ სხვადასხვა მასალით. შეიძლება მივაწებოთ ნაყინის ჯოხი და გამოვა ნიღაბი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ. 01.7

რეკომენდაცია: ასევე შეიძლება დამზადდეს რომელიმე ზღაპრის ან მოთხრობის გმირების ნიღბები და გამოვიყენოთ ინსცენირებისას.

აქტივობა 6. „დაასრულე ნახატი”

მიზანი: ფანტაზიისა და შემოქმედების უნარის განვითარება;

მასალა: ფურცლები სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებით

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცლებს, რომლებზედაც გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული. მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას, დაკვირვებით შეხედონ, მიამსგავსონ რაიმეს და დაასრულონ ნახატი.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: მათ.I.7. ს.გ.I.3.

აქტივობა 7.

მიზანი: რიცხვების გამოსახულების სწავლა;

მიმდინარეობა: მოგეხსენებათ, რომ 5 - წლიანები საკმაოდ კარგად ითვლიან, მაგრამ ზოგჯერ უჭირთ რაოდენობის მისადაგება გრაფიკული ხატისადმი. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ბავშვებს ერევათ ციფრები 6 და 9; 8 და 3; 4 და 7.

ბავშვებს უიოლდებათ ციფრების დამახსოვრება, თუ მიამსგავსებენ მას რაიმეს. მაგ., ციფრ 2-ს - გედს, 8-ს - სათვალეს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.1. ს.გ.I.1.

მეტყველება

აქტივობა 1. „ ჩემი ისტორია”

მიზანი: ექსპრესიული მეტყველების განვითარება;

მიმდინარეობა: შეგიძლიათ დაიწყოთ იმით, რომ კითხვა დაუსვათ რომელიმე მოსწავლეს: “ამ დღეებში რა მოხდა ისეთი, რასაც სიამოვნებით მოუყვებოდი შენს მეგობრებს?” როდესაც ბავშვი აღწერს რაიმეს, პერიფრაზი გააკეთეთ და გაიმეორეთ მისი ნათქვამი (“ე.ი. შენ და ლიკა იყავით ძალიან კარგ წვეულებაზე მეგობართან?”). ეს დაეხმარება პატარებს მიეჩვიონ, როგორ შეიძლება ერთი და იგივე ამბის სხვადასხვანაირად მოყოლა. შეიძლება ბავშვებმა თან დახატონ, რა მოეწონათ ამ ისტორიაში და შემდეგ გააკეთეთ წიგნი, რომელიც სხვა წიგნებთან ერთად იქნება თაროზე. პერიოდულად შეგიძლიათ გამოიღოთ ეს წიგნი და ხელახლა მოაყოლოთ მას ეს ისტორია.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.3;

აქტივობა 2. „სურათების აღწერა”

მიზანი: ექსპრესიული მეტყველების განვითარება;

მასალა: გაზეთები, ჟურნალები, წიგნები.

მიმდინარეობა: დაათვალიერეთ სურათები გაზეთებში, კატალოგებში, წიგნებში. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას აკეთებენ ან რას ფიქრობენ ამ სურათებზე გამოსახული ადამიანები და დაწერეთ, რასაც ამბობს. ან მოყვეს, რაზე საუბრობენ ადამიანები და თქვენ ჩაიწერეთ დიალოგი. შემდეგ თავიდან წაიკითხეთ ჩანაწერი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.3;

აქტივობა 3. „რას ვუყურებთ ტელევიზორში?”

მიზანი: ექსპრესიული მეტყველების განვითარება;

მიმდინარეობა: ბავშვებს უყვართ ლაპარაკი იმაზე, რაც იციან და მოსწონთ. საუბრის დასაწყებად ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გზაა, დაუსვათ შეკითხვა — რა ხდებოდა მის საყვარელ ტელე - გადაცემაში.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.3;

აქტივობა 4. „როგორი შეიძლება იყოს სპილო?"

მიზანი: აზროვნების, ლექსიკური მარაგის განვითარება;

მასალა: ბურთი.

მიმდინარეობა: მასწავლებელი ბურთს ესვრის რომელიმე მოსწავლეს და უსვამს შეკითხვას: როგორი შეიძლება იყოს სპილო? არ შეიძლება თვისებების გამეორება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.2; უცხ.დ. 01.10

რეკომენდაცია: შესაძლებელია მოცემული თამაშისათვის შეჯიბრის სახის მიცემა.

ნატიფი მოტორიკა

აქტივობა 1. „მზესუმზირა"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მასალა: ფურცლები, ფანქრები, მაკრატელი, წებო, ქაღალდის თეფშები.

მიმდინარეობა: გამოჭრან წრე, გააფერადონ ყვითლად და დააკრან ქაღალდის თეფშზე. შემდეგ გამოჭრან სხვადასხვა ფერის ფოთლები ყვავილისთვის და ამ წრის გარშემო დააკრან. შეიძლება ბოლოს გამოჭრან (ან მიახატონ) ღერო და მწვანე ფოთლები. ყვავილები თეფშზე შეიძლება კედელზე დავკიდოთ და გავაკეთოთ გამოფენა. შემდეგ ბავშვები მსჯელობენ და უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7

რეკომენდაცია: ასევე შეიძლება გაკეთდეს გვირილა, ან სხვა ფერის, ან სხვადასხვა ფერის ყვავილები.

აქტივობა 2. „მაკარონის ყელსაბამი"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მასალა: სხვადასხვა ფორმის მაკარონი.

მიმდინარეობა: ბავშვები სხვადასხვა ფერად ღებავენ მაკარონებს და შემდეგ აცვამენ თასმაზე. გამოდის ყელსაბამი ან სამაჯური.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7; ს.გ.I.2.

რეკომენდაცია: აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად შესაძლებელია მძივების გამოყენებაც.

აქტივობა 3. „მედალი"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მასალა: ფურცლები, მაკრატელი, ლენტი.

მიმდინარეობა: გამოჭერით წრეები. ბავშვებმა გაალამაზონ თავისი მედლები. გავხვრიტოთ და გავუყაროთ ლენტი, რომ კისერზე ჩამოიკიდონ და რამდენიმე ხანს ატარონ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7; ს.გ.I.2.

რეკომენდაცია: შეიძლება ეს მედლები შევინახოთ და გამოვიყენოთ სხვადასხვა აქტივობაში ბავშვების წარმატებების აღსანიშნად და წასახალისებლად.

აქტივობა 4. „თითების თოჯინები"

მიზანი: წარმოსახვის, ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული მეტყველების განვითარება;

მასალა: ძველი ხელთათმანი, ფერადი ქაღალდები.

მიმდინარეობა: ძველი ხელთათმანის თითებს დაახატეთ მარკერებით გმირების სახეები. შეიძლება გამოვიყენოთ ქაღალდი ტანისთვის, მივაწებოთ თვალები, ცხვირი, დავახატოთ ღიმილი და თმა. თუ ხატვა არ გვეხერხება შეიძლება წიგნებიდან ამოვჭრათ გმირების სახეები და დავაკრათ ხელთათმანის თითებზე ან მუყაოზე. ერთხელ გაკეთებული თოჯინა შეიძლება მრავალჯერ გამოვიყენოთ მოთხრობის მოყოლისას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7

ასოები

აქტივობა 1. „ასო ა-ს კოლაჟი"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის, ყურადღებისა და მეხსიერების განვითარება;

მასალა: სქელი ქაღალდი, ჟურნალ-გაზეთები, მაკრატელი, წებო.

მიმდინარეობა: გამოვჭრათ დიდი ზომის „ა" მაგარი ქაღალდისგან. ბავშვებმა მოძებნონ იმ საგნების ფოტო-სურათები, რომელთა სახელი იწყება „ა"-ზე ჟურნალებში, ამოჭრან და დააწებონ. შეიძლება ამოჭრან სტატიების სათაურები, რომლებიც ასევე „ა"-ზე იწყება. ამ აქტივობის გაკეთება შეიძლება ნებისმიერი ასოს შესწავლისას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7

რეკომენდაცია: იმავე პრინციპით არის შესაძლებელი მუშაობა სხვა ასოებზეც.

აქტივობა 2. „პლასტილინის ასოები"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მასალა: ბარათები, პლასტილინი.

მიმდინარეობა: გააკეთეთ დიდი ბარათები ასოებით ან მარტივი სიტყვებით. შეიძლება ლამინირებაც. შემდეგ გააკეთეთ წვრილი ზოლები პლასტილინისგან. ბავშვმა შემოაყოლოს ეს ზოლები ბარათზე დაწერილ ასოს ან სიტყვას. ის არამარტო ისწავლის ამ ასოს ან სიტყვის ცნობას, არამედ, გაავარჯიშებს ნატიფ მოტორიკას, რაც წერის დაუფლებისთვის არის საჭირო.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7

რეკომენდაცია: საკუთარი სახელის დაწერა გაზრდის ინტერესს და ასოების და სიტყვების დამახსოვრების ეფექტიც გაიზრდება.

რიცხვები

აქტივობა 1.

მიზანი: რაოდენობის შესატყვისობა ციფრთან, განტვირთვა, მსხვილი მოტორიკის განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლეები დგებიან წრეში. მასწავლებელი სთავაზობს მათ ინ-

სტრუქციას: „ახტით ერთხელ, ჩაბუქნეთ ორჯერ; აიწიეთ თითის წვერებზე სამჯერ, დააბრახუნეთ ფეხები ხუთჯერ; დაუკარით ტაში ექვსჯერ".

შესაძლებელია მასწავლებელმა დაასახელოს მხოლოდ ზმნა და შემდეგ უჩვენოს ციფრი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.1. სპ.I.2.

აქტივობა 2.

მიზანი: რაოდენობის შესატყვისობა ციფრთან, მსხვილი მოტორიკის განვითარება;

მასალა: 2 მ-ის სიგრძის ლენტი. მათზე დაკრული ციფრები. 1-დან 10-ის ან 10-დან 20-ის ჩათვლით (იმის მიხედვით, სადამდეც ასწავლით რიცხვის გრაფიკულ გამოსახულებებს).

ინსტრუქცია: „გადახტი ციფრ 2-მდე"; „იხტუნე ცალ ფეხზე ციფრ 7-მდე".

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1. სპ.I.2.

აქტივობა 3.

მიზანი: ციფრების გაცნობა, მათი ფორმის დამახსოვრება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ასახელებს ციფრს, წერს მას დაფაზე. მაგ., ციფრი 1. შემდეგ სთხოვს ბავშვებს, რომ მათაც მოხაზონ ციფრი 1 ჰაერში.

ბავშვებს ვთხოვთ ჰაერში მოხაზონ ციფრები.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1.

გეომეტრიული ფიგურები

აქტივობა 1.

მიზანი: გეომეტრიულ ფიგურათა გაცნობა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შეართონ ციფრები თანმიმდევრობით.

1. 2.

4. 3.

რა ფიგურა გამოვიდა? რამდენი წვერი აქვს? რამდენი გვერდი აქვს?

1.

3. 2.

აქტივობა 2. „ფული”

მიზანი: ნატიფი მოტორიკის, ყურადღების კონცენრტაციის, კომუნიკაციის უნარის განვითარება;

მასალა: ფურცლები, მაკრატელი.

მიმდინარეობა: ბავშვებმა უნდა გამოჭრან ქაღალდისგან მართკუთხედები, წრეები და დააწერონ: 1 ლარი, 50 თეთრი, 10 თეთრი და ა.შ. შემდეგ შეუძლიათ „იყიდონ” კლასში სახელდახელოდ მოწყობილ „მაღაზიაში” სათამაშოები და სასკოლო ნივთები.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: მათ.I.2.

ნებაყოფლობა

აქტივობა 1. „კაკალი, კაკაბი”

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის, ნებისმიერი მოქმედების უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მოთამაშენი ქმნიან ორ ან სამ კონცეტრირებულ წრეს. პირობითად შიგნითა წრეს ჰქვია „კაკალი”, ხოლო გარეთა წრეს „კაკაბი”. წამყვანი წრეებს გარეთ დგას. წამყვანის ნიშანზე მოთამაშეები იწყებენ წრეზე სიარულს (ან ორივე წრე ერთი მიმართულებით, ან საპირისპიროდ). ძახილზე „კაკაბი” გარეთა წრის წევრები ჩერდებიან და ბუქნებს აკეთებენ. ვისაც შეეშლება, გადის თამაშიდან. ძახილზე „კაკალი” შიგნითა წრის მოთამაშეები ჩაიმუხლებენ. წესები: მოთამაშეებს არ შეუძლიათ ძახილამდე გაჩერება. იმარჯვებს ის გუნდი, ვისაც მეტი მოთამაშე რჩება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ I.2.

აქტივობა 2. „ქორობანა”

მიზანი: მოქმედების ნებისმიერი მართვის უნარი. ყურადღების კონცენტრაციის განვითარება;

მასალა: ბარათები მზისა და მთვარის გამოსახულებებით.

მიმდინარეობა: წამყვანი წრის შუაგულში დგამს სკამს, რომელზედაც ჯდება რომელიმე მონაწილე „ქორი”. ნიშანზე „თენდება” (წამყვანი უჩვენებს ბარათს მზის გამოსახულებით), სხვა მონაწილეები ბაძავენ წიწილებს. ნიშანზე „ღამდება” (წამყვანი უჩვენებს „მთვარეს”), მონაწილეები ჩერდებიან იმ მდგომარეობაში, რომელშიც ნიშანმა მოუსწრო. „ქორი” გამოდის ბუდიდან და თვალს ადევნებს მოთამაშეებს. თუ რომელიმე მოთამაშე გაინძრევა, „ქორი” მას იჭერს და მიჰყავს თავის „ბუდეში”. ნიშანზე „თენდება” „ქორი” მიფრინავს ბუდეში. მონაწილეები, რომლებიც მოხვდებიან „ქორის” ბუდეში, გამოტოვებენ ერთ თამაშს. წამყვანი მონაწილეებს ულოცავს გამარჯვებას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ბუნ.I.5.

აქტივობა 3. „თამაში წესებით”

მიზანი: წესების მიხედვით მოქმედების უნარის, თვითპრეზენტაციის, მეხსიერების, აზროვნების განვითარება;

მიმდინარეობა: წამყვანი დაფაზე კიდებს პლაკატს, რომელზეც 6 ციფრი არის დაწერილი. თითოეულ დავალებას შესაბამისი აქტივობა შეესაბამება. მოცემული აქტივობებია:

1) ლექსის თქმა;
2) დაფაზე ხატვა;
3) ასკინკილა 20 - ჯერ;
4) 5 ფრინველის ან ცხოველის დასახელება;
5) 5 ხილის ან ბოსტნეულის დასახელება;
6) რომელიმე დასახელებულ ასოზე 5 სიტყვის დასახელება; (ან ზღაპრის მოყოლა, სასაცილო ამბის მოგონება).

მასწავლებელი ირჩევს ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც კლასთან ზურგით დგება. წამყვანი მიუთითებს რომელიმე ბავშვზე და ეკითხება: გამოვიძახო? (ბავშვი ვერ ხედავს, თუ ვისზე ხდება მითითება) და პასუხობს „კი" ან „არას". თანხმობის შემთხვევაში ბავშვი ასახელებს ციფრს.

გამოძახებული ბავშვი ასრულებს მოცემულ დავალებას, რომელსაც კლასი აპლოდისმენტებით აჯილდოებს. შემდგომ ეს ბავშვი დგება ზურგით და ხდება სხვა მოსწავლის გამოძახება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ. 01.1

აქტივობა 4. „მძინარე მეფე და დედოფალი"

მიზანი: თვითრეგულაციის, მოქმედების ნებისმიერი რეგულაციის განვითარება, კლასის დამეგობრება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეს, რომელიც იქნება მეფის ან დედოფლის როლის შემსრულებელი. მონიშნავს ტერიტორიას — „სასახლის ეზოსა" და ზღურბლს. შუაში იდგმება „მეფის ტახტი". დანარჩენი მოსწავლეები არიან სასახლის მაცხოვრებლები. „ნადირობიდან" დაბრუნებული „მეფე" დაღლილია, ეძინება, სასახლის მაცხოვრებლები კი ისე უნდა შევიდნენ სახლში, რომ „მეფე" არ გააღვიძონ. დატოვების უფლება აქვს მხოლოდ იმ ბავშვს, რომელსაც მასწავლებელი ანიშნებს. ჯგუფი იმარჯვებს იმ შემთხვევაში, თუ მთელი კლასი ისე დატოვებს „სასახლის ეზოს", რომ „მეფეს" ერთხელაც არ გაეღვიძება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ.I.1.

აქტივობა 5. „გააფერადე"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის, ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

მასალა: გასაფერადებელი (იხ. დანართი. ნახატი 4).

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას, რომ გასაფერადებლის ყველა დეტალი, რომელზედაც პატარა შავი წერტილია, გააფერადონ ლურჯად, რომელზედაც პატარა რგოლია – ცისფერ ფერად. დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში, გამოჩნდება, თუ რა დაგვიმალა მხატვარმა (დელფინი).

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: ქართ. I.12; უცხ.დ.01.7

რეკომენდაცია: ნატიფი მოტორიკის განვითარებას მეტად უწყობს ხელს ფანქრების გამოყენება, ამიტომ სასურველია აღნიშნული დავალების შესრულება ფერადი ფანქრებით.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.6.

აქტივობა 6.

მიზანი: გეომეტრიულ ფიგურათა გაცნობა;

მასალა: გასაფერადებელი (იხ. დანართი. ნახ. 5).

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გასაფერადებელს და აძლევს ინსტრუქციას, გააფერადონ მხოლოდ სამკუთხედები.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.6.

აქტივობა 7.

მიზანი: გეომეტრიულ ფიგურათა გაცნობა, ნატიფი მოტორიკის, მოქმედების ნებელობის განვითარება;

მასალა: გასაფერადებელი, რომელიც მხოლოდ სამკუთხედებისა და ოთხკუთხედებისაგან შედგება. დავალების სწორად შესრულების შემდეგ გამოჩნდება დამალული ციფრი (იხ. დანართი. ნახ. 6; ნახ. 7).

ინსტრუქცია: გააფერადეთ სამკუთხედები წითლად, ხოლო ოთკუთხედები - ყვითლად. თუ დავალებას სწორად შეასრულებთ, გამოჩნდება დამალული ციფრი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.6.

აქტივობა 8. „იპოვე მხატვრის მიერ დამალული საგანი"

მიზანი: ნატიფი მოტორიკის, ნებელობის განვითარება;

მასალა: გასაფერადებელი (იხ. დანართი. ნახ. 8).

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას, გააფერადონ ყველა სამკუთხედი ყვითლად, ხოლო ყველა ოთკუთხედი — ცისფრად (ნავი).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ I.6.

აქტივობა 9. „გასაფერადებელი"

მიზანი: წესების გათვალისწინებით მუშაობის უნარის გავარჯიშება, ნატიფი მოტორიკის, ნებელობის განვითარება;

მასალა: გასაფერადებელი (იხ. დანართი. ნახ. 9).

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას: გააფერადეთ ყველა დეტალი „+" ნიშნით წითლად, დეტალები "—" ნიშნით ყვითლად, დეტალები "0" ნიშნით მწვანედ, ხოლო დეტალები "=" ნიშნით ცისფრად. თუ დავალებას სწორად შეასრულებთ, ნახავთ, თუ რა დაგვიმალა მხატვარმა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ.I.1.

აქტივობა 10. „გრაფიკული კარნახი"

მიზანი: სიტყვიერად მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით მუშაობის, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, სივრცეში ორიენტაციის, ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელს უჯრედებიან ფურცელზე აქვს წერტილი წინასწარ დასმული და აძლევს შემდეგ ინსტრუქციას მოსწავლეებს: დასვით კალმები წერტილზე. გთხოვთ, ყურადღებით შეასრულოთ ინსტრუქციები. ვიწყებთ:

8 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ზემოთ, 3 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 6 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ქვემოთ, 3 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ქვემოთ I უჯრა მარჯვნივ, 4 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 6 უჯრა ქვემოთ, I უჯრა მარცხნივ,

6 უჯრა ზემოთ, 5 უჯრა მარცხნივ, 6 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 6 უჯრა ზემოთ, 3 უჯრა მარცხნივ (მიღებული ფიგურა — აქლემი).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.1.

რეკომენდაცია: აღნიშნული აქტივობის გამოყენება უნდა მოხდეს II სემესტრიდან, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ინსტრუქციის მიცემის შემდეგ დაიცადოს, სანამ ყველა მოსწავლე არ შეასრულებს კონკრეტულ ნაბიჯს და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს მორიგ ინსტრუქციაზე.

აქტივობა 11. „გრაფიკული კარნახი"

მიზანი: სიტყვიერად მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით მუშაობის, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, სივრცეში ორიენტაციის, ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელს უჯრედებიან ფურცელზე აქვს წერტილი წინასწარ დასმული და აძლევს შემდეგ ინსტრუქციას მოსწავლეებს: დასვით კალმები წერტილზე. გთხოვთ, ყურადღებით შეასრულოთ ინსტრუქციები. ვიწყებთ: 3 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 5 უჯრა ქვემოთ, 6 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 6 უჯრა ქვემოთ, 8 უჯრა მარცხნივ, 7 უჯრა ზემოთ, 4 უჯრა მარცხნივ. რა გამოვიდა? შეგიძლიათ გააფერადოთ. (ბატი).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.1.

რეკომენდაცია: აღნიშნული აქტივობის გამოყენება უნდა მოხდეს II სემესტრიდან, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ინსტრუქციის მიცემის შემდეგ დაიცადოს, სანამ ყველა მოსწავლე არ შეასრულებს ამ აქტივობას, და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს მორიგ ინსტრუქციაზე.

აქტივობა 12. „გრაფიკული კარნახი"

მიზანი: სიტყვიერად მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით მუშაობის, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, სივრცეში ორიენტაციის, ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს შემდეგ ინსტრუქციას მოსწავლეებს: 4 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 5 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 3 უჯრა ქვევით, 1 უჯრა მარჯვნივ, 3 უჯრა ზევით, 1 უჯრა მარჯვნივ, 5 უჯრა ქვევით, 1 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ქვევით, 4 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ქვევით, 3 უჯრა მარცხნივ, 6 უჯრა ქვევით, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 4 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 6 უჯრა ზემოთ, 3 უჯრა მარცნივ, 1 უჯრა ზემოთ (კურდღელი).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.1.

რეკომენდაცია: აღნიშნული აქტივობის გამოყენება უნდა მოხდეს II სემესტრიდან, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ინსტრუქციის მიცემის შემდეგ დაიცადოს, სანამ ყველა მოსწავლე არ შეასრულებს ამ აქტივობას, და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს მორიგ ინსტრუქციაზე.

აქტივობა 13. „გრაფიკული კარნახი"

მიზანი: სიტყვიერად მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით მუშაობის, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, სივრცეში ორიენტაციის, ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს შემდეგ ინსტრუქციას: 5 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარცნივ, 1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 3 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ქვემოთ, 2 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 2 უჯრა ქვემოთ, 5 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ქვემოთ, 4 უჯრა მარცხნივ, 8 უჯრა ქვემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ქვემოთ, 3 უჯრა მარცხნივ, 5 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 5 უჯრა ქვემოთ, 3 უჯრა მარცნივ, 1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 8 უჯრა ზემოთ, 4 უჯრა მარცხნივ. რას მიამსგავსებთ მიღებულ ფიგურას? (კაცუნა).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.1.

რეკომენდაცია: აღნიშნული აქტივობის გამოყენება უნდა მოხდეს II სემესტრიდან, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ინსტრუქციის მიცემის შემდეგ დაიცადოს, სანამ ყველა მოსწავლე არ შეასრულებს ამ აქტივობას და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს მორიგ ინსტრუქციაზე.

კომუნიკაცია

აქტივობა 1. „მინდა გითხრა: **ა ე ი ო უ**!"

მიზანი: ხმოვნების გამოთქმაში გავარჯიშება. მონაწილეებისათვის ემოციური განწყობის გამოხატვის შესაძლებლობის მინიჭება, ერთმანეთისადმი ურთიერთპატივისცემის გაღვივება;

მასალა: ფურცლები თითოეული მონაწილისთვის ხმოვნების გამოსახულებით.

მიმდინარეობა: მონაწილეები წრიულად დგანან. წამყვანი მოხალისეს სთხოვს წრის ცენტრში გამოვიდეს. მან რაიმე გრძნობა, ემოცია ან იდეა მხოლოდ ერთი ასოთი უნდა გამოხატოს — ეს შესაძლებელია იყოს ხუთი ხმოვნიდან ერთ-ერთი ასო — „ა", „ე", „ი", „ო", „უ". მაგალითად, სიხარული „ა" ბგერით ან გაკვირვება „ო" ბგერით. გრძნობა, ემოცია ან იდეა მოცემულ ბგერაში ინტონაციით, თანმხლები ჟესტით ან პანტომიმით უნდა იყოს ასახული. შემდეგ მთელმა გუნდმა სამჯერ უნდა გაიმეოროს ეს ყოველი დეტალის შენარჩუნებით. სავარჯიშო გრძელდება იქამდე, ვიდრე თითოეული მონაწილე არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ამ პრინციპით. შესაძლებელია, სავარჯიშოს სხვა სახის განვითარება ჰქონდეს — მონაწილეები ხმოვნის ნაცვლად ერთ სიტყვას ამბობენ, რომელიც მათი ემოციის, გრძნობის ან იდეის გამომხატველია.

შემდეგ მასწავლებელი ურიგებს ბავშვებს ფურცლებს ასო „ა"-ს გამოსახულებით: „გავაფერადოთ, მოვრთოთ, მივუხატოთ რაც გვინდა და შემდეგ გავაკეთოთ გამოფენა". თითოეულ ნახატს აუცილებლად უნდა მივაწეროთ ავტორის სახელი და გვარი.

ასეთი სახით შეიძლება გავაცნოთ სხვა ხმოვნებიც და ბოლოს ბავშვს შეუძლია აკინძოს "ხმოვნების წიგნი" თავისი ნახატებით.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; ქართ. I.12; უცხ.დ. 01.5

რეკომენდაცია: თუმცა ეს აქტივობა არ უნდა იყოს ძალიან ხშირი, რომ არ მობეზრდეთ მოსწავლებს და რუტინულ დავალებად არ იქცეს.

აქტივობა 2. „გადაეცი ნახატი”.

მიზანი: კომუნიკაციის უნარის განვითარება, სომორცხვის დაძლევა;

მიმდინარეობა: თამაშში მონაწილეობას იღებს ყველა ბავშვი. პირველი ბავშვის ხელის გულზე უნდა დავხატოთ თითით რაიმე ნიშანი, ფიგურა (კვადრატი, წრე, სამკუთხედი, კლაკნილი ხაზი). ბავშვი დახატავს-გადასცემს ფიგურას მეორე ბავშვის ხელის გულზე და ა.შ. თამაშის ბოლო მონაწილე ასახელებს მის ხელზე დახატულ ფიგურას. ხდება შედარება დასახელებული ფიგურის იმასთან, თუ რა იყო დახატული პირველი ბავშვის ხელის გულზე.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.6.

აქტივობა 3. „კონსპირატორი”

მიზანი: კომუნიკაციის უნარის განვითარება, სომორცხვის დაძლევა;

მიმდინარეობა: ბავშვები დგებიან წრეში. ერთ-ერთი ბავშვი თვალახვეული დგება წრის ცენტრში. ბავშვები გადადგილდებიან წრეზე. რამდენიმე წამის შედეგ მასწავლებელი ამბობს: „გაჩერდით”. წრეში მდგომმა ბავშვმა ხელის შეხებით უნდა გამოიცნოს ყველა ბავშვი (ბავშვები ჩუმად არიან). ამოცნობილი ბავშვი გადის წრიდან. გამარჯვებულია ის ბავშვი, რომელიც ყველაზე ბოლოს ამოიცნეს.

აქტივობა 4. პოსტერი „ყველაფერი ჩემს შესახებ”

მიზანი: ჯგუფის წევრების გაცნობა, მონაწილეებისათვის ემოციური განწყობის გამოხატვის შესაძლებლობის მინიჭება, ერთმანეთისადმი ურთიერთპატივისცემის გაღვივება;

მასალა: დიდი ზომის ქაღალდი, ფერადი ფანქრები

მიმდინარეობა: თითოეულ ბავშვს აქვს დიდი ზომის ქაღალდი, რომელზეც უნდა დახატონ თავისი თავი. დაწერონ (თუ წერა უკვე იციან) ან დახატონ მათი საყვარელი ხილი, საჭმელი, საყვარელი შინაური ცხოველი, რა მოსწონთ ან არ მოსწონთ სკოლაში და სხვ. შემდეგ კლასს გააცნობენ თავს პოსტერის მეშვეობით.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.9

აქტივობა 5. „გაცნობა”

მიზანი: ჯგუფის წევრების გაცნობა, ერთმანეთის სახელების გაგება, დამახსოვრება;’

მასალა: ბურთი.

მიმდინარეობა: თამაშს იწყებს მასწავლებელი. ამბობს თავის სახელს, შემდეგ ესვრის ბურთს რომელიმე ბავშვს, რომელიც ასევე ამბობს თავის სახელს და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ. 01.10

აქტივობა 6. „ნაცნობობის განმტკიცება”

მიზანი: ჯგუფის წევრების გაცნობა, ერთმანეთის სახელების გაგება, დამახსოვრება;

მასალა: ბურთი.

მიმდინარეობა: მასწავლებელი ესვრის ბურთს რომელიმე ბავშვს და ეკითხება სხვა ბავშვებს: რა ჰქვია ამ ბიჭს (გოგოს)? ბავშვები ერთად იმეორებენ ამ ბავშვის სახელს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ. 01.10

აქტივობა 7. „შეცდომების ამოცნობა”

მიზანი: ყურადღების განვითარება, ჯგუფის წევრების სახელების და გვარების დამახსოვრება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი კითხულობს სიას, ოღონდ შეცდომით ასახელებს ზოგიერთი მოსწავლის სახელს ან გვარს. ბავშვები ფეხზე უნდა ადგნენ მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი სწორად ასახელებს სახელსა და გვარს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ. 01.10

აქტივობა 8. „მე მომწონს, რომ შენ" . . .

მიზანი: პოზიტიური თვითშეფასების ფორმირება, თანამშრომლობითი უნარების განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლები სხედან წრეში. აქტივობა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერმა ბავშვმა. მან თითოეულ თანაკლასელზე უნდა თქვას მხოლოდ ერთი რამ, რაც მოსწონს მასში: "მე მომწონს, რომ შენ ..." ეს ბავშვებს ასწავლის დაინახონ ერთმანეთის პოზიტიური თვისებები და ამაღლებს მათ თვითშეფასებას, როცა ესმით მეგობრებისგან რამდენი რამ არის მათში მოსაწონი, დადებითი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ. 01.10

რეკომენდაცია: როდესაც მოსწავლეები წერას ისწავლიან, შეიძლება ეს აქტივობა ჩატარდეს წყვილებში. ბავშვებმა უნდა დაწერონ 5 თვისება, რაც მოსწონთ თავის მეწყვილეში და შემდეგ გაუზიარონ.

თანამშრომლობა

აქტივობა 1. „STOP"

მიზანი: თანამშრომლობის, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;

მასალა: დიდი ფორმატის ფურცელი, ფლომასტერები, წებოვანი ლენტი.

მიმდინარეობა: მასწავლებელი წებოვანი ლენტით ამაგრებს ფორმატს, იძახებს რომელიმე მოსწავლეს, რომელიც 40-60 წამის განმავლობაში ხატავს რაიმეს ფორმატზე. დროის ამოწურვისას მასწავლებელი ამბობს „STOP". შემდეგ გამოდის სხვა მონაწილე და ახლა ის აგრძელებს ხატვას ასევე 60 წამის განმავლობაში. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს რომელიმე კონკრეტული მოსწავლის კი არა, მთელი კლასის ნამუშევარია. დეტალების დასრულების შემდეგ ფორმატი იკვრება კლასში.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.ხ.I.6.

აქტივობა 2. „დეტექტივი"

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის განვითარება, კლასის დამეგობრება;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ჯგუფიდან ირჩევს 1 მოსწავლეს (უმჯობესია ძლიერი მოსწავლის არჩევა). ჯგუფის დანარჩენი წევრები ქმნიან წრეს. წრეში ირჩევენ ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელსაც ევალება გარკვეული მოძრაობების შესრულება. ჯგუფმა ზუსტად უნდა გაიმეოროს მისი მოძრაობები. ამ დროს „დეტექტივი" ჯგუფიდან ზურგშექცევით დგას. შემდეგ ტრიალდება და შეეცდება ამოიცნოს, თუ ვის მოძრაობას ასრულებს მთელი ჯგუფი. შემდეგ ინიშნება ახალი „დეტექტივი" და ჯგუფის ახალი ხელმძღვანელი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: სპ.I.4.

აქტივობა 3. „მიჩვენე ხელები”

მიზანი: თანამშრომლობის უნარის განვითარება;

მასალა: 1 ფლომასტერი, ან კალამი.

მიმდინარეობა: მონაწილეები მჭიდრო წრეს ქმნიან. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაგულში დგება. ცოტა ხნით ხუჭავს თვალებს. მასწავლებელი ჯგუფის წევრებს აწვდის ფანქარს, რომელიც უნდა გადასცენ ზურგს უკან ისე, რომ წრეში მდგომმა მოსწავლემ ვერ შენიშნოს.

წრეში მდგომი მოსწავლე ახელს თვალებს. მას აქვს უფლება ნებისმიერ მონაწილეს მოსთხოვოს ხელების ჩვენება. მანაც ორივე ხელი უნდა უჩვენოს. თუ ფანქარი რეალურად მას აქვს ზურგს უკან, უნდა გადააწოდოს გვერდით მდგომ მონაწილეებს. ვინც ვერ მოასწრებს ფანქრის გადაწოდებას, ის დგება წრის შუაში.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: სპ.I.4.

აქტივობა 4. „ხელთათმანები”

მიზანი: თანამშრომლობის უნარის განვითარება;

მასალა: ფურცლები ხელთათმანების გრაფიკული გამოსახულებით და ფერადი ფანქრები.

მიმდინარეობა: მონაწილეები სხედან მერხთან წყვილებად. მათ ურიგდებათ ფურცლები ხელთათმანების გამოსახულებით და ფერადი ფანქრების ყუთი.

ეძლევათ ინსტრუქცია: თქვენი ხელთათმანები უნდა გაალამაზოთ. ორნამენტები დაახატოთ, გააფერადოთ. ოღონდ შეეცადეთ, რომ წყვილებს ერთნაირი ხელთათმანები გქონდეთ, ვინაიდან ამ თამაშში ის წყვილი გაიმარჯვებს, ვისი ხელთათმანებიც ყველაზე მსგავსი იქნება.

თამაშის დასრულების შემდეგ წყვილების ნამუშევრები კედელზე იკვრება და მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა იმსჯელონ, თუ ვისი ნამუშევარია ყველაზე მსგავსი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.4; ს.გ.I.7.

აქტივობა 5. „ბილიკი, კონა, სალუტი”

მიზანი: ორგანიზებულობის, დისციპლინის უნარის განვითარება, ჯგუფის შეკვრა;

მიმდინარეობა: ხელი-ხელ ჩაკიდებული ბავშვები წრეს ქმნიან და ისრის მიმართულებით მოძრაობენ მანამ, სანამ მასწავლებელი არ დაიძახებს „ბილიკი”.

ბავშვები ერთმანეთის უკან დგებიან და ხელებს წინ მდგომ ბავშვს მხრებზე აწყობენ. თუ მასწავლებელი ამბობს „კონა”, ბავშვები ხელებს წინ წამოწევენ და ერთმანეთს თითებით ეხებიან. როდესაც ამბობს „სალუტი”, ბავშვები ჩასხდებიან და ხელებს ზემოთ სწევენ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1; უცხ.დ.01.10;

აქტივობა 6. „თვალდახუჭული ხატვა”

მიზანი: თანამშრომლობის უნარის, წარმოსახვის განვითარება;

მასალა: 3 ზომის ფორმატი.

მიმდინარეობა: დავალება სრულდება წყვილებში. 2 მონაწილეს ეძლევა თითო ფურცელი. მასწავლებელი მათ სთხოვს, მოილაპარაკონ და ფურცლის შუაში დასვან წერტილი. ამის შემდეგ უხსნის, რომ დასვან ფლომასტერები მოცემულ წერტილზე, დახუჭონ თვალები და სანამ მასწავლებელი 10-მდე დაითვლის, ხატონ თვალდახუჭულებმა. ნიშანზე

მოსწავლეები ახელენ თვალებს და უნდა მიამსგავსონ მოცემული ფიგურა რაიმეს და დაასრულონ კომპოზიცია. ამასთან, მოცემულ კომპოზიციას რაიმე სახელიც უნდა მოუძებნონ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.4; ს.გ.I.7.

აქტივობა 7. „მარტო და ერთად"

მიზანი: თანამშრომლობის, შემოქმედების უნარის განვითარება;

მასალა: ფორმატის ფურცელი, რომელიც 3 ნაწილად არის დაყოფილი.

მიმდინარეობა: ფურცლები ურიგდებათ მოსწავლეებს. 2 მოსწავლეს შუაში უდევს 1 ფურცელი. ფურცლის მარცხენა და მარჯვენა ნაწილში მოთამაშეები ხატავენ მათთვის სასურველ კომპოზიციას, ხოლო შუაში რას დახატავენ, უნდა მოილაპარაკონ. მეწყვილის თანხმობის გარეშე ვერავინ დაიწყებს ხატვას. წყვილებმა უნდა მოიფიქრონ სახელი და მუშაობის დასრულების შემდეგ წარმოადგინონ ნამუშევარი. მასწავლებელი უსვამს შემდეგ შეკითხვებს: რა უფრო მოეწონათ: მუშაობა მათთვის განკუთვნილ ადგილზე თუ საერთო „ტერიტორიაზე", იოლად მოილაპარაკეს, რას დახატავდნენ თუ არა?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.გ.I.7.

აქტივობა 8. „ნდობით ვარდნა"

მიზანი: თანამშრომლობის უნარის განვითარება, სიმორცხვის დაძლევა;

მიმდინარეობა: თამაშში მონაწილეობენ წყვილები. მასწავლებელი და მოსწავლე. მასწავლებელი დგება მოსწავლის უკან 40-50 სმ-ით. მასწავლებლის ნიშანზე მოსწავლე ზურგით უნდა „გადავარდეს" მასწავლებლის ხელებში.

აქტივობა 9. „ფუტკრობანა"

მიზანი: ყურადღების, მეხსიერების, თანამშრომლობის უნარის განვითარება;

მასალა: რაიმე პატარა ნივთი (პირობითად თაფლის ქილა).

მიმდინარეობა: მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ფუტკრები ხართ. ერთ-ერთი თქვენთაგანი იქნება ფუტკრების „ხელმწიფე". მე მას თაფლს დავუმალავ, თქვენ კი, რადგან მისი გუნდი ხართ, უნდა დაეხმაროთ პოვნაში. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ პირდაპირ თქმა, თუ სად არის თაფლი და არც ხელით მინიშნება. შეგიძლიათ მხოლოდ ბგერების -„ბზზზ" გამოცემა. (თქვენ ხომ ფუტკრები ხართ),

ოღონდ როცა ხელმწიფე მიუახლოვდება დამალულ თაფლს, თქვენ ხმას უმატებთ, თუ დასცილდა - ხმას უკლებთ ან საერთოდ ჩუმდებით.

მიმდინარეობა: მასწავლებელი ირჩევს ხელმწიფეს, რომელიც კლასისგან ზურგშექცევით დგას. მასწავლებელი და ერთ-ერთი მოსწავლე მალავენ თაფლს. ამის შემდეგ „ხელმწიფე" ტრიალდება და კლასი ეხმარება მას თაფლის პოვნაში. თამაშის დასრულების შემდეგ ხდება განხილვა:

სასიამოვნო იყო „ხელმწიფის"როლში ყოფნა?

სასიამოვნოა ფუტკრების გუნდის წევრის როლში ყოფნა? რატომ?

ეხმარებოდა თუ არა გუნდი ხელმწიფეს თაფლის ძებნის პროცესში?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ.I.1.

საგნობრივი უნარ-ჩვევები კითხვისთვის მომზადება

5 წლის ასაკში კითხვის სწავლება სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. 5 - წლიანებთან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, ასო - ბგერითი მიმართების ჩამოყალიბებას, სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგებას, სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება-ამოცნობას.

ფონოლოგიური უნარ - ჩვევები

კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება დაეთმოს ფონოლოგიური უნარ—ჩვევების განვითარებას. ფონოლოგიური უნარების განვითარება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ პროგნოზი, თუ რამდენად წარმატებულად შეძლებს ბავშვი სამომავლოდ კითხვის სწავლას.

ბავშვმა ჯერ უნდა გაიგოს, რომ ყოველ ბგერას გარკვეული ასო შეესაბამება. პირველ რიგში მან უნდა გაიგოს, თუ რა არის ბგერა. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ტექსტს აღიქვამენ როგორც უწყვეტი სიტყვების ნაკადს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ტექსტი შედგება წინადადებისგან, წინადადება სიტყვებისგან და სიტყვები უმცირესი ნაწილაკების - ბგერებისაგან. ბავშვმა, რომელმაც ჯერ ბგერა არ იცის, ასოს ვერ გაიგებს, ის ხომ ცალკეულ ბგერას გამოხატავს. ამდენად, კითხვის სწავლების პირველ ეტაპზე ჯერ უნდა ვიმუშაოთ, რომ ბავშვმა აღმოაჩინოს ბგერა, იგივე – ფონემა. ფონემური ცნობიერება სწორედ ფონემების გაცნობიერებას გულისხმობს. ფონემური ცნობიერების ფორმირება კი ფონოლოგიური უნარების განვითარების გზით ხდება. ფონოლოგიური უნარების განვითარება ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე მოსწავლეს ვთავაზობთ აქტივობებს, რომელიც ეხმარება მას წარმოთქმული მარცვლების და არა ბგერების აღქმაში, მეორე ეტაპზე კი ბგერების აღქმაში ვავარჯიშებთ მას.

პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ ჯერ მასწავლებელმა დამარცვლოს სიტყვები და მოსწავლეებმა გაამთლიანონ ის. მაგ., მასწავლებელი ამბობს დე-და. ბავშვები ამთლიანებენ მას სიტყვებად. შესაძლებელია მასწავლებელმა დამარცვლოს სიტყვა და მოსწავლეებმა თითო მარცვალზე დაუკრან ტაში, შემდეგ დაასახელონ მარცვლების რაოდენობა. ამის შემდეგ მოსწავლემ თვითონ უნდა მარცვლოს რაიმე სიტყვა. მაგ., საკუთარი სახელი.

შემდგომ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ მარცვლების იდენტიფიცირება. სხვადასხვა მარცვლების ჩამონათვალში მათ ჯერ ტაში უნდა შემოჰკრან, მაგ., მარცვალ ბა-ს გაგონებაზე (ბა, და, ბა, პა, ფა, პა), შემდეგ კი იმ სიტყვის გაგონებაზე, რომელიც მარცვალ ბა-ზე იწყება. მაგ., ბარი; მარი, ბალი.

მარცვლებზე მუშაობის შემდეგ უნდა გადავიდეთ ბგერების იდენტიფიცირებაზე- მოსწავლეებმა დასახელებულ ბგერაზე, მაგ., ბგერა ლ-ს გაგონებაზე უნდა შემოკრან ტაში (იხ. თავი V; აქტივობები და პრაქტიკული სავარჯიშოები; აღქმა-ბგერები; გვ 45).

კითხვის სწავლება

ზოგადად კითხვის სწავლება შემდეგი უნარების განვითარებას მოითხოვს: ასო- ბგერითი მიმართების ჩამოყალიბებას; სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგებას; სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება-ამოცნობას, სიტყვების გაშიფრვას; კითხვის მოქნილობას; წაკითხულის გაგებას.

მარცვლებსა და ბგერებზე მუშაობის შემდეგ გადავდივართ კითხვის სწავლებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაზე. რომელიც შემდეგი უნარების განვითარებას მოითხოვს:

- **ასო - ბგერითი მიმართების ჩამოყალიბება** – მოსწავლემ უნდა გაიგოს, რა კავშირია ასოსა და ბგერას შორის. ამისთვის მასწავლებელმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს ანბანი და თან აჩვენოს მათ შესაბამისი ასოები; (იხ. ქვემოთ-აქტივობა 1;2; გვ. 77).
- **სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება** — მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ნათქვამი წინადადება შედგება სიტყვებისგან და რომ ნაწერი სიტყვა ნათქვამი სიტყვის გამოსახულებაა. ამისთვის მასწავლებელმა უნდა გამოაკრას მოსწავლეთათვის ნაცნობი პატარა ტექსტი (მაგ., კლასში ქცევის წესები), ხმამაღლა წაიკითხოს ის და თან ხელი გააყოლოს. ასევე, შეიძლება დაფაზე დაუწეროს ტექსტი და ისიც იმავე მეთოდით წაუკითხოს (იხ. ქვემოთ-აქტივობა 1-5; გვ. 77);
- **მთლიანი სიტყვების კითხვა ანუ სიტყვის ორთოგრაფიული (გრაფიკული) ხატის დამახსოვრება - ამოცნობა** — ბავშვი კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენებით ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ (გრაფიკულ) ხატს და აკავშირებს ნაწერს სიტყვის მნიშვნელობასთან. ამგვარი ხერხით ბევრ ხუთწლიანსაც შეუძლია სიტყვის ამოცნობა მისი დანაწევრება-გამთლიანების გარეშე. ეს უნარი კითხვის ერთ-ერთი შემამზადებელი აქტივობაა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ბარათები ნახატითა და სიტყვის ორთოგრაფიული ხატით (იხ. ქვემოთ-აქტივობა 1-7; გვ 79);
- **სიტყვის გაშიფრვა** — გაშიფრვა გულისხმობს ნაწერი სიტყვის - ორთოგრაფიული ხატის ხმოვან ხატად გარდაქმნას. ეს მრავალსაფეხურიანი აქტივობაა, რომელიც დიდ სირთულეს უქმნის ახალბედა მკითხველს, მით უფრო ხუთწლიანებს. ორთოგრაფიული ხატის გაშიფრვისას თვალი ჯერ ასოს აღიქვამს, აკავშირებს მას ბგერასთან, რომელსაც ახმოვანებს, იმახსოვრებს ამ ბგერას, გადადის მომდევნო ასოზე, აკავშირებს მასაც ბგერასთან და საბოლოოდ ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად. (ამიტომაც არის ნიშვნელოვანი, რომ კითხვისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ყურადღება დაეთმოს ბგერების სიტყვად გამთლიანებაზე მუშაობას). ხშირად ხდება, რომ მოსწავლე სანამ სიტყვის ბოლოში გავა, თავიდან წაკითხული ასოები ავიწყდება (მისი ხანმოკლე[9] მეხსიერება ამდენ ინფორმაციას ვეღარ იტევს). მისი გონება ასოების ბგერებთან დაკავშირებით არის დაკავებული. სიტყვის გაშიფრვა ის აქტივობაა, რომელიც ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს ხუთ-ექვს წლიანებთან. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მათგანი ნევროლოგიურადაც არ არის მომწიფე-

9 მეხიერების ფორმა, რომელიც ინფორმაციას რამდენიმე წამის განმავლობაში ინახავს.

ბული იმისთვის, რომ თვალის მოძრაობა დაიმორჩილოს და ამგვარი ამოცანები დაძლიოს. ამის გათვალისწინებით, მასწავლებელი გაშიფრვაზე მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს და კითხვის სწავლებისას ყველას ერთნაირი მოთხოვნა არ უნდა წაუყენოს. ვისაც ძალიან უჭირს გაშიფრვა, მას ჯერ მთლიან სიტყვათა მეთოდზე დაფუძნებული აქტივობები უნდა შესთავაზოს (იხ. აქტივობა 1—8; გვ 82);

- **კითხვის მოქნილობა** — კითხვის მოქნილობა გულისხმობს გაშიფრვის უნარის ავტომატიზაციას. როდესაც გაშიფრვის უნარი ავტომატიზირებულია, ბავშვი აღარ არის დაკავებული ყოველი ასოს ბგერასთან დაკავშირებით და მას უკვე შეუძლია კითხვა გამოიყენოს როგორც ინფორმაციის მიღების ინსტრუმენტი. სწორედ ამიტომ ჩქარობს ყველა, რომ მოსწავლეს სწრაფად განუვითაროს ეს უნარი. კითხვის მოქნილობის დაუფლება სისტემატურ და ინტენსიურ ვარჯიშს მოითხოვს. თანაც, თუ მოსწავლე საამისოდ ფსიქიკურად და ფიზიოლოგიურად – მზად არ არის, ძალდატანებამ, შესაძლოა, წარუმატებლობის და მარცხის განცდა გამოიწვიოს (იხ. ქვემოთ-აქტივობა 1; გვ 82);
- **წაკითხულის გაგება** — ეს მოქნილობისგან განსხვავებული უნარია. შეიძლება მოსწავლემ ძალიან სწრაფად წაიკითხოს ტექსტი, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანოს. საქმე ისაა, რომ მოქნილობაზე ვარჯიშისას ხმა მისდევს თვალების მოძრაობას და მოსწავლე კითხულობს იმას, რასაც ხედავს და ვერ ასწრებს გააზრებას. მოქნილობაზე მუშაობისას მას არ უვითარდება შინაარსის წვდომის, გაგების უნარი. სწორედ ამიტომ, უნდა მოხდეს ამ უნარების გამიჯვნა და მოსწავლეს შევთავაზოთ გაგებაზე მიმართული აქტივობები.

იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად გაიგონ მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის შინაარსი, კარგია გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება. ჯერ კარგად უნდა ავუხსნათ, რომ ნაწარმოებში არის მოქმედი პირები; ამბავს აქვს დასაწყისი, შემდეგ ხდება მოქმედების განვითარება და ბოლოს არის დასკვნითი ნაწილი.

გრაფიკული მაორგანიზებელი შეიძლება გამოვიყენოთ ნაწარმოების პერსონაჟების დახასიათებისთვის ან სიუჟეტის განვითარების თანმიმდევრობის გამოსახატავად. მაგალითად:

- **პერსონაჟები.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მთავარი გმირები და ჩახატოს (ან ჩვენ ჩავუწეროთ, სანამ ის კითხვას დაეუფლება). იხ. სქემა 3.

სქემა 3.



- **სიუჟეტი.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მოთხრობის თანმიმდევრობა, სადაც იქნება აღნიშნული დრო და ის ადგილი, სადაც ხდება მოქმედება, გააკეთოს ილუსტრაციები (იხ. სქემა 4).

სქემა 4.



ასო - ბგერითი მიმართების ჩამოყალიბება

აქტივობა 1. „ანბანი"

მიზანი: ასოების გაცნობა;

მასალა: დიდი ზომის ქაღალდი/ფურცლები, ფანქრები, გაზეთები, ჟურნალები.

მიმდინარეობა: დახატეთ დიდ ფორმატის ქაღალდზე თითოეული ასო, შემდეგ გადაათვალიერეთ გაზეთები, ჟურნალები და ამოჭერით იმ საგნების სურათები, რომელთა სახელიც იწყება სხვადასხვა ასოებით. დააკარით პოსტერზე.

კავშირი სტანდარტთან-შედეგი: ქართ. I.6; იცხ.დ.01.9

აქტივობა 2. „ანბანის წიგნი"

მიზანი: კარნახით ასოების, მარცვლებისა და სიტყვების წერა;

მასალა: ფერადი ფურცლები, ფანქრები.

მიმდინარეობა: შეკარით ერთად თეთრი ან ღია ფერის ფურცლები. დაწერეთ ანბანის ყველა ასო თითო ფურცელზე და თხოვეთ ბავშვს დახატოს მასთან დაკავშირებული რაიმე საგანი; ან გააკეთეთ წიგნი, სადაც თითოეულ გვერდზე იქნება დაწერილი ბავშვის სახელის თითო ასო. ბავშვმა უნდა დახატოს ის საგნები, რომელიც ამ ასოზე იწყება.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.13;

სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება

აქტივობა 1. „დინოზავრი"

მიზანი: ექსპრესიული მეტყველების, მიზეზ - შედეგობრივი კავშირების დამყარების, მეხსიერების განვითარება;

მასალა: დინოზავრის სურათი; ფორმატი/მარკერი ან დაფა/ცარცი.

მიმდინარეობა: ვაჩვენოთ ბავშვებს სურათი: „წარმოიდგინეთ, რომ ეს დინოზავრი დადის ოთახში. მაჩვენეთ რას გააკეთებთ?" შემდეგ თქვან, რას იგრძნობენ, უთხარით: „მოდით, დავწეროთ მოთხრობა, როგორ მოვიდა დინოზავრი ერთხელ ჩვენს კლასში". ბავშვებმა გიკარნახონ წინადადებები და თქვენ დაწერეთ ჩარტზე. შემდეგ ისევ წაუკითხეთ ბავშვებს. ხელი გააყოლეთ სიტყვებს. მეორეჯერაც წაიკითხეთ, ბავშვებმა გაჩვენონ სიტყვები, რომელიც იწყება „დ" ასოზე. ფორმატი დაკიდეთ ისე, რომ ბავშვებმა „წაიკითხონ", როცა მოუნდებათ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ.01.5

რეკომენდაცია: თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება, შეიძლება დახატოს ილუსტრაციები ამ მოთხრობისთვის.

აქტივობა 2. „კარნახი"

მიზანი: კარნახით ასოების, მარცვლებისა და სიტყვების წერა;

მიმდინარეობა: ბავშვი გვკარნახობს რაიმე ამბავს, ჩვენ კი ვიწერთ მას. რა თემაზე? მისი ბოლო დაბადების დღე ან ბებიასთან ბოლო ვიზიტი. ვინაიდან ბავშვს თვითონ არ შეუძლია წერა, ის აკვირდება თქვენ როგორ წერთ იმას, რასაც ის ამბობს. ეს განამტკიცებს კავშირს დაწერილ და წარმოთქმულ სიტყვებს შორის.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.13.

რეკომენდაცია: როცა წერას ისწავლის, შეგიძლიათ გაცვალოთ როლები.

აქტივობა 3. „წიგნის გამოცემა"

მიზანი: კარნახით ასოების, მარცვლებისა და სიტყვების წერა;

მიმდინარეობა: ბავშვის მიერ ადრე შესრულებული რამდენიმე ნახატი დავაკრათ ქაღალდზე და შევკრათ წიგნად. გავუკეთოთ ყდა, რომელსაც ბავშვი გააფორმებს, დააწეროს ყდაზე თავისი სახელი (თუ შეუძლია, გვარიც), როგორც ავტორმა. ყდაზე შეიძლება მიაწეროს „გამომცემლობა" და „გამოცემის წელი". თუ ჯერ არ იცის წერა, ჩვენ გავაკეთოთ ეს. შემდეგ ვისაც სურს, როგორც ავტორი, გააცნობს თავის წიგნს თანატოლებს, აჩვენებს და აღწერს ნახატებს, ამბობს, რატომ აარჩია ეს ნახატები და სხვ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.13.

რეკომენდაცია: „პორტფოლიო" ამაში ძალიან დაგვეხმარება. წიგნი დავდოთ თაროზე სხვა წიგნებთან ერთად, რათა ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება შესვენებაზე აიღონ, დაათვალიერონ, გადაიკითხონ. ეს აღვივებს ინტერესს და ზრდის კითხვის მოტივაციას.

აქტივობა 4. „სიმღერის ილუსტრაციები"

მიზანი: კარნახით ასოების, მარცვლებისა და სიტყვების წერა;

მიმდინარეობა: დაწერეთ ბავშვის საყვარელი სიმღერის სიტყვები და ბავშვთან ერთად დახატეთ სურათები თითოეული სტროფისთვის, შემდეგ წაიკითხეთ და იმღერეთ ერთად.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.13; მუს.I.2.

აქტივობა 5. „დავწეროთ წიგნი"

მიზანი: კარნახით ასოების, მარცვლებისა და სიტყვების წერა;

მიმდინარეობა: შეკარით ერთად 10 ფურცელი და თხოვეთ ბავშვს, დაფიქრდეს რა უყვარს ძალიან. დაეხმარეთ კითხვებით: რომელია შენი საყვარელი საჭმელი? საუკეთესო მეგობარი ვინაა? საყვარელი წიგნი რა არის? დაწერეთ ერთი რამ თითო გვერდზე და ბავშვმა ჩახატოს რამე შესაბამისი. ბოლოს შევკრათ წიგნად, გავუკეთოთ ყდა და დავაწეროთ სათაური, ავტორი და გამოცემის წელი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.13.

მთლიანი სიტყვების კითხვა ანუ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება

აქტივობა 1.

მიზანი: მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება;

მასალა: ბარათები სიტყვებით. იხ. სქემა 5.

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს ბარათებს მოსწავლეებს, მათ სიტყვების ჩამონათვალში უნდა იპოვონ და შემოხაზონ ნიმუშად მოცემული სიტყვის ანალოგი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

სქემა 5.

მზის გამოსახულება	
მზე	ბურთი ხე მზე მანქანა

აქტივობა 2.

მიზანი: მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება

მასალა: ბარათი სიტყვებით (იხ. სქემა 6).

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს ბარათებს მოსწავლეებს, სადაც სიტყვათა წყვილები არის მოცემული. მოსწავლე კითხულობს, ადარებს და გადახაზავს განსხვავებულ სიტყვათა წყვილს. მათ სიტყვების ჩამონათვალში უნდა იპოვონ და შემოხაზონ ნიმუშში მოცემული სიტყვის ანალოგი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

სქემა 6.

- ხე-ხე
- ხე-ია
- ხე-ხე
- ხე-ხე

აქტივობა 3.

მიზანი: მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება;

მასალა: ბარათები სიტყვებით (იხ. სქემა 7).

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს ბარათებს მოსწავლეებს, სადაც ცალკე არის მოცემული სიტყვა და მათ ცხრილში უნდა იპოვონ ნიმუშად მოცემული სიტყვის ანალოგი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

სქემა 7.

ქოლგა

ქოლგა ცა თუთიყუში ქოლგა
ბანანი ქუდი ქოლგა
ბაყაყი ჩიტი ქოლგა მაიმუნი

აქტივობა 4.

მიზანი: მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება;

მასალა: ბარათები სიტყვებით (იხ. სქემა 8)

მიმდინარეობა: მასწავლებელი აძლევს ბარათებს მოსწავლეებს, სადაც წარმორდგენილი არის მსგავსი სიტყვების 2 მწკრივი. მოსწავლემ უნდა შეაერთოს ერთნაირი სიტყვები.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

სქემა 8.

- გია
- ხე
- მზე
- ბუ
- მანქანა

- ბუ
- მანქანა
- ხე
- გია
- მზე

აქტივობა 5. „დომინო”

მიზანი: მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება;

მასალა: ბარათები ყველა ასოზე ოთხი სიტყვით (იხ. სქემა 9).

მიმდინარეობა: თითო მოთამაშეს ურიგდება 8-10 ბარათი. ვინც იწყებს, ის დადებს ერთ ბარათს, რომელზეც არის ასოც და სიტყვაც. მეორე ბავშვმა უნდა მიუდოს ბარათი ან ამ ასოზე დაწყებული სიტყვით, ან ამ სიტყვის პირველი ასოს შესაბამისი სიტყვით.

შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5.

რეკომენდაცია: ეს აქტივობა შეიძლება მათემატიკის სწავლების დროსაც გამოვიყენოთ, მხოლოდ ბარათებზე ასოების ან სიტყვების მაგივრად ეწერება რიცხვები.

სქემა 9.

ა	ბ	გ	დ	ე
კალამი	გემი	სათამაშო	მამალი	ზღარბი

1	2	3	4	5
6	7	8	9	0

აქტივობა 6. „თევზაობა”

მიზანი: მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება;

მასალა: ბანქოს ზომის ბარათები სიტყვებით (იხ. სქემა 10).

მიმდინარეობა: თამაშობს ორი ან ოთხი ბავშვი სიტყვების ბანქოთი. თითოს აქვს 6 ბარათი. ერთი დადებს მაგიდის ცენტრში ბანქოს რაიმე სიტყვით და ამბობს, რა სიტყვაა (კითხულობს). შემდეგი მოთამაშე ჩამოვა ბარათს, თუ აქვს ასეთივე სიტყვა და დაუდებს გვერდით. თუ არ აქვს — მიდის „სათევზაოდ” და იღებს ახალ ბარათს. თუ იქაც არ არის ეს სიტყვა, სვლა გადადის შემდეგზე, რომელმაც უნდა დადოს ასეთი სიტყვა და წარმოთქვას ხმამაღლა. თუ ვერ ამბობს, ბარათები მიაქვს იმას, ვინც იტყვის. მოგებულია ის, ვისაც ყველაზე მეტი ბარათი აქვს. ე.ი. თითოეულმა მოთამაშემ უნდა შეადგინოს 2x2 ან 4x4 მსგავს სიტყვიანი კომპლექტი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

სქემა 10.

სირბილი	**მაღალი**	**ბურთი**	**ფანქარი**	**ლამაზი**	**ცურვა**

აქტივობა 7. „ფოტოების ჟურნალი”

მიზანი: მარტივი წინადადებების შედგენა ნაცნობ თემებზე;

მასალა: ფოტოები, ალბომი ან რვეული, ფანქრები.

მიმდინარეობა: მშობლების დახმარებით მოაგროვეთ ბავშვის ფოტოები. ბავშვები საუბრობენ, ვინ არის ამ ფოტოებზე აღბეჭდილი და სად არის გადაღებული. შემდეგ ისინი აკრავენ ფოტოებს ალბომში ან რვეულში. მიაწერენ (თუ წერა ჯერ არ იციან, ჩვენ მივაწერთ) ბავშვის სიტყვებს როგორც ფოტოების სათაურებს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.13; ქართ. I.14

რეკომენდაცია: შეიძლება გაკეთდეს ასევე ალბომები „ჩემი ოჯახი”, „ზაფხული”, „მეგობრები” და სხვ.

სიტყვების გაშიფრვა

აქტივობა 1. „პიცა”

მიზანი: მარცვლების გამთლიანება სიტყვებად;

მასალა: ერთჯერადი თეფში, ბარათები, სამაგრები (იხ. დიაგრამა 1.).

მიმდინარეობა: ერთჯერადი თეფშის შუაში დავაკრათ სიტყვის ძირი, თავსართი ან ბოლოსართი. ცალკე ბარათებზე წერია სხვადასხვა დაბოლოება. ბავშვმა უნდა იპოვოს შესაბამისი და სამაგრით მიამაგროს ეს ბარათი თეფშს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.6; ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

დიაგრამა 1.



კითხვის მოქნილობა

აქტივობა 1.

მიზანი: მხედველობის პერიფერიული ველის გაზრდა;

მასალა: ბარათები (იხ. სქემა 11).

მიმდინარეობა: გამოცდილი მკითხველის მხედველობის პერიფერიული ველი ფართოა, ამიტომ მნიშვნელოვანია მხედველობის პერიფერიული ველის გაზრდა. მასწავლებელი სთავაზობს ინსტრუქციას მოსწავლეს: უყურე ცენტრალურ ხაზს, თვალი არ მოაშორო და მითხარი, რა წერია ჯერ ხაზის მარცხნივ და მერე ხაზის მარჯვნივ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.6; ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

რეკომენდაცია: პირველი ხაზი არის 1 სმ-ის სიგრძის, მეორე - 2 სმ - ის, მესამე - 3 სმ -ის, მეოთხე - 3,5 სმ-ის, მეხუთე - 4 სმ-ს სიგრძის.

სქემა 11.

კა ——— რი

ბა ——————— დე

ხე ——————————— ლი

და ———————————————— ნა

მუ ———————————————————— ხა

აქტივობა 2.

მიზანი: სიტყვის დასასრულის წინასწარ განჭვრეტა;

მასალა: ბარათები დაუსრულებელი სიტყვებით (იხ. სქემა 12).

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ბარათებს დაუსრულებელი სიტყვებით. პირველ შემთხვევაში სიტყვის კარკასი შენარჩუნებულია, მეორეში კი - არა.

სქემა 12.

თაგვ - ; **ბურთ - ;** **ჩანთ - .**	**თაგვ - ;** **ბურთ - ;** **ჩანთ - .**	**კა - ა;** **სახ - ი;** **სა - თი.**

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია, რომ არ ავაჩქაროთ მოსწავლეები დავალების შესრულებისას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.6; ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

ამგვარად, კითხვის სწავლების მოსამზადებელ ეტაპზე ყურადღება უნდა დაეთმოს:

- **ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას;**
- **ასო-ბგერითი მიმართების ჩამოყალიბებას;**
- **სიტყვის ორთოგრაფიული (გრაფიკული) ხატის დამახსოვრება-ამოცნობას;**
- **ტექსტის შინაარსის გააზრებაზე მუშაობას.**

არითმეტიკა

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათემატიკის შესწავლა უნდა დაიწყოს მოქმედებებით რეალურ საგნებზე, ვინაიდან, შინაგან ჭრილში (გონებაში) მოქმედება 5 – წლიან მოსწავლეს ჯერ უჭირს. ამიტომ სიმბოლოები და ნიშნები ნელ - ნელა უნდა შემოვიდეს და დაეყრდნოს ბავშვის რეალურ გამოცდილებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 5 წლის ბავშვს ჯერ უჭირს შექცევადობის ოპერაციის განხორციელება (იხ. თავი I. – აზროვნება; გვ. 14), ამიტომ მას ჯერ მიმატება უნდა ვასწავლოთ და შემდეგ გამოკლება.

აქტივობა 1.

მიზანი: თვლის პროცესის სწავლა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ ვინ იცის თვლა 10-მდე? ბავშვები იწევენ ხელს. მასწავლებელს გამოჰყავს ბავშვები, წრეში აყენებს, ესვრის რომელიმე მათგანს ბურთს, ის ასახელებს რიცხვს „1”-ს, შემდეგ სხვა ბავშვს უგდებს, ის ამბობს „2”-ს და ასე ითვლიან მანამ, სადამდეც შეძლებენ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1.

აქტივობა 2.

მიზანი: რიცხვების შესატყვისობა მათ რაოდენობასთან;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ბავშვების თანდასწრებით აწყობს საგნებს (ჩხირებს, კუბებს) მაგიდაზე და თან ითვლის: ერთი, ორი, სამი, ოთხი. მიმართავს ბავშვებს: „ ე.ი. რამდენი ჩხირი გვქონია?”

რეკომენდაცია: შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს დაათვლევინოს კლასში არსებული ნიშნები: რამდენი ფანჯარა გვაქვს? რამდენი კარადა? რამდენი ბიჭუნაა? რამდენი გოგონა?

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.1.

აქტივობა 3.

მიზანი: მეტობის, ნაკლებობის აღქმა;

მიმდინარეობა: მასწავლებლის მაგიდაზე აწყვია კუბები. ის სთხოვს რომელიმე მოსწავლეს, აიღოს იქიდან 5 კუბი და ერთმანეთზე დააწყოს მერხზე, შემდეგ სხვა მოსწავლეს სთხოვს გვერდით მიუდოს სამი კუბი. მიმართავს მთელ კლასს: რომელია მეტი? რომელია ნაკლები?

მასწავლებელი მიანიშნებს ხელით სამ კუბზე და სთხოვს მოსწავლეებს, გვერდით მიუდონ სამზე ნაკლები რაოდენობის კუბები ან ხუთზე მეტი, ასე გრძელდება სხვა რიცხვებზეც.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.4.

აქტივობა 4.

მიზანი: ოპერაცია „მიმატება”;

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ სამი კუბისგან შემდგარი კოშკი გადადონ სხვა ადგილზე (მაგ., სხვა მერხზე ან რაფაზე), შემდეგ სხვა მოსწავლეს სთხოვს მიიტანოს კიდევ ორი კუბი. რამდენია ახლა? სთხოვს დათვლას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.3.

რეკომენდაცია: იგივე მოქმედებები სრულდება სხვა რიცხვებზეც.

აქტივობა 5.

მიზანი: ყურადღების, წვრილი მოტორიკის, ნებისმიერი მოქმედების, აზროვნების განვითარება;

მასალა: გასაფერადებელი ნახატები, რომლის დეტალებშიც სხვადასხვა არითმეტიკული ოპერაციაა ჩაწერილი. მოცემული არითმეტიკული ოპერაციების ჯამს შესაბამისი ფერი შეესატყვისება (იხ. დანართი ნახ. 10. 11, 12).

(მოცემული დავალების შესრულება ახალი შთაბეჭდილების მიღებას, ინტერესის დაკმაყოფილების სურვილს ემყარება - „ნეტავ როგორი ნახატი გამოვა").

ინსტრუქცია: გამოიანგარიშეთ, მოძებნეთ არითმეტიკული ოპერაციების ჯამის შესაბამისი ფერი და გააფერადეთ სურათები.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.3.

აქტივობა 6.

მიზანი: რაოდენობასთან ციფრის დაკავშირება;

მიმდინარეობა: მასწავლებელს ოთხი ბავშვი გამოჰყავს დაფასთან, ეკითხება ბავშვებს: რამდენი ბავშვია დაფასთან? შემდეგ ეკითხება ბავშვებს: რამდენი ხართ? მასწავლებელი აკაკუნებს ოთხჯერ ან ბავშვებს სთხოვს დაკაკუნებას. რამდენჯერ დავაკაკუნე? აწიეთ იმდენი თითი ან ჩხირი. მასწავლებელი უჩვენებს ციფრს 4. ეს არის ოთხიანი და აღნიშნავს ოთხ საგანს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ. I.3.

რეკომენდაცია: იმავე პრინციპით ხდება სხვა ციფრების სწავლებაც.

აქტივობა 7.

მიზანი: მეტობის, ნაკლებობის აღქმა;

მიმდინარეობა: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ციფრებს. გამოიხმობს რომელიმე მოსწავლეს, რომელსაც აქვს ბარათი ციფრით 4-ი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შემოჰკრან ტაში ოთხჯერ. შემდეგ გამოდის მოსწავლე ციფრით 5, მოსწავლეები აქაც შემოჰკრავენ ტაშს 5-ჯერ. ეკითხება, რომელია მეტი. მათ შორის დგება და თვითონ იკავებს მეტობის ნიშანს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: მათ.I.4.

რეკომენდაცია: იგივე აქტივობები სრულდება სხვა ციფრებთანაც მიმართებაშიც.

აქტივობები განტვირთვისთვის

აქტივობა 1. „წვიმა"

მიზანი: განტვირთვა, რელაქსაცია;

მიმდინარეობა: ბავშვები დგებიან წრეში. მასწავლებელი აწვდის ინსტრუქციას: ჩვენ ახლა უნდა გავახმოვანოთ წვიმა. როცა ვიტყვი „წვრილი წვეთები"! — გაატკაცუნებთ თითებს, „წვიმა"! — ხელებს ვირტყამთ მუხლებზე, „ჭექა-ქუხილი"! — ვაბრახუნებთ ფეხებს, "ამოდის მზე"! — ხელებს ვწევთ მაღლა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.2.

აქტივობა 2. „გველეშაპი"

მიზანი: განტვირთვა, ჯგუფის შეკვრა;

მიმდინარეობა: ჯგუფის წევრები დგანან ერთმანეთის უკან. პირველი წევრი არის გველეშაპის თავი, ბოლო წევრი — მისი კუდი. დანარჩენი წევრები უბრალოდ მისი სხეულია. გველეშაპს კუდი ექავება და უნდა იკბინოს კუდზე (წინ მდგომი მოთამაშე იჭერს უკანასკნელ წევრს ისე, რომ ჯგუფი არ არღვევს თავის მთლიანობას).

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.2.

აქტივობა 3. „დავდივართ ისე, როგორც...."

მიზანი: განტვირთვა, თვითრეგულაციის, სწრაფად კოორდინირების უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: მოსწავლეები დადიან კლასში. მასწავლებელი აწვდის ინსტრუქციას: დავდივართ ისე, როგორც ნელი ადამიანები, დავდივართ ისე, როგორც ძალიან ნელი ადამიანები, დავდივართ ისე, როგორც ადამიანები წვიმის დროს, დავდივართ ისე, როგორც ადამიანები ძლიერი სიცხის დროს, ცხელ ქვებზე და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.4.

აქტივობა 4. „ქარი უბერავს მისთვის, ვისაც...."

მიზანი: განტვირთვა, თვითცნობიერების განვითარება;

მიმდინარეობა: მონაწილეები ქმნიან წრეს. სხედან სკამებზე. თუ მონაწილე 15-ია, მაშინ დგას 14 სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაშია მოქცეული. ის წარმოთქვამს შემდეგ ფრაზას: „ქარი უბერავს მისთვის, ვინც სკოლაში მოვიდა."

მონაწილეები ერთმანეთს ადგილს უცვლიან. შუაში მდგომი მონაწილეც დაჯდომას ცდილობს. ფეხზე დარჩენილი მონაწილე აგრძელებს თამაშს. ის ხდება წამყვანი (მონაწილეებმა უნდა დაასახელონ ის თვისება, რომელიც უშუალოდ წამყვანს ახასიათებს და ფიქრობს, რომ შეიძლება ჯგუფის სხვა წევრებსაც ახასიათებდეს). მაგ.: „ქარი უბერავს მისთვის, ვისაც უყვარს ნაყინი"' და ა.შ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ.I.2. ს.პ.I.4.

აქტივობა 5. „მარწყვი, ბალი, ვაშლი, ხილი"

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის, სწრაფი კოორდინაციის უნარის განვითარება, განტვირთვა;

მიმდინარეობა: მოსწავლეები სხდებიან სკამებზე, ქმნიან წრეს. ხდება გადათვლა:

მარწყვი, ბალი, ვაშლი. ეძლევათ ინსტრუქცია: როდესაც წრის შუაში მდგომი მონაწილე დაასახელებს რომელიმე ხილს, მაგ: მარწყვი. მხოლოდ "მარწყვები" უცვლიან ერთმანეთს ადგილებს. სიტყვაზე "ხილი" კი ყველა მონაწილე უცვლის ერთმანეთს ადგილს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.4.

აქტივობა 6. „გაიმეორე ჩემი მოძრაობა"

მიზანი: ჯგუფის შეკვრა, განტვირთვა;

მიმდინარეობა: მოსწავლეები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი ამბობს თავის სახელს და ასრულებს გარკვეულ მოძრაობას. შემდეგი მონაწილე იმეორებს მის სახელს, მის მოძრაობას და

ამატებს თავის სახელსა და თავის მოძრაობას. ყოველ მესამე მო-ნაწილეზე მთელი ჯგუფი იმეორებს ყველას სახელსა და მოძრაობას.

აქტივობა 7. „გაიმეორე ჩემი მოძრაობები"

მიზანი: განტვირთვა, ორგანიზაციისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

მიმდინარეობა: ბავშვები ერთმანეთის უკან დგებიან, დადიან ნელა. პირველი ბავშვი ასრულებს გარკვეულ მოძრაობებს. დანარჩენები იმეორებენ მას. შემდეგ ირჩევენ ახალ წინამძღოლს და ჯგუფი ახლა მის მოძრაობებს იმეორებს.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.4.

აქტივობა 8. „მოგუგუნე ძრავი"

მიზანი: ბავშვებისთვის რთულად გამოსათქმელი ბგერების წარმოთქმაში გავარჯიშება, გამტვირთვა;

მიმდინარეობა: ბავშვები სხედან წრიულად. მასწავლებელი: "ვის უნახავს ნამდვილი საავტომობილო რბოლა? გახსოვთ, როგორ გუგუნებს ძრავი? ახლა ჩვენც მოვაწყობთ მსგავს რბოლას წრეში. სპორტული მანქანის ძრავი - ს ხმა არის: "რრრმმმ". ერთი იწყებს "რრრმმმ"-ს და სწრაფად მიაბრუნებს თავს მარჯვნივ (ან მარცხნივ) და მეზობელი იმეორებს მაშინვე "რრრმმმ"-ს და ასევე გადასცემს თავის მეზობელს მარჯვნივ (ან მარცხნივ). ამრიგად, მოტორის გუგუნი სწრაფად გავრცელდება წრეში, სანამ ისევ პირველ ბავშვს არ დაუბრუნდება. ვინ დაიწყებს?" როცა " ძრავის გუგუნი" წრეს შემოივლის, მასწავლებელი განაგრძობს: „ჩვენს მანქანას მუხრუჭიც აქვს. როცა მუხრუჭს ვაჭერთ, გაისმის "იიიიკ", თუ რბოლის დროს რომელიმე იტყვის "იიიიკ" ნიშნავს, რომ მანქანა საპირისპირო მიმართულებით იწყებს მოძრაობას. "მუხრუჭის" დაჭერა შეუძლია ნებისმიერ ბავშვს, მაგრამ მხოლოდ ორჯერ. შეიძლება ტემპის აჩქარება და შენელება. ბოლოს ყველა ერთად ამუხრუჭებს "იიიიკ".

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ.I.5.

აქტივობა 9. „დოღი და ოპერატორი"

მიზანი: განტვირთვა, გუნება-განწყობის ამაღლება;

მიმდინარეობა: ბავშვები დგებიან წრეში. მასწავლებელი აწვდის ინსტრუქციას: "წარმოიდგინეთ, რომ მე ოპერატორი ვარ. გადავიღე დოღი, მაგრამ ხმა გამიფუჭდა. თქვენ ყველანი უნდა დამეხმაროთ გახმოვანებაში. როცა ვახმოვანებთ ცხენების სირბილს ასფალტზე, მაშინ ხელებს ვირტყამთ მკერდზე, ბალახზე სირბილისას — ფეხებზე, გუბეების გადალახვისას — ლოყებზე, როცა ცხენები ახტებიან ბარიერს — მაშინ ვიძახით „ჰოპს", ორმაგ ბარიერს — „ჰოპ-ჰოპს", მაყურებლის ოვაციაზე — „უუუუ..." ჯგუფი ასრულებს მოძრაობებს სინქრონულად, რაც ეხმარება ჯგუფს შეჭიდულობის გაზრდაში.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.2.

აქტივობა 10. „სახლი, ადამიანი, მიწისძვრა"

მიზანი: განტვირთვა, გუნება-განწყობის ამაღლება;

მიმდინარეობა: ჯგუფი იყოფა სამეულებად. ორი ერთმანეთს ხელებს ჩაჰკიდებს და ზევით აწევს — ესენი არიან "სახლი" — მესამე მათ შორის დგება და არის "ადამიანი". წამყვანის დაძახებაზე "სახლი!", სახლები ხელების გაუხსნელად უნდა გაიქცნენ და უნდა მონახ-

ონ ახალი ადამიანი. დაძახებაზე “ადამიანი!” ადამიანები იწყებენ ახალი სახლების ძებნას. დაძახებაზე “მიწისძვრა!”, ყველა უნდა დაიშალოს. იქმნება ახალი სამეულები. წამყვანი ამ დროს უნდა ეცადოს, რომ სამეულში მოხვდეს. ვინც მარტო დარჩება, ის იქნება წამყვანი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.2.

აქტივობა 11. „მანქანები”

მიზანი: განტვირთვა, გუნება-განწყობის ამაღლება;

მიმდინარეობა: ყველა ხელებს წინ სწევს და “პი-პი”-ს ძახილით იწყებს მოძრაობას ოთახში. წამყვანი დაიძახებს რაიმე ციფრს და ყველა უნდა გაერთიანდეს შესაბამისი რაოდენობის ჯგუფებად. წამყვანიც ცდილობს, რომელიმე ჯგუფში მოხვდეს.. ვინც ვერ მოასწრებს და მარტო დარჩება, წამყვანი ხდება. ეს თამაში შეიძლება გამოვიყენოთ მცირე ჯგუფების შესაქმნელად. 1-2 რაუნდის შემდეგ ვასახელებთ იმ ციფრს, რამხელა ჯგუფიც გვინდა შევქმნათ.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.2.

აქტივობა 12. „გააკეთე ჩემნაირად!”

მიზნები: ფიზიკური მოთელვა;

მიმდინარეობა: წამყვანი ასრულებს მოძრაობებს და ასახელებს სხეულის იმ ნაწილებს, რომელიც ჩართულია მოძრაობაში. ბავშვებმა მის მიერ შესრულებული მოძრაობები უნდა გაიმეორონ. წამყვანი წინ გამოშვერილი მაჯების წრიული მოძრაობებით იწყებს. შემდეგ წრიულად მოძრაობს მისი იდაყვები, შემდეგ მთელი ხელი (მხრიდან დაწყებული). შემდეგ მხოლოდ მხრების წრიულ მოძრაობას ასრულებს. მას შემდეგ, რაც ხელების გახურება დასრულდება, მსგავსი თანმიმდევრობით იწყება ფეხების გამახურებელი ვარჯიში. თავდაპირველად წამყვანი იწყებს ცალი ფეხის ტერფის წრიული მოძრაობით (მნიშვნელოვანია, მოძრაობები იყოს ნელი. თუკი ბავშვი ცდილობს ვარჯიში სწრაფად შეასრულოს, წამყვანი მას სთხოვს ნელა იმოქმედოს). შემდეგ ფეხი მოძრაობს წრიულად მუხლიდან, შემდეგ კი თეძოდან. ვარჯიშის შემდგომ ეტაპზე წამყვანი მსგავს თანმიმდევრობას ასრულებს მეორე ფეხზეც. მას შემდეგ, რაც კიდურები გახურებულია, წამყვანი წელის წრიულ მოძრაობებზე გადადის (ისევ საშუალო ტემპში). როდესაც მთელი სხეული გახურდება, წამყვანი კისრის წრიულ მოძრაობებს იწყებს, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოძრაობები იყოს ნელი.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ს.პ.I.2.

აქტივობა 13. „დაიმახსოვრე შენი ადგილი”

მიზანი: ყურადღების მეხსიერების განვითარება, განტვირთვა;

მიმდინარეობა: ბავშვები კლასში დგებიან სხვადასხვა ადგილზე. თითოეულმა უნდა დაიმახსოვროს თავის ადგილი. მასწავლებლის ნიშანზე ბავშვები წრეში იწყებენ სიარულს. მასწავლებელი ისევ აძლევს ნიშანს, რათა ბავშვებმა კვლავ თავისი ადგილი დაიკავონ. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელსაც ერთხელაც არ შეეშალა ადგილი.

კავშირი სტანდარტთან - ს.პ.I.2.

აქტივობა 14. „გაიმეორე ჩემი მოძრაობა”

მიზანი: ჯგუფის შეკვრა, განტვირთვა;

მიმდინარეობა: მოსწავლეები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი ამბობს თავის სახელს და ასრულებს გარკვეულ მოძრაობას. შემდეგი მონაწილე იმეორებს მის სახელს, მის მოძრაობას და ამატებს თავის სახელსა და თავის მოძრაობას. ყოველ მესამე მონაწილეზე მთელი ჯგუფი იმეორებს მანამდე დასახელებული მოსწავლეების სახელსა და მოძრაობას.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1: უცხ.დ.01.1; სპ.I.2.

რეკომენდაცია: შესაძლებელია მოსწავლემ დაასახელოს არა მარტო სახელი, არამედ გვარიც.

აქტივობა 15. „ზღაპრული რბოლა"

მიზანი: თამაში ეხმარება მოსმენილი ზღაპრისა და ახალი სიტყვების მეხსიერებაში განმტკიცებას;

მასალა: სკამები.

მიმდინარეობა: თამაშის მსვლელობის დროს ყველა მოსწავლე მორიგეობით გარდაისახება ნაცნობი ზღაპრის გმირად — ადამიანებად, ზღაპრულ პერსონაჟებად, ცხოველებად და ა.შ.

იმისთვის, რომ განისაზღვროს რბოლის მარშრუტი, ორი სკამი უნდა დაიდგას ერთმანეთისგან 4-7 მეტრის დაშორებით. ამგვარად, წამყვანი, რომელიც ბავშვების მწკრივს ჩაუდგება სათავეში, წავა ერთი სკამიდან მეორისკენ, შემოუვლის მას და ისევ პირველი სკამისკენ გაემართება. ბავშვები მოძრაობენ არა პირდაპირ, არამედ "რვიანების" სახით, მიხვეულ-მოხვეულად, რათა გვერდი აუარონ ორივე სკამს.

თავდაპირველად ყველა მონაწილე ჩვეულებრივი ნაბიჯებით დადის. საჭიროა ყურადღებით ყოფნა და მასწავლებლის ბრძანების მოსმენა, რადგან მისი მითითების შესაბამისად, მოთამაშეებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი თავი იმ გმირებად, რომელთა სახელსაც მასწავლებელი დაიძახებს. შემდეგ კი გააგრძელონ მოძრაობა „გმირის როლში" ისე, როგორც ეს გმირი ივლიდა.

კავშირი სტანდარტთან - შედეგი: ქართ. I.1: უცხ.დ.01.1; სპ.I.2.

რეკომენდაცია: წამყვანს შეუძლია შემდეგი ბრძანებების გაცემაც და ჩვენებაც, თუ როგორ შეუძლიათ ბავშვებს მოძრაობა.

წამყვანის ბრძანებები	მოძრაობა
თოჯინების თეატრში დააბიჯებს ბურატინო	ხელები მოხრილია იდაყვებში, თითები მუჭშია მოქცეული, სიარული თანაბარი ნაბიჯებით
ტყეში მიაბიჯებს დათვი ბაჯბაჯა	თავი დაწეულია, ხელები მომრგვალებული, ფეხის ტერფები შეწეულია შიდა მხარეს, სიარული ბაჯბაჯით
მოფრინავენ ბატები-გედები	მსუბუქი სირბილი ფეხის წვერებზე, ხელები გაშლილია, ნარნარად იქნევენ ხელებს, კისერი წინაა გამოწეული
დააბიჯებენ გოლიათები	ფართო ნაბიჯებით სიარული ფეხისწვერებზე, ხელების ფართოდ ქნევით
დახტის ბაყაყი ყიყინა	ხელის თითები გაშლილია, ხტუნვა წინ ან სხეულის მარჯვნივ ან მარცხნივ მობრუნებით სიარული

აქტივობები მოძრავი პაუზებისთვის

ზრდის მოტორულ აქტივობას, ასტიმულირებს ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და კუნთოვანი სისტემების მოქმედებას, ხსნის საერთო დაღლილობას, ზრდის გონებრივი მუშაობის უნარს.

მოძრავი პაუზა 1.

1. ადგილზე სიარული 20-30წმ. საშუალო ტემპი
2. საწყისი მდგომარეობა (ს.მ) — ძირითადი პოზა (ძ.პ.) 1) წინმკლავი, ხელისგულებით ქვემოთ. 2) განმკლავი, ხელისგულები ზევით. 3) დადექით თითის წვერებზე, ხელები ზემოთ, გასწორდით. 4 ს.მ. გაიმეორეთ 4-6-ჯერ ნელი ტემპით.
3. ს.მ. — ფეხები მხრების დონეზე ცოტათი განზე. 1-3-ჯერ გადახრა უკან, ხელები ზურგს უკან — 3-4 – ს.მ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ საშუალო ტემპით.
4. ს.მ. — ფეხები მხრების სიგანეზე. 1) ხელები თავს უკან, ტანი მიაბრუნეთ მარჯვნივ. 2) ტანი ს.მ.-ში, ხელები განზე, დაიხარეთ პირდაპირ, თავი – უკან. 3) გასწორდით, ხელები თავს უკან, მიბრუნდით მარცხნივ 4) ს.მ. 5-8) ასევე მეორე მხარეს. გაიმეორეთ 6-ჯერ საშუალო ტემპით.
5. ს.მ. — ხელები მხრებთან. 1) გაიზნიქეთ მარჯვნივ, ხელები განზე. 2) ს.მ. 3) ჩაიკუზეთ, ხელები ზევით. 4) ს.მ. 5-8) იგივე სხვა მხარეს. გაიმეორეთ 6-ჯერ საშუალო ტემპით.
6. ს.მ. — ფეხები განზე, ხელები წელზე. 1-4) წრიული მოძრაობები ტანით მარჯვნივ. 5-8) წრიული მოძრაობები ტანით მარცხნივ. გაიმეორეთ 4-ჯერ საშუალო ტემპით.
7. ს.მ. — ძ.პ. 1) გაიქნიეთ ფეხი უკან, ხელები განზე. 2) ს.მ. 3-4) იგივე მარცხენა ფეხით. გაიმეორეთ 6-8-ჯერ საშუალო ტემპით.
8. ს.მ. — ფეხები განზე. ხელები წელზე. 1) თავი დახარეთ მარჯვნივ, 2) თავის გაუსწორებლად დახარეთ იგი უკან. 3) თავი დახარეთ წინ. 4) ს.მ. 5-8) იგივე მეორე მხარეს. გაიმეორეთ 4-6-ჯერ საშუალო ტემპით.

მოძრავი პაუზა 2.

ადგილზე სიარული 20-30 წმ. საშუალო ტემპი.

1. ს.მ. — ძ.პ., ხელები თავს უკან. 1-2) დადექით თითის წვერებზე, გასწორდით, გაწიეთ იდაყვები უკან. 3-4) დადექით ტერფებზე, ოდნავ წინ გადაიხარეთ, იდაყვები პირდაპირ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ ნელი ტემპით.
2. ს.მ. — ძ.პ. 1) ნაბიჯი მარჯვნივ, ხელები განზე. 2) ამოატრიალეთ მტევნები ხელისგულებით ზევით. 3) მიადგით მარცხენა ფეხი, ხელები მაღლა. 4) ხელები რკალად განზე და ქვემოთ, თავისუფალი მოძრაობით გადააჯვარედინეთ ხელები. მკერდის წინ 5-8) იგივე მარცხნივ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ საშუალო ტემპით.
3. ს.მ. — ფეხების მდგომარეობა განზე, მარცხენა წინ, ხელები განზე ან წელზე. 1-3) სამი ზამბარისებრი ნახევრადჩაჯდომა მარცხენა ფეხზე. 4) შეანაცვლეთ ფეხების მდგომარეობა. 5-7) იგივე, მაგრამ მარჯვენა ფეხი მარცხენას წინ. გაიმეორეთ

4-6-ჯერ. გადადით სიარულზე 20-25წმ. საშუალო ტემპით.

4. ს.მ. — ფეხების მდგომარეობა განზე, , ხელები განზე ან წელზე. 1) 3 დახრა წინ მარჯვენა ფეხთან, შემოჰკარით ტაში. 2) ს.მ. 3-4) იგივე მეორე მხარეს. გაიმეორეთ 6-8-ჯერ საშუალო ტემპით.
5. ს.მ. — დადგით ფეხები განზე. 1) ტანი მიაბრუნეთ მარცხნივ, გადაიხარეთ უკან ხელები უკან. 2-3) შეინარჩუნეთ ტანის მიბრუნებული მდგომარეობა და ზამბარისებურად დაიხარეთ წინ, ხელები. 4) ს.მ. 5-8) იგივე, მხოლოდ ტანი მიაბრუნეთ მარჯვნივ. გაიმეორეთ 4-6-ჯერ ორივე მხარეს ნელი ტემპით.
6. ს.მ. — დაეყრდენით საყრდენს, მოხარეთ მარჯვენა ფეხი და ხელი მოხვიეთ მუხლს. 1) დადექით მარცხენა თითისწვერებზე, გაიქნიეთ მარჯვენა ფეხი უკან, მარჯვენა ხელი განზე — უკან. 2) ს.მ. 3-4) იგივე, მხოლოდ მოხარეთ მარცხენა ფეხი. გაიმეორეთ 6-8-ჯერ. საშუალო ტემპით.

. ს.მ. — ძ.პ. 1) ხელები უკან განზე, ხელისგულები გარეთ, თავი გადახარეთ უკან. 2) ხელები დაუშვით, თავი გადახარეთ წინ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ ნელი ტემპით.

მოძრავი პაუზა 3.

ადგილზე სიარული 20-30წმ. საშუალო ტემპი.

1. ს.მ. — ძ.პ. 1) მარჯვენა ხელი რკალად შიგნით. 2) იგივე მარცხენა ხელით, ზემკლავი, აიწიეთ თითის წვერებზე. 3-4) ხელები რკალად. ს.მ. გაიმეორეთ 4-6-ჯერ ნელი ტემპით.
2. ს.მ. — ძ.პ. 1) განმკლავით გადადგით ნაბიჯი მარჯვნივ, ხელისგულები ზემოთ. 2) მიაბრუნეთ ტანი მარჯვნივ, მარცხენა ხელი მორკალეთ და ხელისგულები შემოარტყით მარჯვნივ. 3) გასწორდით. 4) ს.მ. 5-8) იგივე მეორე მხარეს. გაიმეორეთ 6-8-ჯერ საშუალო ტემპით.
3. ს.მ. — ფეხები გადგით განზე. 1-3) ხელები განზე, გადაიხარეთ წინ და ტანით სამჯერ შეასრულეთ წრიული მოძრაობები. 4) ს.მ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ საშუალო ტემპით.
4. ს.მ. — ძ.პ. 1-2) ჩაიკუზეთ, მუხლები განზე, წინმკლავი. 3-4) ადექით, მარჯვენა ხელი მაღლა, მარცხენა თავს უკან. 5-8) იგივე, მხოლოდ მარჯვენა ხელი თავს უკან. გაიმეორეთ 6-10-ჯერ ნელი ტემპით.
5. ს.მ. — ძ.პ. — გადაიხარეთ მარცხნივ, ხელები განზე. 2-3) ზემკლავი, ორი ზამბარისებრი დახრა მარჯვნივ. 4) ს.მ. 5-8) იგივე მეორე მხარეს. გაიმეორეთ 4-6-ჯერ საშუალო ტემპით.
6. ს.მ. — მარჯვენა ხელი წელზე, მარცხენათი დაეყრდენით საყრდენს. 1) გაიქნიეთ მარჯვენა ფეხი პირდაპირ. 2) გაიქნიეთ მარჯვენა ფეხი უკან, გამოსდეთ ფეხი წვივს. გაიმეორეთ 6-8-ჯერ ორივე ფეხით საშუალო ტემპით.
7. ს.მ. — ძ.პ. 1-2) მარჯვენა ფეხი გაწიეთ უკან ფეხის წვერზე, ხელები ოდნავ უკან, თავიც გადახარეთ უკან. 3-4) ფეხები მიადგით, ხელები მოადუნეთ და დაუშვით, თავი წინ დახარეთ. 5-8) იგივე, მეორე ფეხის უკან გადადგმით. გაიმეორეთ 6-8-ჯერ ნელი ტემპით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი, გ., კოტეტიშვილი, ი. (1981) გროვებით თვლა და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. დაწყებითი სწავლების მეთოდოლოგია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება".
2. უზნაძე, დ. (2005) ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბილისი.
3. სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული და ჰიგიენური მორმები. 308/ნ 2001 წლის 16 აგვისტო. ქ. თბილისი.
4. ჩხარტიშვილი, შ. (1975) პედაგოკიკური ფსიქოლოგია. ტ.1. თბ.: გამომცემლობა განათლება. თბილისი.
5. Берк Л. (2006). Развитие ребенка. М.: Питер.
6. Би Х. (2004). Развитие ребенка. М.: Питер.
7. Божович Л. (1948). Психологические вопросы готовности ребёнка к школьному обучению. Вопросы психологии ребёнка дошкольного возраста. М.: изд-во АПН.
8. Божович Л. (1968) Личность и её формирование в детском возрасте: М.: Просвещение.
9. Выготский Л. (1966) Игра и её роль в психическом развитии ребёнка. Вопросы психологии. № 6.
10. Выготский Л. (1982) Собрание сочинений: в 6-ти т. Кризис семи лет. Т.4.
11. Краиг Г., Бокум Д. (2004) Психология Развития. 9-ое издание. М.: Питер.
12. Пиаже Ж. (1994) Избранные психологические труды. М.: Международная педагогическая академия.
13. Bourdial I., Vialees C. (2004) Les sciences a l'ecole primaire. Paris: Retz.
14. Erikson E. (1963) Childhood and Society. New York: W.W. Norton & Co.
15. Garner H. (2001) Les intelligences multiples. Paris: Retz
16. Lauren B. Mace J. (1998) Jeux traditionels a l`ecole primaire. Caen.: CPDP de Basse Normandie.

დანართი

ნახატი 2.





ნახატი 3.



ნახატი 4.



— ლურჯი

ცისფერი

ნახატი 5.



ნახატი 6.



ნახატი 7.



ნახატი 8.



ნახატი 9.



+ — წითელი - — ყვითელი ○ — მწვანე □ — ცისფერი

ნახატი 10.



ნახატი 11.



6 — ყვითელი 7 — ლურჯი 8 — მწვანე 9 — წითელი

ნახატი 12.



6 — ნაცრისფერი 7 — წითელი 9 — ლურჯი

5 — ყვითელი 10 — მწვანე 4 — სტაფილოსფერი 2 — შავი

შენიშვნებისათვის